# არისტოტელე

## დიდი ეთიკა

ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შესავალი წერილი დაურთო
პროფესორმა თამარ ქუკავამ
რეცენზენტი პროფესორი აკაკი ურუშაძე

თბილისი

1994

"დიდი ეთიკა" წარმოადგენს უდიდესი მოაზროვნის, კაცობრიობის მასწავლებლის არისტოტელეს შეხედულებების დაჯამებას ზნეობის შესახებ, მასში არისტოტელე ღრმა მეცნიერული და ფსიქოლოგიური დაკვირვებით იკვლევს და წყვეტს ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა ადამიანის არსი და მიზანი, აღგვიხსნის ძირეულ ეთიკურ ცნებებს, როგორიცაა ბედნიერება, მეგობრობა, სიკეთე, სათნოება, სიბრძნე, გონიერება, სიმამაცე, სიუხვე და სხვ.

არისტოტელეს შეხედულებებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრეს კაცობრიობის ზნეობის მთელი შემდგომი განვითარება. დიდი იყო მისი გავლენა რელიგიურ, კერძოდ, ქრისტიანულ ეთიკაზე. მისი შეხედულებები დღესაც ინარჩუნებენ მნიშვნელობას.

წინამდებარე წიგნი "დიდი ეთიკა" პირველი თარგმანია ძველი ბერძნულიდან ქართულ ენაზე. იგი, უდავოდ, საინტერესო იქნება ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის, ასევე მოსწავლე ახალგაზრდობისა და სპეციალისტებისათვის.

წიგნი გამოდის საკუთარი ხარჯით

# არისტოტელეს ეთიკის მნიშვნელობა

არისტოტელემ ჩაუყარა საფუძველი ეთიკას, როგორც მოძღვრებას ადამიანის ზნეობის შესახებ. სიტყვა „ეთიკაც" მან პირველმა შემოიტანა ხმარებაში. იგი აწარმოა მან ბერძნული სიტყვიდან „ეთოს", რაც ჩვევას, ჩვეულებას ნიშნავს. იგი ვარაუდობდა, რომ ზნეობრივი თვისებები თანდაყოლილი კი არაა, არამედ შეძენილია და ადამიანის ჩვევას ემყარება. ჩვევებს კი ის ასხვავებდა ბუნებრივი თვისებებისაგან. ეს განსხვავება მას იმიტომ დასჭირდა, რომ ეთქვა: ადამიანები არ ისჯებიან ბუნებრივი ანუ თანდაყოლილი თვისებების, მაგალითად, სიმახინჯის გამო, არამედ ისჯებიან შეძენილი თვისებების გამო, რადგან ბუნებრივი თვისებები ადამიანზე არ არის დამოკიდებული, შეძენილი კი ადამიანის ჩვევისა და თავისუფალი არჩევანის შედეგია. ასევე ქებას ადამიანები იმსახურებენ იმ დადებითი მოქმედებისათვის, რისი ჩადენა ან თავიდან აცილება ხდება მათივე გადაწყვეტილებისა და თავისუფალი ნების საფუძველზე.

არისტოტელეს ეთიკის ძირითადი პრობლემაა ადამიანის არსის, მისი მიზნისა და დანიშნულების გარკვევა. ამიტომ მას უნდა დაედგინა ადამიანისათვის დამახასიათებელი ძირითადი თვისება, რითაც ის ადამიანს მცენარეთა და ცხოველთა სამყაროსაგან განასხვავებდა. იგი ფიქრობდა, რომ კვებისა და ზრდის თვისება მცენარეებსაც ახასიათებთ, შეგრძნების თვისება კი ადამიანებს ცხოველებთანაც აქვთ საერთო. ადამიანისათვის დამახასიათებელი და სპეციფიკური თვისება მან აზროვნებაში ნახა, რითაც ადამიანი ცხოველებისა და მცენარეებისაგან განასხვავა და მოუწოდა ადამიანებს, რომ მთელი ცხოვრება და მოქმედების ყოველი ნაბიჯი აზროვნებაზე დაეფუძნებინათ.

ნიშნავს ეს იმას, რომ არისტოტელემ უარყო ყოველგვარი გრძნობა და სიამოვნება? — არა, რადგან მან კარგად იცოდა, რომ გრძნობის, გატაცების გარეშე შეუძლებელია მოქმედება, განსაკუთრებით შემოქმედება, რომ ყოველ საქციელს, რასაც კი ადამიანი ნებაყოფლობით ასრულებს, თან სდევს სიამოვნება, რაც ზრდის შემოქმედებით ენერგიას და რის გარეშე შემოქმედება შეუძლებელია. მაგრამ ამავე დროს არისტოტელე მოითხოვდა გრძნობისა და გონების ჰარმონიულ არსებობას, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მოითხოვდა გრძნობის დამორჩილებას გონებისადმი.

არისტოტელეს ყურადღების ცენტრში მოექცა აგრეთვე პრობლემა ადამიანის დანიშნულების ანუ მიზნის შესახებ. არისტოტელეს ადამიანის არსებობის უმაღლეს მიზნად მიაჩნდა ბედნიერება. ის ფიქრობდა, რომ ამ

უმაღლესი მიზნის მიღწევას უნდა ემსახურებოდეს ადამიანის ყოველი ნაბიჯი, მისი ყოველი მოქმედება. არისტოტელე მკვეთრად მიჯნავდა ერთმანეთისაგან მიზანსა და მიზნის მისაღწევ საშუალებას. ძირითადია და განმსაზღვრელი მიზანი, საშუალება კი, რომელიც მის განხორციელებას ემსახურება, ნაკლებ მნიშვნელოვანია და მიზანს ექვემდებარება.

როგორ ესმის არისტოტელეს ბედნიერება? ბედნიერება არის სრულყოფილი ცხოვრება, გვასწავლის არისტოტელე. ამ ცხოვრებას არ უნდა გააჩნდეს არავითარი ნაკლი. როგორ მივაღწიოთ ასეთ ცხოვრებას? მას შეიძლება მივაღწიოთ სათნოებით, ან სათნოების შესაბამისი სულიერი მოღვაწეობით. ეს კი ნიშნავს იმას, რომ არისტოტელეს აზრით, ბედნიერება თვითონ ადამიანმა უნდა მოიპოვოს და შექმნას საკუთარი აქტივობითა და მოქმედებით, შემთხვევით მიღებული ბედნიერება და წარმატება არაა ნამდვილი ბედნიერება და ნამდვილი წარმატება. უმაღლესი სახე ადამიანის მოქმედებისა და აქტივობისა, მისი აზრით, არის თეორიული მოღვაწეობა, რაც სულიერი მოღვაწეობა და სულიერი აქტივობაა. ეს ყველაზე მეტად ღმერთებისთვის არის დამახასიათებელი, ადამიანებში კი ის ღვთაებრივი თვისებაა.

მაგრამ ბედნიერებისათვის არ კმარა მხოლოდ სულიერი სათნოება, თეორიული მოღვაწეობა, ადამიანს ბედნიერებისათვის სჭირდება აგრეთვე ე.წ. "გარეგანი სიკეთენი", როგორიცაა თავისუფლება, სიმდიდრე, მეგობრები, გავლენა და სხვ. ყოველივე ეს კი იქცევა არარაობად, თუ მას ადამიანი გონივრულად, გონების კარნახით არ გამოიყენებს. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ არისტოტელე ბედნიერებას ისევ და ისევ აზროვნებაში, გონივრულ ცხოვრებასა და სიბრძნეში ხედავდა.

არისტოტელემ ღრმად გააზრა თავისუფლების პრობლემა. პირველ ყოვლისა, მას თავისუფლებად მიაჩნდა არჩევანისა და გადაწყვეტილების მიღების უფლება. ამასთან დაკავშირებით მას მოუხდა მკვეთრი ზღვარის გავლება ნებაყოფლობით და იძულებით მოქმედებას შორის. არისტოტელე იძულებითად თვლიდა მოქმედებას, რომელსაც ადამიანი ასრულებს საკუთარი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ და პირიქით, თავისუფალია მოქმედება რომელიც საკუთარი ნება-სურვილით სრულდება. მეორე განსხვავება მათ შორის, მისი აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ ნებაყოფლობით მოქმედებას თან სდევს სიამოვნება, იძულებითს ტანჯვა. მესამე განმასხვავებელი ნიშანი მათ შორის ისაა, რომ ნებაყოფლობითი მოქმედების მიზეზი თვით ადამიანშია, იძულებითისა კი იმყოფება მოქმედი ადამიანის გარეთ. იძულებითი მოქმედების მაგალითად მას მოაქვს ზღვაში მთელი სიმდიდრის

გადაყრა, რათა გემზე მყოფთ ამით სიცოცხლე შეინარჩუნონ, ანდა ტირანის ულირს წინადადებაზე დათანხმება, რათა კაცმა გადაარჩინოს მის ხელში ჩავარდნილი მახლობლები. მეოთხე განსხვავება მათ შორის მდგომარეობს იმაში, რომ თავისუფალი მოქმედება წინასწარ განზრახულია, იძულებითი კი არა.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ შევეხოთ არისტოტელეს კონცეფციას მონობის შესახებ. მართალია, მის ეთიკებში ვხვდებით გამოთქმას, რომ "მონა არის სულიერი იარაღი", მაგრამ ამ შემთხვევაში არისტოტელე ახდენდა არსებული მდგომარეობის კონსტანტაციას, იმის აღნიშვნას, თუ როგორ უყურებდა მის დროს საზოგადოება მონას. ასევე არსებული მდგომარეობის კონსტანტაციაა მისი გამონათქვამი, რომ მონასთან მეგობრობა შეუძლებელია. მართლაც, რომელი მონათმფლობელი მისცემდა მონას თავისუფალ მოქალაქეებთან რაიმე ურთიერთობის დამყარების ნებას? მაგრამ ვხედებით არისტოტელეს ასეთ გამონათქვამებსაც, რაც უკვე მის საკუთარ კონცეფციას წარმოადგენს, რომ "მონასთან როგორც ადამიანთან, შეიძლება მეგობრობა" და ამას მოსდევს უფრო პროგრესული თვალსაზრისი, რომ კანონიერების ფარგლებში ნებადართული უნდა იყოს ურთიერთობა ნებისმიერ ადამიანთან, მათ შორის მონასთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არისტოტელე ილაშქრებს არსებული კანონმდებლობის წინააღმდეგ, აკრიტიკებს მას და მოითხოვს მონის, როგორც ადამიანის გათანაბრებას დანარჩენ ადამიანებთან. ამრიგად, არისტოტელე არ არის მონობის ინსტიტუტის დამცველი და სულაც არ მიაჩნია ის ბუნებრივ მოვლენად, როგორც ფიქრობდნენ ზოგიერთი მკვლევარნი.

არისტოტელეს ყურადღების ცენტრში მოექცა აგრეთვე მეგობრობის საკითხი. მეგობარს მეგობრისათვის იგივე სურს, რაც თავის თავისთვის, რადგან მეგობარი არის ადამიანის მეორე "მე". ადამიანი მეგობარზე ისევე ზრუნავს, როგორც საკუთარ თავზე. არისტოტელე ასხვავებდა მეგობრობის სამ ფორმას: მეგობრობას დამყარებულს სარგებლობაზე, დამყარებულს სიამოვნებაზე და მეგობრობას პირადი თვისებისა და ურთიერთ სიმპათიის საფუძველზე. პირველ ორ შემთხვევაში მეგობრები ურთიერთობას ამყარებენ არა პირად თვისებებზე, არამედ ან სარგებლობაზე, ან სიამოვნებაზე. ამიტომ როგორც კი ისპობა სარგებლობის ან სიამოვნების მიღების შესაძლებლობა, მეგობრობასაც ბოლო ელება. მხოლოდ პირად დადებით თვისებებზე დამყარებული მეგობრობა არის ჭეშმარიტი მეგობრობა და ამიტომ ის ხანგრძლივიც არის. ასეთი მეგობრობა მატებს ადამიანს ხალისსა და ენერგიას. განსაკუთრებით კარგია მეგობრობა დადებით და კეთილ

ადამიანებს შორის. მეგობარი განსაკუთრებით სჭირდება გაჭირვებაში მყოფს. მაგრამ ის სჭირდება ბედნიერსა და კმაყოფილსაც, რათა მას ჰყავდეს ვინმე, ვისაც ის კეთილმოქმედებას გაუწევდა.

არისტოტელე ხელგაშლილობას და გულუხვობას უპირისპირებდა ფლანგვასა და სიძუნწეს. ხელგაშლილი და გულუხვია ის, ვინც ხარჯავს იქ, სადაც საჭიროა, ხარჯავს იმდენს, რამდენიც საჭიროა, იქ, იმ დროს და იმაზე, ვისზეც საჭიროა. ის არ იტანჯება ქონების გაცემის დროს, პირიქით, ეს მას სიამოვნებას ჰგვრის. მფლანგველი კი უაზროდ ფლანგავს ქონებას და თავს უსახსროდ ტოვებს, რითაც ისპობს მომავალი კეთილმოქმედების საშუალებას. მართალია, მფლანგველი სჯობს ძუნწს, მაგრამ ზოგჯერ მფლანგველიც დანაშაულს სჩადის, როდესაც იღებს ქონებას იქ, სადაც არ უნდა აიღოს.

არისტოტელეს აზრით, სიმამაცე იმყოფება სიმხდალესა და თავზე ხელაღებულობას შუა. მხდალი გადაჭარბებულად მშიშარაა, თავზე ხელაღებული კი გადაჭარბებით გაბედული. მამაცი კი გონების კარნახით მოქმედებს, იცის, თუ რის უნდა ეშინოდეს, რა დროს, სად და ვის მიმართ უნდა ეშინოდეს. იგი მოქმედებს ერთად-ერთი მიზნით — ესაა მშვენიერება. ამიტომ ყველაზე მეტად მამაცია ის, ვინც შეეწირება ამ დიად მიზანს და განსაკუთრებით სამშობლოს დასაცავად წარმოებულ ომში. მამაცად არ ჩაითვლება ის, ვინც გაბედულია იმიტომ, რომ იცის გამარჯვება აუცილებლად მას დარჩება, არც ისაა მამაცი, ვინც გაბედულია გამოცდილების გამო, ან იმის გამო, რომ საშიშროება შორსაა, არაა მამაცი არც ის, ვინც გაბედულია სხვებისათვის თავ-მოწონებისა და თავის გამოჩენის მიზნით. ჭეშმარიტად მამაცია ის, ვინც შეგნებულად იბრძვის საფრთხის წინააღმდეგ, ვინც მოქმედებს გონების კარნახით და ვინც იბრძვის ამაღლებული მიზნის განხორციელებისათვის.

არისტოტელეს სრულყოფილ და ღირსეულ პიროვნებად მიაჩნია სათნო ადამიანი, რომელიც ნებისმიერ მოქმედებას სწორად წარმართავს, რადგან ემორჩილება გონების კარნახს და გონებისავე კარნახით ყველაფერში იცავს ზომიერებას და საშუალოს. საშუალოს მიღწევა კი არაა ადვილი ისევე როგორც არაა ადვილი წრის ცენტრის მიგნება. სათნო ადამიანი, მისი აზრით, არის არა მხოლოდ კეთილი, არამედ მშვენიერიც. აქედან წარმოქმნა მან ტერმინი "კალოკაგათია", რაც ერთდროულად ნიშნავს კეთილსა და მშვენიერს (კალოს — მშვენიერი, აგათოს — კეთილი).

არისტოტელე ადამიანის სათნო მოქმედებას სულს უკავშირებდა. სულს უკავშირებდა აზროვნებასაც. მაგრამ სულს გააჩნია არა მხოლოდ მოაზროვ-

ნე. ლოგიკური ნაწილი, არამედ არამოაზროვნე. ალოგიკური ნაწილიც, სადაც გრძნობა იმყოფება. ადამიანი სწორად მოქმედებს მაშინ, როდესაც სულის ალოგიკური ნაწილი ემორჩილება ლოგიკურ, მოაზროვნე ნაწილს და პირიქით, ადამიანი სცდება, როცა ალოგიკური ნაწილი გაბატონდება ლოგიკურზე.

არისტოტელეს ადამიანის სული უკვდავად მიაჩნდა, მაგრამ ის წინააღმდეგი იყო ბედნიერების მეორე სამყაროში ძიებისა. მას უაზრობად მიაჩნდა ბედნიერების მოლოდინი სიკვდილის შემდეგ და არა ამ ქვეყანაშივე, ადამიანის სიცოცხლის მანძილზე. არისტოტელეს ეს მოსაზრება დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, რადგან ადამიანი ბედნიერებას სიცოცხლეში უნდა ეძებდეს და არა სიკვდილის შემდეგ, მეორე სამყაროში, რომლის არსებობა საეჭვოა, რადგან მისი არსებობის შესახებ არაფერი არ ვიცით.

ადამიანის დანიშნულებად არისტოტელეს, გარდა ბედნიერებისა, მიაჩნია საზოგადოებრივი ცხოვრება. საზოგადოებრივ ცხოვრებაში კი ის გულისხმობდა არა მხოლოდ პოლიტიკურ მოღვაწეობას, არამედ ყოველგვარ საზოგადოებრივ ურთიერთობებსაც, ნათესაურ, ოჯახურ, მეგობრულ ურთიერთობებს. რადგან არისტოტელე ადამიანს საზოგადოებრივ არსებად თვლიდა, ამიტომ ის წინააღმდეგი იყო ასკეტიზმისა, ადამიანის განდეგილი, განმარტოებული ცხოვრებისა და მისგან აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას მოითხოვდა.

არისტოტელე პოლიტიკის ძირითად დანიშნულებად თვლიდა ზრუნვას ადამიანების ბედნიერებაზე, რისთვისაც საჭიროდ მიაჩნდა სახელმწიფოს მიერ მათი სწორი აღზრდა, მათი გადაქცევა ზნეობრივად სრულყოფილ მოქალაქეებად, მათში ყოველგვარი უზნეობის აღმოფხვრა. თუ სახელმწიფო ამას ვერ ახორციელებს, მაშ, ის უვარგისი ყოფილა. ამიტომაც იყო, რომ არისტოტელე პოლიტიკას მჭიდროდ უკავშირებდა ეთიკას, უფრო სწორად რომ ვთქვათ, პოლიტიკას ეთიკაზე აფუძნებდა. არისტოტელეს აზრით, ის მმართველი, რომელიც გრძნობდა, რომ მმართველობისათვის საჭირო უნარი არ გააჩნია, ნებაყოფლობით უნდა უთმობდეს ადგილს უფრო ღირსეულსა და უნარიანს. პოლიტიკური მმართველობის ფორმებიდან, მართალია, იწონებდა მონარქიას, მაგრამ ამის პარალელურად ის საჭიროდ თვლიდა სახელმწიფოს სათავეში მხოლოდ ზნეობრივად სპეტაკი და ინტელექტუალურად ძლიერი ადამიანების მოხვედრას. ერთი სიტყვით, სახელმწიფოს მმართველობა ღირსეულ ადამიანთა ასპარეზი უნდა იყოს, ფიქრობდა არისტოტელე.

კანონმდებლობაში კი იგი ასხვავებდა ბუნებრივსა და ადამიანების მიერ შექმნილ სამართალს და უპირატესობას ანიჭებდა ბუნებრივს, რომელიც უცვლელია და მყარი, ადამიანებისაგან შექმნილი სამართლისაგან განსხვავებით, ბუნებრივი სამართალი, მისი აზრით, ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს და მასვე ემყარება.

არისტოტელე უდიდეს უსამართლობად თვლიდა, როდესაც უღირსი მოქალაქენი ღირსეულ მოქალაქეებთან თანასწორ წილს იღებდნენ. სამართლიანობა მოითხოვს, რომ მეტი დამსახურების მქონემ მეტი მიიღოს და პირიქით. დამსახურების მიხედვით მოგების განაწილება მას მიაჩნდა კანონიერად და სამართლიანად და ამაშივე ხედავდა ის თანასწორობის ძირეულ პრინციპს.

არისტოტელე წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ძალადობისა და განსაკუთრებით ძალადობისა პოლიტიკაში. მაგალითად, იგი სასტიკად წინააღმდეგი იყო იარაღითა და ძალადობის სხვა საშუალებებით ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა. ასევე წინააღმდეგი იყო ამა თუ იმ გარდაქმნისა ძალის საშუალებით. ის უფრო მშვიდობიან რეფორმებს უჭერდა მხარს.

არისტოტელე თავის ფილოსოფიურ სისტემას ქმნიდა სხვა მოაზროვნეების, განსაკუთრებით წინამორბედთა შეხედულებების კრიტიკული ათვისების გზით. ეთიკის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა მისი გამონათქვამი, რომ მისთვის ყველაზე ძვირფასია მისი მასწავლებელი პლატონი და ჭეშმარიტება, მაგრამ ის ჭეშმარიტებას მაინც პლატონზე მაღლა აყენებს. ამით იგი ასწავლიდა კაცობრიობას, რომ როგორც საკუთარ ინტერესებზე, ისე საკუთარ სიმპათიებზე და საერთოდ, ყოველივეზე მაღლა ჭეშმარიტება დაეყენებინათ.

არისტოტელეს ეთიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოსავალი იყო ზომიერების დაცვის პრინციპი და ყოველგვარი უკიდურესობის უარყოფა. ზომიერებაში კი მას ესმოდა საშუალო მდგომარეობა, ანუ ყოფნა ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის, გადაჭარბებასა და ნაკლს შორის. ამიტომაც არისტოტელესთან სათნოების ყოველი ფორმა იმყოფება სიჭარბესა და ნაკლებობას შორის, მაგალითად, გონიერება უგრძნობლობასა და თავშეუკავებლობას შორის, გულუხვობა მფლანგველობასა და სიძუნწეს შორის, სიმამაცე ლაჩრობასა და თავაწყვეტილობას შორის.

შეიძლება ითქვას, რომ არისტოტელე სათნოებებს ერთგვარი ტრიადული პრინციპით განიხილავდა, რომლის მიხედვით, თვითეულ სათნოებას უპირისპირდებოდა არა ერთი, არამედ ორი ბოროტება გადაჭარბებისა და

ნაკლის სახით. ამიტომაც არისტოტელეს მეთოდოლოგიას შეიძლება ტრიადული ვუწოდოთ.

არისტოტელეს მთელ ფილოსოფიას და კერძოდ, მის ეთიკას თავიდან ბოლომდე თანმიმდევრულად გატარებული რაციონალისტური ხასიათი აქვს, რადგან მასთან ყოველი ეთიკური მოქმედების წარმმართველი და ხელმძღვანელი არის გონება.

არისტოტელესათვის უცხო იყო საკითხთა ზერელე, ზედაპირული განხილვა და ცდილობდა, სადაც კი შეიძლებოდა, გამოეყენებინა დასაბუთების მეთოდი. ამავე დროს ყოველი მისი გააზრება არის შედეგი ადამიანის ფსიქიკაზე ღრმა დაკვირვებისა. დღესაც გაკვირვებას იწვევს მოვლენების ყოველმხრივი და ამომწურავი ანალიზი, ფაქტების ცოდნა და მათი გენიალური განზოგადების უნარი.

რა თქმა უნდა, ზოგმა მისმა დებულებამ დაკარგა მნიშვნელობა, ზოგი კი იმდენად კარგად იქნა ათვისებული და გათავისებული კაცობრიობის მიერ, რომ ისინი დღეს ტრივიალურად გვეჩვენებიან და არც მათი თავდაპირველი ავტორი გვახსოვს არისტოტელეს სახით. მაგრამ არისტოტელე მეტწილად პირველი და გზის გამკვლევი იყო. ამიტომ ხშირად მისი უზუსტობანი და შეცდომებიც კი მეტს გვასწავლიან, ვიდრე სხვათა ზუსტი დაკვირვებანი. ამ შემთხვევაშიაც კი არისტოტელე გვასწავლის, თუ საითკენ არ უნდა წავიდეთ, რათა ტყუილად არ დავკარგოთ დრო და ენერგია და რათა ჩიხში არ მოვექცეთ.

საუკუნეთა სრბოლამ ვერ შეარყია არისტოტელეს მიერ ზნეობისათვის ჩაყრილი საძირკველი. დღესაც კი განსაცვიფრებელია, თუ ერთი ადამიანის გონება როგორ ჰქმნიდა ასე ლაღად, ფართოდ და ღრმად ზნეობის შენობას, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ჰკვებავდა კაცობრიობის აზროვნებასა და ცხოვრებას.

**თამარ ქუკავა**

# არისტოტელე

# დიდი ეთიკა

## წიგნი I

### თავი 1

1181a მას შემდეგ, რაც გადავწყვიტეთ ვილაპარაკოთ ეთიკის შესახებ, პირველ ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ, თუ რის ნაწილია ეთიკა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ის სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკის ნაწილი. პოლიტიკაში კი მოღვაწეობა არ შეიძლება ისე, თუ კაცს საამისო თვისებები არა აქვს. მე ვგულისხმობ ზნეობრიობას. (ზნეობრივი ადამიანი კი სათნო ადამიანია.) მაშასადამე, [ვინც პოლიტიკურ მოღვაწეობას აპირებს, ის ზნეობრივი ადამიანი უნდა იყოს, რადგან ეთიკის მეცნიერება არის პოლიტიკის ნაწილი და საფუძველი.] საერთოდ კი, მგონია, რომ უფრო მართებული იქნებოდა, რომ ამ მეცნიერებისათვის გვეწოდებინა არა ეთიკა, არამედ პოლიტიკა.

1182a როგორც ჩანს, თავდაპირველად საჭიროა იმის დადგენა, თუ რა არის სათნოება და საიდან წარმოიშობა ის. რადგან არ იქნებოდა კარგი სათნოების ცოდნა იმის გაუთვალისწინებლად, თუ საიდან და როგორ წარმოიშობა იგი. საერთოდ, კვლევა მხოლოდ იმიტომ კი არ უნდა ვაწარმოოთ, რომ გავიგოთ, თუ რას წარმოადგენს სათნოება, არამედ იმიტომაც, რომ ვიცოდეთ, თუ საიდან და როგორ წარმოიშობა ის; რადგან ერთი და იგივეა სათნოების ცოდნა და სათნოდ ყოფნა.

ამრიგად, აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რა არის სათნოება. მაგრამ იმის ცოდნა, თუ საიდან და როგორ წარმოიშობა ის, ადვილი არაა იმის ცოდნის გარეშე თუ რას წარმოადგენს ის სხვა მეცნიერებებში. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს არც ის, თუ უფრო ადრე რა ითქვა სათნოების შესახებ.

პირველად პითაგორამ დაიწყო მსჯელობა ამის შესახებ, მაგრამ არა სწორად. მან სათნოებები რიცხვებზე დაიყვანა და ამიტომ ვერ შექმნა

სათნოების შესაბამისი თეორია. მაგალითად, სამართლიანობა არ შეიძლება იყოს კვადრატში აყვანილი რიცხვი.

პითაგორას შემდეგ მოვიდა სოკრატე, რომელმაც პითაგორაზე უკეთ იმსჯელა; მაგრამ არც ის იყო სწორი, როცა მან სათნოებები ცოდნად აქცია. რადგან ყოველი ცოდნა დასკვნას უკავშირდება, დასკვნა კი წარმოიშობა სულის მოაზროვნე ნაწილში. მაშასადამე, სოკრატეს აზრით, ყველა სათნოება სულის რაციონალურ ნაწილში წარმოიშობა. რადგან მან სათნოებები ცოდნად აქცია, ამით მოსპო სულის ალოგიკური ნაწილი, აფექტები და თვისებები. მაშასადამე, მან სათნოებები სწორად ვერ გაიგო.

სწორი იყო პლატონი, როცა სული ლოგიკურ და ალოგიკურ ნაწილებად დაყო და თვითეულს მისთვის შესაბამისი სათნოება მიაკუთვნა. აქამდე პლატონი სწორია, მაგრამ ამის შემდეგ კი არა, რადგან მან სათნოება აურია მოძღვრებაში იდეების შესახებ, რაც სწორი არაა. იდეებზე მოძღვრება მას სათნოებაზე არ უნდა გაევრცელებინა, რადგან მათ არაფერი არა აქვთ საერთო.

1182b აი, ამაზე შეჩერდნენ ჩვენი წინაპრები. ამის შემდეგ გასარკვევია ჩვენი საკუთარი მოსაზრებანი. პირველ ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ყოველ მეცნიერებასა თუ მოქმედებას აქვს რაიმე მიზანი და ეს მიზანი არის რაღაც სიკეთე, რადგან არც ერთი მეცნიერება ან მოქმედება არ არსებობს ბოროტების მიზნით. თუ ყოველი მოქმედების მიზანი სიკეთეა, ცხადია, რომ საუკეთესო მოქმედების მიზანი საუკეთესო იქნება. პოლიტიკა კი საუკეთესო მეცნიერებაა, ამიტომ მისი მიზანი უმაღლესი სიკეთე უნდა იყოს. როგორც ჩანს, ჩვენ მოგვიწევს მსჯელობა სიკეთეზე, მაგრამ არა ზოგად სიკეთეზე, ან ღვთაებრივ სიკეთეზე, არამედ სიკეთეზე ჩვენთვის. ღვთაებრივი სიკეთის შესახებ საჭიროა სხვა სახის მსჯელობა და კვლევა. ჩვენ კი უნდა ვილაპარაკოთ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი სიკეთის შესახებ. ესეც ნაწილებად უნდა დავყოთ. მსჯელობა ეხება სიკეთის თვისებებს, თვით სიკეთეს კი ერთი მნიშვნელობა აქვს. სიკეთე არის საუკეთესო ადამიანის თვისებებს შორის და ამიტომ ის სასურველია თავის თავად. ანდა სიკეთე ის, რასაც ეზიარებიან მოკლეჭენი, რათა კეთილი გახდნენ. ასეთი კი არის სიკეთის იდეა.

რომელ სიკეთეზე ვილაპარაკოთ, სიკეთის იდეაზე, თუ იმ სიკეთეზე, რომელიც არსებობს ყველაფერში როგორც ზოგადი? მე ვფიქრობ, რომ ზოგადი სიკეთე უნდა განვასხვავოთ სიკეთის იდეისაგან, რადგან იდეა დამოუკიდებელია და თავის თავადი, ზოგადი კი ყველაფერში არსებობს და ის არაა იგივე, რაც დამოუკიდებლად არსებული იდეა. ხოლო ის, რაც დამოუკიდებელი და თავის თავადია, კონკრეტულ საგნებში ვერასოდეს ვერ იარსებებს.

ამრიგად, ვილაპარაკოთ თუ არა სიმრავლეში არსებულ სიკეთეზე? — არა. რატომ? იმიტომ, რომ ის ზოგადია და გვეძლევა განსაზღვრებითა და ინდუქციით. განსაზღვრებაში კი გვეძლევა ცალკეული საგნის არსი, ე.ი. კეთილია ის, თუ ბოროტი, თუ სხვა რამ. განსაზღვრება გვეუბნება, რომ უმაღლესი სიკეთე არის უნივერსალური ხასიათისა, რომელიც სასურველია თავის თავად. ამრიგად, ის, რაც ცალკეულ საგნებში არსებობს, განსაზღვრებას ჰგავს. განსაზღვრება კი გვეუბნება, რომ ეს საგანი კეთილია, მაგრამ არაფერს არ გვეუბნება ამ საგნის მიზნის შესახებ. ეს უკვე სხვა მეცნიერების განხილვის საგანია. არც ექიმი და არც კალატოზი არ ამბობს იმას, რომ ჯანმრთელობა ან სახლი სიკეთეა, არამედ პირველი ადგენს იმას, რაც ჯანმრთელობას იწვევს და როგორ იწვევს, ხოლო მეორე

— იმას, რაც სახლის აშენებისათვის არის საჭირო. ამრიგად, ცხადია, რომ არც პოლიტიკა ლაპარაკობს ზოგად სიკეთეზე. პოლიტიკა ხომ ერთ-ერთია დანარჩენ მეცნიერებათა შორის. მაგრამ ზოგადი სიკეთის, როგორც მიზნის შესწავლა არაა არც რომელიმე უნარის, არც რომელიმე მეცნიერების საქმე. არც პოლიტიკის საქმეა იმ ზოგად სიკეთეზე მსჯელობა, რომელიც განსაზღვრებაში გვეძლევა.

1183a არც ინდუქციით მიღებული ზოგადია პოლიტიკის შესწავლის საგანი. რატომ? — იმიტომ, რომ როცა გვსურს დავამტკიცოთ რომელიმე კონკრეტული საგნის სიკეთე, ამას ან ვამტკიცებთ, ან განვსაზღვრავთ, რომ ერთი და იგივე მსჯელობა უდგება როგორც ზოგად სიკეთეს, ისე იმ კონკრეტულ საგანს, რომლის სიკეთეს ვამტკიცებთ ინდუქციით. მაგალითად, როცა გვსურს იმის დამტკიცება, რომ დიდსულოვნება არის სიკეთე, ვამბობთ, რომ სამართლიანობა არის სიკეთე, სიმამაცე არის სიკეთე და საერთოდ, სათნოება არის სიკეთე. დიდსულოვნება სათნოებაა, ე.ი. დიდსულოვნება სიკეთე ყოფილა. მაშასადამე, პოლიტიკის საქმე არ ყოფილა ინდუქციით მიღებულ ზოგად სიკეთეზე მსჯელობა, რადგან იმავე შეუსაბამობას მივიღებთ, რასაც ზოგადი სიკეთის განსაზღვრისას. ამ შემთხვევაშიც ინდუქციური დასკვნა გვეუბნება, რომ ეს სიკეთეა. ამრიგად, ცხადია, რომ ჩვენ მოგვიწევს მსჯელობა უმაღლეს სიკეთეზე, რომელიც საუკეთესო სიკეთეა ჩვენთვის.

საერთოდ კი, გასაგები უნდა იყოს, რომ ყოველი ზოგადი სიკეთის ცნების კვლევა არაა რომელიმე ერთი მეცნიერების ან უნარის საქმე. რატომ? — იმიტომ, რომ სიკეთე გვხვდება ყველა კატეგორიაში, როგორც არსის, ისე თვისების, რაოდენობის, დროის, მიმართების, ადგილის კატეგორიაში, საერთოდ, ყველა კატეგორიაში. მაგრამ თუ როდის გვხდება სიკეთე მედიცინაში, იცის ექიმმა, ნაოსნობაში — მესაჭემ, ასევე ყველა სხვა სფეროში. რადგან თუ როდის არის საჭირო გაკვეთა, იცის ექიმმა, როდის შეიძლება გაცურვა, იცის მესაჭემ. ამრიგად, თვითეულ დარგში როდის რა

არის სიკეთე, იცის ამ დარგის მცოდნემ. არც ექიმს ეცოდინება, თუ რა დროს რა არის სიკეთე ნაოსნობაში და არც ნაოსანს ეცოდინება, რაა სიკეთე მედიცინაში. მაშასადამე, არც ამ გზით შეიძლება მსჯელობა ზოგად სიკეთეზე, რადგან "როდის" ყველგან ერთნაირია. ასევე მიმართებაც როგორც სიკეთის, ისევ ყველა სხვა კატეგორიაში არის საერთო. არც ერთი უნარისა და არც ერთი მეცნიერების საქმე არაა ზოგადი სიკეთის კვლევა. არც პოლიტიკის საქმეა მსჯელობა ზოგად სიკეთეზე. ამრიგად, ჩვენი მსჯელობის საგანი იქნება უმაღლესი სიკეთე, ანუ სიკეთე ჩვენთვის.

როდესაც რაიმეს დამტკიცება გვსურს, არ უნდა გამოვიყენოთ ბუნდოვანი მაგალითები, არამედ არანათელზე ნათელი მაგალითებით უნდა ვილაპარაკოთ, აზრობრივზე კი — გრძნობადით, რომელიც უფრო ნათელია. ამრიგად, როდესაც ვინმე იწყებს ლაპარაკს სიკეთის შესახებ, ის არ უნდა მსჯელობდეს სიკეთის იდეაზე. მიუხედავად ამისა, ისინი ფიქრობენ, რომ როდესაც სიკეთეზე ლაპარაკობენ, უნდა ილაპარაკონ სიკეთის იდეაზე. ისინი ამბობენ, რომ საჭიროა იმაზე მსჯელობა, რაც მეტად არის სიკეთე, ანუ რაც ყველგან იგივეობრივია. ასე რომ, მათი აზრით, სიკეთე არის იდეა. ასეთი მსჯელობაც სწორია, მაგრამ არც პოლიტიკური მეცნიერება და არც პოლიტიკური უნარი არ იკვლევს ამ სიკეთეს, არამედ იმ სიკეთეს, რომელიც არის სიკეთე ჩვენთვის.

არც ერთი მეცნიერება, არც უნარი არ ამტკიცებს, რომ საბოლოო მიზანი არის სიკეთის იდეა. ამიტომ აქ მსჯელობა არ უნდა ვაწარმოოთ სიკეთის იდეაზე.
1183b ისინი სიკეთის იდეას იყენებენ როგორც საწყისს და აქედან მიიწევენ წინ კონკრეტული მოვლენების კვლევაში. მაგრამ ეს არაა სწორი, რადგან ყოველთვის საჭიროა კონკრეტული საწყისის გამოყენება. რადგან უაზრობა იქნებოდა, რომ ვისაც სურს დაამტკიცოს, რომ სამკუთხედის კუთხეების ჯამი ორი სწორი კუთხის ტოლია, საწყისად იღებდეს იმას, რომ სული უკვდავია. რადგან ეს არაა შესაბამისი საწყისი. საწყისი უნდა იყოს მოვლენის შესაბამისი და მასთან დაკავშირებული. აქ კი კაცს სულის უკვდავების გარეშე შეუძლია დაამტკიცოს, რომ სამკუთხედის კუთხეების ჯამი უდრის ორ სწორ კუთხეს. ასევე კონკრეტული სიკეთეებიც უნდა განვიხილოთ სიკეთის იდეის გარეშე, რადგან ის მათ შესატყვის საწყისს არ წარმოადგენს.

არც სოკრატე იყო სწორი, როცა სათნოებები ცოდნად აქცია. სოკრატე, რომელიც ფიქრობდა, რომ ეს არაფერი უაზრობას არ წარმოადგენს, ცოდნისა და სათნოების გაიგივებით ცოდნას უაზრობად აქცევდა. რატომ? — იმიტომ, რომ მეცნიერების არსის ცოდნა მეცნიერების

დაუფლებასაც ნიშნავს. როდესაც ვინმემ იცის მედიცინის არსი, ის ექიმიცაა. ასევეა სხვა მეცნიერებებშიც. მაგრამ სათნოებაში ეს ასე არაა. რადგან ვინც იცის სამართლიანობის არსი, მაშინვე სამართლიანი ვერ გახდება. იგივე ითქმის სხვა სათნოებებზეც. აქედან გამომდინარეობს, რომ ან სათნოებები არიან უაზრობა, ან ისინი არ წარმოადგენენ ცოდნას.

## თავი 2

ამ განსაზღვრებების შემდეგ ვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ სიკეთის ცნება რამდენი მნიშვნელობით იხმარება. სიკეთეთაგან ერთნი პატივსაცემნი არიან, მეორენი საქებნი, მესამენი შესაძლებლობები. პატივსაცემს მე ვუწოდებ ღვთაებრივსა და საუკეთესო მოვლენებს, როგორიცაა სული, გონება, უფროსი, საწყისი და სხვა ამდაგვარი. პატივსაცემია ის, რასაც პატივი ხვდა წილად, ან რასაც პატივისცემა მოსდევს შედეგად. სათნოებაც პატივსაცემია, რადგან მისი მეოხებით ადამიანი კარგი ხდება და სათნო კაცის სახელს იღებს. ზოგი სათნოება საქებია, რადგან ამ სათნოებით მოქმედებას შედეგად ქება მოსდევს. ზოგი სათნოება კი უნარია, მაგალითად, ძალაუფლება, სიმდიდრე, ღონე, სილამაზე. მათში მოცემულია იმის შესაძლებლობა, რომ კარგმა ადამიანმა ისინი კარგად გამოიყენოს, ცუდმა კი — ცუდად. ამიტომ ასეთ სათნოებებს უნარით უწოდებენ. ისინი, მართლაც, სიკეთენი არიან და მათი ღირებულება ფასდება იმის და მიხედვით, თუ როგორ იყენებს მათ კარგი ადამიანი და არა ცუდი. ხდება ხოლმე ისიც, რომ ამ სიკეთეთა წარმოშობის მიზეზი არის შემთხვევა, რადგან შემთხვევისაგან წარმოიშობა სიმდიდრეც, ძალაუფლებაც და საერთოდ, ყოველივე ის, რაც შესაძლებლობის ფარგლებში თავსდება. დაგვრჩა სათნოებათა მეოთხე ჯგუფი, რომელიც იცავს და ქმნის სიკეთეს. მაგალითად, ფიზიკური ვარჯიში წარმოშობს ჯანმრთელობას და სხვ.

1184a მაგრამ არსებობს სიკეთეთა სხვა დაყოფა. მაგალითად, სიკეთეთა ნაწილი მოსწონს ყველას და ყოველთვის, ნაწილი კი არა. მაგალითად, სამართლიანობა და სხვა სათნოებანი მოსწონს ყველას და ყოველთვის, ხოლო ძალა, სიმდიდრე, გავლენა და სხვა ამდაგვარი არ მოსწონს ყველას და ყოველთვის.

არსებობს სხვა დაყოფაც: სიკეთეთა ნაწილი მიზანია, ნაწილი კი არა. მაგალითად, ჯანმრთელობა მიზანია, ხოლო რაც მას სჭირდება, არაა მიზანი. სადაც ასეთი მდგომარეობაა, იქ მიზანი საუკეთესოცაა. მაგალითად, ჯანმრთელობა სჯობს იმას, რაც ჯანმრთელობისთვისაა საჭირო. მარტივად რომ ვთქვა, საერთოდ, უკეთესია ის, რისთვისაც არსებობს ყოველივე სხვა. მიზანთა შორისაც საბოლოო მიზანი სჯობს არა საბოლოოს. საბოლოოა ის,

რომელსაც არსებობისათვის სხვა რამ არ სჭირდება. არასაბოლოოს არსებობისათვის სჭირდება ბევრი სხვა რამ. მაგალითად, სამართლიანობის არსებობისას ბევრი რამ გვჭირდება, ხოლო ბედნიერების დროს არაფერს არ ვსაჭიროებთ. ესაა ის საუკეთესო სიკეთე ჩვენთვის, რომელსაც ვეძიებთ. საბოლოო მიზანი კი არის ის უმაღლესი სიკეთე, რომელიც სხვა სიკეთეთა მიზანია.

ამის შემდეგ უნდა ვიკვლიოთ, თუ რას ნიშნავს უმაღლესი სიკეთე. ის ამათ უნდა მივაკუთვნოთ? მაგრამ ეს უაზრობა იქნებოდა, რადგან საუკეთესო არის საბოლოო მიზანი, ხოლო საბოლოო მიზანი, მარტივად რომ ვთქვათ, სხვა არა უნდა იყოს რა, თუ არა ბედნიერება. ბედნიერებას კი მრავალი სიკეთეთა შეერთებით ვიღებთ და თუ უმაღლეს სიკეთეს ამ სათნოებებს მივაკუთვნებთ, მაშინ ის თავის თავზე უკეთესი იქნებოდა. მაგალითად, ავიღოთ ჯანმრთელობა და ის, რაც მას სჭირდება. გავარკვიოთ, რომელი ამათგანია უკეთესი? უკეთესია ჯანმრთელობა, და თუ ის ყველაზე უკეთესია, მაშინ ის თავის თავზეც უკეთესი ყოფილა. ამრიგად, შედეგად ვიღებთ უაზრობას. მაშასადამე, ამ გზით შეუძლებელია საუკეთესოს კვლევა.

მაგრამ იქნებ ის დამოუკიდებლად არსებობს? თუ ესეც უაზრობაა? რადგან საბოლოო სიკეთე რაღაც სიკეთეთაგან შედგება, ხოლო იმის კვლევა, რომ ის, შემდგარი ამ სიკეთეთაგან, არის ამათზე უკეთესი, უაზრობაა. ბედნიერება კი არაა სხვა რამ, დამოუკიდებელი ამ სიკეთეთაგან, არამედ ის მათთან იგივეობრივია.

მაგრამ ვინმემ ამ მიმართულებით შეიძლება აწარმოოს სწორი კვლევა, თუ ის შედარებას მიმართავს, მაგალითად, თუ ბედნიერებას ჩათვლიდა ამ სიკეთეთაგან შედგენილად და შეადარებდა იმ სიკეთეთ, რომლებიც მის შემადგენლობაში შედიან. იქნებოდა კი ეს საუკეთესო სიკეთის სწორი კვლევა? მაგრამ იმ უმაღლეს სიკეთეს, რომელსაც ჩვენ ვეძებთ, ერთი მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითად, ვინმეს რომ ეთქვა, რომ გონიერება არის საუკეთესო იმ სიკეთეთა შორის, რომელთაც მას ვადარებთ. მაგრამ არც ამ გზით არის შესაძლებელი საუკეთესო სიკეთის კვლევა. ჩვენ ვეძებთ საუკეთესო სიკეთეს, ხოლო გონიერება, ცალკე აღებული არაა ასეთი სიკეთე. განა ჩვენ საუკეთესო სიკეთეს არ ვეძებთ? მაშასადამე, არც ესაა საუკეთესო სიკეთე და არც ის, ზემოთ რომ იყო მოხსენებული.

## თავი 3

1184b ამას გარდა, არსებობს სიკეთეთა სხვა დანაწილებაც. სიკეთეთა ნაწილი, მაგალითად, სათნოებები, არსებობენ სულში, ნაწილი არსებობს სხეულში, როგორიცაა ჯანმრთელობა და მშვენიერება. ზოგი სიკეთე გარეგანია, როგორიც სიმდიდრე, ძალაუფლება, დიდება და სხვა ამათგან

საუკეთესოა სულში არსებული სიკეთენი. ესენი კი სამად იყოფა: გონიერებად, სათნოებად და სიამოვნებად. ამრიგად, მივედით დასკვნამდე, რომ ბედნიერებაა ის, რასაც ჩვენ სიკეთეთა საბოლოო მიზნად და ყველაზე სრულყოფილ სათნოებად ვთვლით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს იგივეა, რაც კარგად მოქმედება და კარგად ცხოვრება. რაც შეეხება მიზანს, იგი მარტივი არაა, მას ორი მნიშენელობა აქვს: მოქმედება და გამოყენება. როგორც მაგალითად, თვით მხედველობა და მისი გამოყენება. ცხადია, რომ მხედველობის გამოყენება სჯობს მის მხოლოდ ქონებას, რადგან მიზანი მოხმარებაა. არავინ არ ისურვებდა თვალების ისეთ ქონებას, რომ ვერ ხედავდეს და მუდამ დახუჭული ჰქონდეს. ასევეა სმენისა და სხვა ამგვარ შემთხვევებში. სადაც კი გამოყენება და ქონებაა, გამოყენება ყოველთვის უფრო კარგია და სასურველი, ვიდრე მხოლოდ ქონება, რადგან გამოყენება და მოქმედება მიზანია, ქონება კი გამოყენების მიზნით არსებობს.

ამის შემდეგ, ვინც აწარმოებს ცოდნის სახეების კვლევას, დაინახავს, რომ ერთი მათგანი საერთოდ სახლს კი არ აშენებს და მეორე — კარგ სახლს, არამედ ორივე ეს მშენებლობის საქმეა. ხოლო მშენებლობის ხელოვნება, ანუ მშენებლობის სიკეთე არის კარგად შენების ხელოვნება. ასევეა ყველა დანარჩენ შემთხვევებში.

## თავი 4

ამის შემდეგ დავინახავთ, რომ ჩვენ ვცოცხლობთ მხოლოდ სულით და არა სხვა რამით, სათნოება კი სულში იმყოფება. ამიტომ ერთი და იგივეა, ვიტყვით ჩვენ, რომ სული მოქმედებს, თუ სულის სათნოება მოქმედებს. სათნოება არის იმის კარგად კეთების უნარი, რის სათნოებაც ის არის. სული იწვევს იმას, რითაც ჩვენ ვცოცხლობთ. ამრიგად, სულის სათნოების წყალობით ჩვენ კარგად ვცხოვრობთ. მაგრამ კარგად ცხოვრებას და კარგად მოქმედებას სხვას არას ვუწოდებთ, თუ არა ბედნიერებას. ამრიგად, ბედნიერი ცხოვრება და ბედნიერება მდგომარეობს კარგად ცხოვრებაში. ხოლო კარგად ცხოვრება არის ცხოვრება სათნოებით. ესაა საბოლოო მიზანი, ბედნიერება და ყველაზე საუკეთესო სიკეთე.
1185a მაშასადამე, ბედნიერება მდგომარეობს გამოყენებასა და მოქმედებაში. რადგან სადაც ქონება და გამოყენებაა, იქ გამოყენება და მოქმედება იქნება საბოლოო მიზანი. რაც შეეხება სულს, სულის სათნოება არის ქონებაც, მაგრამ მისი სათნოებანია აგრეთვე მოქმედება და გამოყენება. ასე რომ, მისი საბოლოო მიზანი იქნება, როგორც მოქმედება, ისე გამოყენება. ხოლო ბედნიერება იქნება ცხოვრება სათნოებით. რადგან ბედნიერება არის საუკეთესო სიკეთე, რაც მოქმედებათა საბოლოო მიზანიც არის, ამიტომ

თუ სათნოებით ვიცხოვრებთ, ბედნიერნიც ვიქნებით და ყველაზე საუკეთესო სიკეთესაც მოვიპოვებთ.

რადგან ბედნიერება საბოლოო სიკეთე და მიზანი ყოფილა, არ შეიძლება მხედველობიდან იმის გამორჩენა, რომ ბედნიერება სრულყოფილშიც უნდა მდგომარეობდეს. ამიტომ ბავშვი ბედნიერი არ იქნება, რადგან ბავშვი სრულყოფილი არაა, არამედ მამაკაცი, რომელიც სრულყოფილია. ბედნიერება არ იქნება არც დაუსრულებელ დროში, არამედ მთლიან დასრულებელში. დასრულებელი დრო კი გრძელდება ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე. ამიტომ სწორია ხალხი, როცა ამბობს, რომ ბედნიერება ხანგრძლივ სიცოცხლეში უნდა ვეძიოთ. იგულისხმება, რომ სრულყოფილება შეიძლება იყოს იქ სადაც დასრულებულია როგორც დრო, ისე ადამიანის სიცოცხლე.

რომ ბედნიერება არის მოქმედებაც, ამის დამტკიცება შეიძლება შემდეგი მსჯელობით. ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება ძილშია, ვერ ვიტყვით, რომ ის ბედნიერია. მართალია, მას აქვს სიცოცხლე, მაგრამ მას არა აქვს სათნო სიცოცხლე, რაც მოქმედებაში მდგომარეობს.

საკითხი, რომელზეც ახლა უნდა ვილაპარაკოთ, ვფიქრობ, რომ არ უნდა იყოს არც ძალიან დაშორებული ზემოთქმულიდან და არც ძალიან დაკავშირებული მასთან. ვფიქრობ, რომ უნდა არსებობდეს სულის რაღაც ნაწილი, რომლითაც ვიკვებებით და რომელსაც მკვებავ ნაწილს ვუწოდებთ. ეს გონივრულიც არის, რადგან ჩვენ ვხედავთ, რომ ქვებს კვება არ შეუძლიათ. ასე რომ, კვება არის სულიერი არსებების თვისება. მაშასადამე, სული სიცოცხლის თვისება ყოფილა. და თუ ეს სულიერი არსებების თვისებაა, მაშ, სული სიცოცხლის მიზეზიც ყოფილა. მაგრამ სულის ქვემოდ დასახელებულ ნაწილთაგან არც ერთი არაა კვების მიზეზი არც მოაზროვნე არც ნებელობითი და არც ვნებითი, არამედ რაღაც სხვა, ამით გარდა, რომელსაც სხვა უფრო შესაფერის სახელს ვერ ვუწოდებთ, კვებითი ნაწილის გარდა. ვინმემ შეიძლება იკითხოს: არსებობს კი სულის ამ ნაწილის სათნოება? მაგრამ თუ არსებობს, ცხადია, რომ ის უნდა იყოს ამ სათნოების მოქმედი. სრულყოფილი სათნოებით მოქმედება კი არის ბედნიერება. არსებობს თუ არა ამ ნაწილის სათნოება, ეს სხვა საუბრის საგანია. მაგრამ თუ ის არსებობს, მას მოქმედების თვისება უნდა ჰქონდეს, რადგან სადაც არაა იმპულსი, იქ არც მოქმედებას ექნება ადგილი. როგორც ჩანს, სულის ამ ნაწილში, იმპულსი არ უნდა იყოს, არამედ სავარაუდოა, რომ იგი გავს ცეცხლს, რადგან რასაც კი მასში ჩააგდებ, ყველაფერს შლის. და თუ არ ჩააგდებ, არც დაშლას ექნება ადგილი. ასეთივე მდგომარეობა იქნება სულის ამ ნაწილში: თუ ჩააგდებ მასში საკვებს, შეჭამს, მაგრამ თუ არ ჩააგდებ არც კვებისკენ სწრაფვა ექნება. მაშასადამე, სადაც იმპულსი არაა, იქ არ

მოქმედებაა. ასე რომ, სულის ეს ნაწილი არ მონაწილეობს ბედნიერების განხორციელებაში.

1185b ამის შემდეგ განსახილველია საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის სათნოება, რადგან სათნო მოქმედება არის ბედნიერება. მაშინ, მარტივად რომ ვთქვათ, სათნოება ყველაზე კარგი თვისება ყოფილა. მაგრამ არ კმარა ასეთი მარტივი მსჯელობა, საჭიროა მისი უფრო ზუსტი განსაზღვრა.

## თავი ე

ჯერ ვილაპარაკოთ არა იმის შესახებ, თუ რა არის სული (ეს სულ სხვა საუბრის საგანია), არამედ იმის შესახებ, თუ რა ნაწილები აქვს სულს. როგორც ვთქვით, სული იყოფა ორ ნაწილად: მოაზროვნედ და არამოაზროვნედ. მოაზროვნე ნაწილში წარმოიშობა გონიერება, მახვილგონიერება, სიბრძნე, ადვილი ათვისების უნარი, მეხსიერება და სხვ. არამოაზროვნე ნაწილში წარმოიშობა ის სათნოებანი, რომელთა შესახებ უკვე ითქვა: თავშეკავება, სამართლიანობა, სიმამაცე და სხვა ჩვევები, რომლებიც, როგორც ჩანს, საქებად ითვლება. მათ შესახებ ამბობენ, რომ საქებია, ხოლო აზროვნებასთან დაკავშირებულ თვისებათაგან არც ერთი არაა საქები. კაცი არაა საქები იმის გამო, რომ ბრძენია, არც იმის გამო, რომ გონიერია, არც სხვა რომელიმე ასეთი თვისების გამო. არც არამოაზროვნე ნაწილის სათნოებებია საქები, რადგან მათ აქვთ მხოლოდ მომსახურეობის ფუნქცია. ისინი ეხმარებიან მოაზროვნე ნაწილს.

ეთიკური სათნოებები ისპობიან ნაკლებობისა და სიჭარბის გამო. რომ მათ ღუპავს ნაკლებობა ან სიჭარბე, ამის დანახვა შეიძლება ჩვევებზე. ჩვეულებრივად, არანათელ მოვლენებზე ნათელი მაგალითები უნდა გამოვიყენოთ. ამის ცხადყოფა შეძლება ფიზიკური ვარჯიშის მაგალითით. ზედმეტი ფიზიკური ვარჯიში, ისევე, როგორც მცირე ვარჯიში ძალღონეს სპობს. იგივე მდგომარეობაა ჭამა-სმაშიც. ზედმეტი ჭამა ისევე ანადგურებს ჯანმრთელობას, როგორც ნაკლები. ზომიერი ჭამა-სმა კი იცავს ძალღონესაც და ჯანმრთელობასაც. იგივე მდგომარეობაა გონიერებაში, სიმამაცეში და სხვა სათნოებებში. თუ ვინმე ძალიან უშიშარი გახდა ისე, რომ ღმერთებისაც კი არ ეშინია, მამაცი კი არ იქნება, არამედ თავზე ხელაღებული. ხოლო ვისაც ყველაფრისა ეშინია, მხდალია. ამრიგად, მამაცი იქნება ის, ვისაც არც ყველაფრისა ეშინია და არც არაფრისა. მაშასადამე, ერთი და იგივე მოვლენა როგორც აძლიერებს, ისე ანადგურებს სათნოებას. რადგან ძალიან მოშიშნი ისევე ანადგურებენ ყველაფერს, როგორც არაფრის მოშიშნი.

მაშასადამე, სიმამაცის სფეროა შიშის გრძნობა. ზომიერი შიში აძლიერებს სიმამაცეს.

ასეთია შიშის გრძნობა, რომელსაც ადამიანები განიცდიან. ასეთივე მდგომარეობაა სხვა სათნოებებში.

## თავი 6

სათნოებას არა მარტო ამით განსაზღვრავს კაცი, არამედ ტანჯვითა და სიამოვნებითაც, რადგან სიამოვნების გამო ჩავდივართ ცუდს, ხოლო ტანჯვის გამო გვეურბივართ მშვენიერებას. საერთოდ, სიკეთესა და ბოროტებას ვერ გავიგებთ ტანჯვისა და სიამოვნების გარეშე. სათნოება ხომ ტანჯვისა და სიამოვნების სფეროში ელინდება.
1186a ეთიკური სათნოების სახელწოდების დადგენა თუ გვსურს, საჭიროა ჭეშმარიტი მდგომარეობა ვიკვლიოთ ბგერითი გამოთქმების მიხედვით. ეს სწორიცაა, რადგან სიტყვა "ეთოსი" ჩვეულებიდან არის მიღებული, ხოლო სათნოება ეთიკურად იწოდება მიჩვევის გამო. ამით ნათელი ხდება ისიც, რომ სულის ირაციონალური ნაწილის არც ერთი სათნოება არა გვაქვს თანდაყოლილი. არც ერთი ბუნებრივი მოვლენა არ იცვლება ჩვეულების გამო. მაგალითად, ქვა და, საერთოდ, ყოველი მძიმე საგანი ბუნებრივად დაბლა ვარდება, მაგრამ თუ ვინმე მოისურვებს, რომ ის მიაჩვიოს ზემოთ მოძრაობას და ამიტომ ქვას ხშირად ისვრის მაღლა, ქვა მაღლა მაინც არასოდეს არ იმოძრავებს და ყოველთვის დაბლა დაეცემა. ასევეა სხვა ანალოგიურ შემთხვევებში.

## თავი 7

თუ გვსურს დავადგინოთ, რა არის სათნოება, საჭიროა გავარკვიოთ, თუ რა მოვლენებია მოცემული სულში. სულში კი იმყოფება ირაციონალური მოძრაობები, განწყობები და მყარი თვისებები. ცხადია, რომ სათნოება რომელიმე ამათგანი უნდა იყოს. ირაციონალური მოძრაობებია რისხვა, შიში, სიძულვილი, ლტოლვა, შური, თანაგრძნობა და სხვა, რასაც ჩვენი ვარაუდით, თან სდევს ტანჯვა და სიამოვნება. განწყობა კი არის ისეთი მდგომარეობა, რის საშუალებითაც განვიცდით ირაციონალურ ძვრებს და რომლის საშუალებით შეიძლება ჩავვარდეთ რისხვის, შიშის, თანაგრძნობისა და სხვა მდგომარეობაში. თვისებაა ის, რის მეშვეობითაც ამ ვნებების მიმართ ვართ სწორ და არასწორ დამოკიდებულებაში. მაგალითად, სიბრაზის მიმართ ჩვენი დამოკიდებულების შესახებ უნდა ითქვას, რომ თუ ჩვენ ძალიან ვბრაზობთ, მაშინ სიბრაზეში ცუდი თვისება გვქონია, მაგრამ თუ სრულებით არ ვბრაზობთ არც მაშინ, როცა საჭიროა, რომ ვბრაზობ

ამ შემთხვევაშიც სიბრაზეში ცუდი თვისება გვქონია. ამრიგად, ზომიერების დაცვა იქნება არც ზედმეტი სიბრაზე და არც სრული გულგრილობა. როცა ასეთ მდგომარეობაში ვართ, მაშინ კარგი განწყობა გვქონია.

ასევეა სხვა ანალოგიურ შემთხვევებში. სიბრაზეში კარგი თვისების მქონე კაცი იცავს შუალედს მრისხანებასა და ინდიფერენტიზმს შორის. ასევეა ტრაბახსა და თავდამცირებაში. ის, ვინც თავის სიმდიდრეს აზვიადებს, ტრაბახობს, ხოლო ვინც აკლებს, ის თავს იმცირებს. წესიერება იქნება ამ ორ უკიდურესობას შორის.

## თავი 8

ასევეა ყველა სხვა ანალოგიურ შემთხვევაში. სწორედ ამას ნიშნავს თვისება -- კარგ ან ცუდ დამოკიდებულებას ასეთი მოვლენების მიმართ. კარგი განწყობა ნიშნავს არც გადაჭარბებას, არც დამცირებას, ამ ორ განწყობას შუა იმყოფებიან ის თვისებები, რომელთაც საქებად ვთვლით და რასაც კარგ განწყობას ვუწოდებთ. ცუდ განწყობას კი ვუწოდებთ ამავე თვისებებში გადაჭარბებას ან დაკლებას.

რადგან სათნოება ამ ირაციონალურ ვნებებს შუა იმყოფება, ხოლო ვნებები ყოფილა ტანჯვა ან სიამოვნება, ან მათთან კავშირში მყოფი მოვლენა, აქედან ცხადი ხდება, რომ სათნოება ეხება ტანჯვასა და სიამოვნებას.
1126b როგორც ზოგი ამბობს, არსებობს სხვა ირაციონალური ვნებებიც, რომელნიც უარსაყოფნი არიან თავის თავად სიჭარბისა და სიმცირისაგან დამოუკიდებლად. ასეთია, მაგალითად, ცოლ-ქმრული ურთიერთობის დარღვევა და ამ კავშირის დამარღვეველი. ასეთ კაცზე ვერ ვიტყვით, რომ ის თავისუფლად შობილ ქალებს უფრო მეტად აცდუნებს, ვიდრე ეს დასაშვებია, არამედ როგორც ეს, ისე სხვა ამგვარი ირაციონალური ვნებები უარსაყოფნი არიან თავის თავად, იმისაგან დამოუკიდებლად, ამ ვნებების სიჭარბესა აქვს ადგილი, თუ ნაკლებობას.

## თავი 9

ამის შემდეგ აუცილებელია ვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ რა უპირისპირდება შუალედს, სიჭარბე, თუ სიმცირე. შუალედს ზოგჯერ ნაკლებობა უპირისპირდება, ზოგჯერ კი სიჭარბე. მაგალითად, სიმამაცეს უფრო გამბედაობა კი არ უპირისპირდება, არამედ სიმხდალე, ე.ი. გამბედაობის ნაკლებობა. ხოლო გონიერებას, რომელიც სიამოვნების საქმეში თავაშვებულობასა და უგრძნობლობას შორისაა, არა მგონია, რომ უგრძნობლობა უპირისპირდებოდეს, როგორც სიამოვნების სიმცირე, არამედ უპირისპირდება თავშეუკავებლობა, როგორც სიამოვნების სიჭარბე. თუმცა

შუალედს ორივე უპირისპირდება, როგორც სიჭარბე, ისე ნაკლებობა; რადგან შუალედი ნაკლებია, ვიდრე სიჭარბე და მეტი, ვიდრე სიმცირე. ამიტომაც მფლანგველები კეთილშობილთ უწოდებენ ძუნწებს, ხოლო ძუნწები კეთილშობილთ — მფლანგველებს. გაბედულნი და თავზე ხელაღებულნი მამაცებს მხდალებს უწოდებენ, ხოლო მხდალნი მამაცთ — თავზე ხელაღებულთ და უგუნურთ.

მაშასადამე, ორი მიზეზის გამო ვფიქრობთ, რომ შუალედს უპირისპირდება სიჭარბე და ნაკლებობა. თვით პრაქტიკიდან ამოსულთ უნდა გავარკვიოთ, თუ რომელი მოვლენა არის შუალედთან ახლო ან შორს. მაგალითად, დიდსულოვნებისგან უფრო მფლანგველობაა დაშორებული, თუ სიძუნწე? სავარაუდოა, რომ დიდსულოვნებას უფრო მფლანგველობა უახლოვდება, ვიდრე სიძუნწე, რადგან სიძუნწე მისგან უფრო მეტად არის დაშორებული. ხოლო ის, რაც შუალედთან უფრო მეტად არის დაშორებული, მისდამი დაპირისპირებული გვეჩვენება. საქმიდან გამომდინარე კი ნაკლებობა გვეჩვენება შუალედისადმი უფრო მეტად დაპირისპირებული. მაგრამ, მეორეს მხრივ, რაც უფრო მეტად მივეჩვევით მოვლენას, მით უფრო მეტად დაპირისპირებული გვგონია შუასადმი. მაგალითად, ბუნებრივად ჩვენ უწესრიგობას უფრო მეტად ვეჩვევით, ვიდრე წესრიგს და მეტ წარმატებებს ვაღწევთ იმაში, რასაც მივეჩვევით. ხოლო რაშიც მეტი წარმატება გვაქვს, ის შუას უფრო მეტად უპირისპირდება. რადგან ჩვენ უწესრიგობას უფრო ვეგებებით, ვიდრე წესრიგს, ამიტომ აქ სიჭარბე უფრო მეტად იქნება დაპირისპირებული შუასადმი, ვიდრე ნაკლებობა. რადგან თავაშვებულობა უკიდურესად უპირისპირდება გონიერებას.

1187a ამრიგად, უკვე გავარკვიეთ, თუ რა არის სათნოება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის არის შუალედი ორ ირაციონალურ ვნებას შორის. ასე რომ, ვისაც სურს, რომ კარგი კაცის სახელი ჰქონდეს, მან ვნებებში შუალედი უნდა დაიცვას. მაშასადამე, ადვილი არაა კარგი კაცი იყო, რადგან ადვილი არაა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შუალედის დაცვა. მაგალითად, ყველას შეუძლია წრის დახატვა, მაგრამ ძნელია მასში შუის დადგენა. ასევე ადვილია გაბრაზება და მის საწინააღმდეგო მდგომარეობაში ყოფნა, მაგრამ ძნელია ზომიერების დაცვა. საერთოდ, ყოველ ვნებაში ადვილია იმის დანახვა, რაც შუალედის გარშემო მდებარეობს, მაგრამ შუალედის პოვნა, რის გამოც გვაქებენ, ძნელია. ამიტომაც იშვიათია კარგი ადამიანი.

რადგან უკვე ვილაპარაკეთ სათნოების შესახებ, ამიტომ ახლა შემდეგი საკვლევია, შეიძლება თუ არა სათნოდ ყოფნა, თუ როგორც სოკრატე ამბობდა, ჩვენზე არ არის დამოკიდებული კარგი ვიქნებით, თუ ცუდი. ის ამბობდა, რომ თუ შევეკითხებით კაცს, რა სურს იყოს სამართლიანი, თუ უსამართლო, არავინ არ აირჩევდა უსამართლობას. ასევეა სიმამაცეში.

სიმხდალესა და სხვა თვისებებში. ცხადია, რომ თუ ზოგნი ცუდნი არიან, ისინი ასეთნი არიან არა თავისი ნებით. ცხადია, რომ არც კარგნი არიან თავისი ნება-სურვილით. მაგრამ ეს მსჯელობა სწორი არაა, რადგან რატომ ხდება, რომ კანონმდებელი ცუდ მოქმედებას კრძალავს, ხოლო კარგი და მშვენიერი მოქმედებისკენ კი მოუწოდებს? რატომაა, რომ სჯის როგორც იმას, ვინც ცუდს სჩადის, ისე იმას, ვინც კარგს არ სჩადის. მაგრამ უაზრობა იქნებოდა იმის დაკანონება, რაც ჩვენზე არ არის დამოკიდებული. მაგრამ, როგორრც ჩანს, ჩვენზეა დამოკიდებული, ვიქნებით კარგი, თუ ცუდი, რასაც ქებისა და გაკიცხვის ფაქტები ადასტურებენ. ქველმოქმედნი საქებნი არიან, ხოლო ბოროტმოქმედნი გასაკიცხნი. ქება და ძაგება არ ეხება იმათ, რომლებიც იძულებით მოქმედებენ. ამრიგად, ცხადია, რომ ჩვენზეა დამოკიდებული, როგორც ქველმოქმედება, ისე ბოროტმოქმედება. ისინი, რომლებსაც სურთ დაამტკიცონ, რომ ასეთი მოქმედებანი ნება-სურვილით არ ხდება, შემდეგ მაგალითს მიმართავენ: რატომაა, რომ თუ ავად ვართ, ან მახინჯნი ვართ, არავინ არ გვკიცხავს? მაგრამ ასეთი მსჯელობა სწორი არაა, რადგან ვკიცხავთ ასეთებსაც, როცა ვიცით, რომ თვითონ არიან დამნაშავენი ავადმყოფობაში ან სხეულებრივ სიმახინჯეში. ე.ი. ამ შემთხვევაში ნებაყოფლობით მოქმედებასთან გვაქვს საქმე. ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქველმოქმედებაცა და ბოროტმოქმედებაც ადამიანთა სურვილითა ხდება.

## თავი 10-

ამის უფრო ნათელყოფა შეიძლება შემდეგი მსჯელობითაც: ყველა არსი, მაგალითად, მცენარეები და ცხოველები, რომელთაც აგრეთვე აქვთ წარმოქმნის უნარი, წარმოშობენ თავის მსგავს არსთ. ისინი წარმოქმნიან პირველი საწყისებიდან. მაგალითად, ხეები წარმოშობენ თესლიდან, რაც პირველი საწყისია. საწყისიდან კი წარმოშობა ასე ხდება: როგორიცაა საწყისი, ისეთივეა მისგან წარმოშობილი.

1187b ამის უფრო ნათელყოფა შეიძლება გეომეტრიის მაგალითზე. გეომეტრიაში როგორ საწყისებსაც იღებს კაცი, ისეთივე შედეგი ექნება. მაგალითად, თუ სამკუთხედის კუთხეები ეტოლება ორ სწორ კუთხეს, ოთხკუთხედისა — ოთხს, ამიტომ როგორც იცვლება სამკუთხედი, ისევე შეიცვლება ოთხკუთხედიც, რადგან ისინი ურთიერთ კავშირში იმყოფებიან. და თუ ოთხკუთხედს არა აქვს ოთხი თანასწორი კუთხე, არც სამკუთხედის კუთხეები იქნება ორი სწორი კუთხის ტოლი.

## თავი 11

ამის მსგავსი და ასეთივე მდგომარეობაა ადამიანებში, რადგან ადამიანიც სხვა არსებათა წარმომქმნელია და ისიც რაღაც საწყისებიდან აწარმოებს წარმოქმნას. რომელია კიდევ ასეთი შემოქმედი? ჩვენ ადამიანის გარდა, არც ერთ უსულოზე და არც ყველა სულიერზე არ ვამბობთ, რომ მას შემოქმედება შეუძლია. ამრიგად, ცხადია, რომ ადამიანს შემოქმედების უნარი აქვს. ჩვენ ვხედავთ, რომ მოქმედებები იცვლება და ჩვენც ერთსა და იმავეს არასოდეს არ ვაკეთებთ. მოქმედებები კი რაღაც საწყისებიდან გამომდინარეობს. ცხადია, რომ რახან მოქმედება იცვლება, საწყისებიც უნდა იცვლებოდნენ, საიდანაც მოქმედება გამომდინარეობს, როგორც ეს ითქვა გეომეტრიის მაგალითზე. როგორც კარგი, ისე ცუდი მოქმედებების საწყისი კი არის წინასწარი არჩევანი და სურვილი და ყოველივე ეს ხდება აზროვნების საფუძველზე. ცხადია, რომ საწყისები იცვლება და ჩვენც ჩვენს მოქმედებას ჩვენივე ნებით ვცვლით. ამრიგად, იცვლება როგორც საწყისი, ისე ჩვენი წინასწარი არჩევანი და მაშასადამე, ჩვენზე ყოფილა დამოკიდებული, კარგი ვიქნებით, თუ ცუდი.

ამის შესახებ ვინმემ შეიძლება თქვას, რომ რადგან ჩემზე ყოფილა დამოკიდებული კარგი ვიქნები თუ ცუდი, მაშინ, თუ მოვინდომებ, ყველაზე კარგი გავხდები. მაგრამ ეს შეუძლებელია. რატომ? იმიტომ, რომ ეს ასე არ ხდება ჩვენს სხეულშიც კი. ვინმემ რომ მოინდომოს ყველაზე ლამაზი გახდეს და მიმართოს ფიზიკურ ვარჯიშს, ამით ის ყველაზე მშვენიერი ვერ გახდება. მაშასადამე, არ კმარა მხოლოდ ფიზიკური ვარჯიში, არამედ საჭიროა, რომ ბუნებრივად კარგი და მშვენიერი სხეული გქონდეს. ვარჯიშით შეიძლება სხეული უკეთეს მდგომარეობამდე მივიყვანოთ, მაგრამ ყველაზე მშვენიერი მაინც ვერ გავხდებით. იგივე უნდა ითქვას სულის შესახებაც. რადგან, თუ კაცმა გადაწყვიტა ყველაზე კარგი გახდეს, ვერ მიაღწევს ამას, თუ ბუნებამაც არ შეუწყო ხელი. თუმცა ის უფრო კარგი ადამიანი კი შეიძლება გახდეს.

## თავი 12

ახლა, როდესაც ნათელი გახდა, რომ ჩვენზეა დამოკიდებული კარგი ვიქნებით, თუ არა, საჭიროა ითქვას იმის შესახებაც, თუ რა არის ნებაყოფლობითი მოქმედება, რადგან ნებაყოფლობას სათნოებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მარტივად რომ ვთქვათ, ნებაყოფლობითია ის მოქმედება, რასაც ჩვენ იძულების გარეშე ვაკეთებთ. მაგრამ ამის შესახებ საჭიროა უფრო ნათლად ვიმსჯელოთ. ის მიზეზი, რომლის გამო ჩვენ

ვმოქმედებთ, არის მისწრაფება. მისწრაფება კი სამი სახისაა: ვნება, სწრაფვა და სურვილი. ჯერ განვიხილოთ ის მოქმედებები, რომელთაც ვასრულებთ ვნების კარნახით. ნებაყოფლობითია ის, თუ არა? ვფიქრობთ, რომ ის იძულებითი მოქმედება არაა. რატომ და რა საფუძვლით?

1188a არანებაყოფლობით მოქმედებებს ჩვენ იძულებით ვასრულებთ, ხოლო ყოველივე ის, რაც იძულებით ხდება, ტანჯვას იწვევს. ვნებებით ჩადენილი მოქმედებები კი სიამოვნებას იწვევენ. აქედან გამომდინარეობს, რომ ის, რაც ვნების გავლენით ხდება, უნდა იყოს არა იძულებითი, არამედ ნებაყოფლობითი. მაგრამ ამას უპირისპირდება თავშეუკავებლობის მაგალითი, რომლის მიხედვით ბოროტებას ნებაყოფლობით არავინ სჩადის, თუ მან იცის, რომ ეს ბოროტებაა. მაგრამ თავშეუკავებელი კაცი მაინც სჩადის ბოროტებას, თუმცა იცის, რომ ეს ბოროტებაა, სჩადის ვნების კარნახით და მაშასადამე, იძულებით. ამის საწინააღმდეგო არგუმენტია: თუ რაიმეს სჩადიან ვნებით, მას არ სჩადიან იძულებით, რადგან ყოველ ვნებას თან სდევს სიამოვნება. ხოლო სადაც სიამოვნებაა, იქ იძულებას ადგილი არ ექნება.

რომ თავშეუკავებელი კაცი ნებაყოფლობით მოქმედებს, ამის ნათელყოფა სხვა გზითაც შეიძლება, მაგალითად, უსამართლო კაცი ნებაყოფლობით მოქმედებს, თავშეუკავებელნი კი უსამართლონი არიან და უსამართლობას სჩადიან. ასე რომ, თავშეუკავებელი კაცის მოქმედება ნებაყოფლობითი ყოფილა.

## თავი 13

მაგრამ არსებობს ამის საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომლის თანახმად, ეს მოქმედება არაა ნებაყოფლობითი. მართლაც, თავშეკავებული თავშეკავებულია ნებაყოფლობით. მას აქებენ სწორედ ნებაყოფლობითი მოქმედების გამო. მაგრამ თუ ვნებით ჩადენილი მოქმედება ნებაყოფლობითი აღმოჩნდება, მაშინ სურვილის საწინააღმდეგოდ ჩადენილი მოქმედება არანებაყოფლობითი იქნება. თავშეკავებული კაცი კი მოქმედებს სურვილის საწინააღმდეგოდ, მაშინ აქედან გამომდინარეობს, რომ თავშეკავებული ასეთია არანებაყოფლობით. მაგრამ ეს სწორი არ უნდა იყოს, რადგან გამოდის, რომ ძლიერი ვნებით ჩადენილი მოქმედება არანებაყოფლობითია.

იგივე უნდა ითქვას იმ მოქმედებების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობენ ძლიერი იმპულსებიდან. აქ იგივე არგუმენტი გამოდგება, რაც ითქვა ვნების შესახებ. აქაც იგივე აპორია იქნება, რადგან სიბრაზემ შეიძლება მოიცვას თავშეკავებულიც და თავშეუკავებელი კაციც.

დაგვრჩა განსახილველი მისწრაფებათა კიდევ ერთი სახე, რომელსაც სურვილი ვუწოდეთ. ნებაყოფლობითია ის, თუ არანებაყოფლობითი?

თავშეუკავებელთ ის სურთ, რისაც, იმპულსები უკარნახებენ. მაგრამ ნებაყოფლობით ბოროტებას არავინ არ სჩადის, თუ მან იცის, რომ ეს ბოროტებაა. თავშეუკავებელმა კი თუმცა იცის, რომ ეს ბოროტებაა, მაგრამ მაინც სჩადის მას, თუ ამის სურვილი გაუჩნდა. მაშასადამე, ის ნებაყოფლობით არ მოქმედებს და სურვილიც ნებაყოფლობითი მოვლენა არ ყოფილა. ამრიგად, ეს არგუმენტი სპობს როგორც თავშეუკავებლობას, ისე თავშეუკავებელს. რადგან თუ თავშეუკავებელი ნებაყოფლობით არ მოქმედებს, მაშ ის გასაკიცხი არ ყოფილა. მაგრამ თუ მას კიცხავენ, მაშ, მისი მოქმედება ნებაყოფლობითი ყოფილა და მაშასადამე, სურვილიც ნებაყოფლობითი აღმოჩნდება.

## თავი 14

1188b პირველ ყოვლისა, უნდა ვილაპარაკოთ ძალადობისა და იძულების შესახებ. ძალადობა შეიძლება გავრცელდეს უსულო მოვლენებზეც. რადგან უსულოთაც აქვთ მათთვის განკუთვნილი ადგილი: ცეცხლს ზემოთ, მიწას ქვემოთ. მაგრამ მათ მიმართ შესაძლებელია ძალადობის გამოყენება და ქვის ამოძრავება ზემოთ, ცეცხლისა ქვემოთ. ძალადობა შეიძლება გამოყენებულ იქნას ცოცხალი არსებების მიმართაც. მაგალითად, ცხენი, რომელიც პირდაპირ მირბის, შეიძლება მოაბრუნო, ან წრეში ატრიალო. მაშინ, როდესაც საგანი მოქმედებს თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ და ამის მიზეზი იმყოფება მოქმედი საგნის გარეთ, მაშინ ვამბობთ, რომ ეს საგანი ძალადობას ემორჩილება. მაგრამ იმ მოვლენებზე, სადაც მოქმედების მიზეზი მათშივე იმყოფება, ვერ ვიტყვით, რომ ეს მოვლენები ძალადობას ემორჩილებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში თავშეუკავებელი კაცი დაიწყებს თავის მართლებას და თავის დანაშაულს უარყოფს. იგი იტყვის, რომ ასე მოქმედებს იმიტომ, რომ დაემორჩილა ძლიერ სურვილს.

ამრიგად, იძულების შემდეგი განსაზღვრება შეიძლება მივცეთ: იძულება მაშინ ხდება, როდესაც მოქმედების მიზეზი მოქმედის გარეთ იმყოფება და პირიქით, სადაც მიზეზი თვით მოქმედ საგანში იმყოფება, იქ იძულებას არა აქვს ადგილი.

## თავი 15

კვლავ უნდა ვიმსჯელოთ ძალადობისა და იძულების შესახებ, მაგრამ არ შეიძლება ყველგან და ყველაფერს იძულებითი ვუწოდოთ. მაგალითად, არ შეიძლება იძულება ვუწოდოთ იმას, რასაც სიამოვნების მიზნით ვაკეთებთ. ხომ არ შეიძლება ითქვას, რომ კაცი სიამოვნებამ აიძულა, რომ

მეგობრის ცოლი შეეცდინა. ეს ხომ უაზრობა იქნებოდა. ეს კი იმიტომ, რომ იძულების მიზეზი მხოლოდ მოქმედს გარეშე შეიძლება იყოს. მაგალითად, როდესაც კაცი იძულებულია ზარალს შეეგუოს, რათა რაიმე უფრო ძვირფასი გადაარჩინოს. მაგალითად, ამბობენ ხოლმე: იძულებული ვიყავი სწრაფად წავსულიყავი მინდორში, თორემ ყველაფერი კატასტროფიულ მდგომარეობაში დამხვდებოდა.

## თავი 16

რადგან ირაციონალურ ვნებებში ნებით არაფერი არ ხდება, ამიტომ იგი ტანჯვაში უნდა ვეძიოთ. არანებაყოფლობითია ის, რაც იძულებით ხდება, რაც ხდება ძალმომრეობით და წინასწარი განზრახვის გარეშე. ამის დამტკიცება შეიძლება მაგალითებით ცხოვრებიდან: როდესაც ვინმე ვინმეს გაარტყამს, ან მოკლავს, ან სხვა რაიმე ზიანს მიაყენებს წინასწარი განზრახვის გარეშე, ჩვენ ვიტყვით, რომ ის უნებურად მოქმედებს, დარწმუნებული ვართ რა, რომ ნებაყოფლობითი მოქმედება არის წინასწარ განზრახული მოქმედება. მაგალითად, ამბობენ, რომ ვიღაც ქალმა კაცს სიყვარულის წამალი დაალევინა, რის შედეგად ეს კაცი გარდაიცვალა. ქალი გამოცხადდა არეოპაგში, სადაც ის გაამართლეს იმ მოტივით, რომ ის მოქმედებდა წინასწარი განზრახვის გარეშე. მან ხომ წამალი სიყვარულის გამო მისცა, მაგრამ შესცდა. მკვლელობა უნებურად ჩათვალეს, რადგან მან წამალი არ მისცა მოკვლის მიზნით. აქ ნებაყოფლობითი მოქმედება წინასწარ განზრახულს ემთხვევა.

## თავი 17

1189a განსახილველი დაგვრჩა არჩევანი, არის ის მისწრაფება თუ არა? მისწრაფება დამახასიათებელია ცხოველებისთვისაც, მაგრამ არჩევანის თვისება კი არა. რადგან არჩევანი განსჯასთან არის დაკავშირებული, განსჯა კი არც ერთ ცხოველს არ ახასიათებს. მაშასადამე, არჩევანი მისწრაფება არ ყოფილა.

იქნებ ის სურვილია? იქნებ არც სურვილია ის? სურვილი ხომ ვრცელდება ისეთ მოვლენებზეც, რაც შეუძლებელია. მაგალითად, ჩვენ გვსურს, რომ არ დავიხოცოთ. მაგრამ ჩვენ ამას არ ვირჩევთ, რადგან ეს შეუძლებელია. შემდეგ, არჩევანი ეხება არა მიზანს, არამედ იმას, რაც მიზნის განხორციელებას ემსახურება. მაგალითად, არავინ არ ირჩევს ჯანმრთელობას, არამედ ჯანმრთელობის მიღწევის საშუალებებს — სეირნობას, სირბილს, და სხვ. სურვილი კი მიმართულია მიზნისკენ, მაგალითად, ჩვენ გვსურს ჯანმრთელობა. აქედან ცხადი ხდება, რომ სურვილი და არჩევანი

ერთი და იგივე არაა. არჩევანი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ერთ მოვლენას მეორე მოვლენის წინაშე უპირატესობას ვაძლევთ. მაგალითად, უკეთესს ვირჩევთ უარესის ნაცვლად. აი, სწორედ მაშინ ხორციელდება არჩევანი.

რადგან არჩევანი არ ყოფილა მისწრაფება, იქნებ ის დაკავშირებულია განსჯასთან, რაც მას უფრო გადაწყვეტილებას უახლოვებს? თუ ესეც არაა სწორი? ჩვენ ბევრ რამეზე ვმსჯელობთ და ბევრ რამეზე ჩვენი თვალსაზრისი გვაქვს. მაგრამ ჩვენი გააზრების საგანი ამავე დროს ხდება თუ არა ჩვენი არჩევანის საგანი? თუ ეს ასე არაა? მაგალითად, ჩვენ ხშირად ვფიქრობთ ხოლმე ინდოეთის ამბებზე, მაგრამ ამას ჩვენ ჩვენი გადაწყვეტილების საგნად არ ვაქცევთ. მაშასადამე, გააზრება გადაწყვეტილება არ ყოფილა.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა: არჩევანი არ ემთხვევა არც ერთ ამ ფენომენს. სულში კი ამ ფენომენების გარდა, სხვა არაფერია. ამრიგად, გადაწყვეტილება დაკავშირებული უნდა იყოს რომელიმე ზემოთქმულ მოვლენასთან.

როგორც უკვე ვთქვით, გადაწყვეტილება ეხება იმ სიკეთეთ, რომლებიც მიზნის მიღწევის საშუალებებს წარმოადგენენ და არა თვით მიზანს. ეს სიკეთენი კი ჩვენთვის მისაღწევნი არიან და მსჯელობაც შეიძლება იმის შესახებ, თუ რომელი მათგანია უკეთესი. ამრიგად, ცხადი ხდება, რომ ჯერ უნდა იყოს მოფიქრება და ბჭობა, რის შემდეგ ჩვენ ავირჩევთ უკეთესს. აი, მაშინ გვიჩნდება იმპულსი, ვიწყებთ მოქმედებას ამ გადაწყვეტილებით და ვაწარმოებთ ჩვენი არჩევანის განხორციელებას.

1226b რადგან გადაწყვეტილება აღმოჩნდა ბჭობასა და მოსაზრებასთან დაკავშირებული მისწრაფება, აქედან გამომდინარეობს, რომ ნებაყოფლობითი მოქმედება იგივე არ ყოფილა, რაც არჩევანი. მართლაც, ჩვენ ბევრ რამეს ვაკეთებთ მანამ, სანამ მოვიფიქრებდეთ და გავიაზრებდეთ. მაგალითად, ვდგებით, ვჯდებით და ბევრ რამეს ვაკეთებთ მოაზრების გარეშე. ხოლო ის, რაც ემყარება გადაწყვეტილებას, ის აუცილებლად დაკავშირებულია მოფიქრებასთან. ამრიგად, ნებაყოფლობითი მოქმედება არ ყოფილა იგივე, რაც გადაწყვეტილება. ის, რაც გადაწყვეტილებას ემყარება, ამავე დროს ნებაყოფლობითია, რადგან როგორც კი გადაწყვეტილება მივიღეთ, მაშინვე ვიწყებთ მოქმედებას და ეს მოქმედება ნებაყოფლობითია. როგორც ჩანს, ზოგიერთი კანონმდებელნი ერთმანეთისგან ასხვავებენ ნებაყოფლობითს და წინასწარ განზრახულ მოქმედებას, რადგან ეს ორი სხვადასხვა რამაა. ისინი ნებაყოფლობითი მოქმედების გამო ნაკლებ სჯიან, ვიდრე წინასწარ განზრახულის გამო.

არჩევანს ადგილი აქვს იქ, სადაც ხდება ისეთი მოქმედება, რომლის შესრულება ან არ შესრულება, ასე ან ისე შესრულება ჩვენზეა დამოკიდებული და სადაც კითხვას მოქმედების მიზეზის შესახებ ერთი მნიშვნელობა

არა აქვს. მაგალითად, როდესაც გეომეტრიაში კითხულობენ, რატომაა, რომ ოთხკუთხედის კუთხეების ჯამი უდრის ოთხ სწორ კუთხეს, პასუხობენ: იმიტომ, რომ სამკუთხედს აქვს ორი სწორი კუთხე. ასეთ შემთხვევაში მიზეზი დადგენილია წინასწარ დაშვებულ საფუძველზე. მაგრამ მოქმედებათა სფეროში, სადაც ხდება გადაწყვეტილება, ასეთი მდგომარეობა არაა, რადგან აქ არა გვაქვს წინასწარ მოცემული მყარი საფუძვლები. ამიტომ როდესაც ვინმე მოითხოვს პასუხს კითხვაზე: რატომ ჩაიდინე ეს? პასუხობენ: იმიტომ, რომ სხვაგვარად არ შეიძლებოდა, ანდა იმიტომ, რომ ასე უკეთესი იყო. აქედან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერ სიტუაციაში ადამიანები იმას არჩევენ, რაც უფრო მიზანშეწონილი ჰგონიათ და სწორედ ამიტომ იწყებენ მოქმედებას.

მაშასადამე, ასეთ შემთხვევებში მოსაფიქრებელია, თუ როგორ ვიმოქმედოთ, მეცნიერებაში კი ეს საჭირო არაა. მეცნიერებაში არავინ არ თათბირობს იმაზე, თუ როგორ დაწეროს არქილეს სახელი, რადგან შეცდომა აზროვნების დროს კი არა, წერის დროს წარმოიშობა. ხოლო სადაც მოფიქრების დროს შეცდომას ადგილი არა აქვს, იქ არც თათბირობენ. თათბირობენ იქ, სადაც არაა განსაზღვრული, თუ რა უნდა გააკეთოს და შეცდომასაც იქა აქვს ადგილი. გაურკვეველ მდგომარეობას ადგილი აქვს მოქმედებაში, სადაც შეცდომის ორი სახეა შესაძლებელი. ამიტომ ჩვენ ვცდებით, როგორც საერთოდ, მოქმედებაში, ისე იმ მოქმედებაში, რომელიც სათნოებით ხდება. მივისწრაფით რა სათნოებისკენ, ვცდებით თანდაყოლილი მიდრეკილებების სფეროში. აქ შესაძლებელია შეცდომა როგორც ნაკლებობის, ისე გადაჭარბების მიმართულებით. აქეთკენ კი გვიზიდავს სიამოვნება და ტანჯვა, რადგან სიამოვნების გამო ვაკეთებთ ცუდს და ტანჯვის გამო გვეურჩივართ მშვენიერს.

## თავი 18

1190a მოაზრება არაა იგივე, რაც შეგრძნება. მაგალითად, მხედველობით არ შეიძლება ხედვის გარდა, სხვა რაიმეს კეთება. სმენითაც, სმენის გარდა, სხვა არა შეიძლება რა. ამიტომ არც ვთათბირობთ იმაზე, თვალით დავინახოთ და ყურით მოვისმინოთ, თუ არა. მოაზრება კი ასეთი არაა, რადგან მას შეუძლია როგორც ამის, ისე სხვა რამის კეთება. ამიტომ გადაწყვეტილების მიღება აზროვნებაში ხდება. შეცდომა ხდება არა სიკეთეთა საბოლოო მიზნის, არამედ მიზნის მისაღწევ საშუალებათა დადგენის დროს, რადგან მიზნის შესახებ ყველა ერთი აზრისაა, მაგალითად, იმის შესახებ, რომ ჯანმრთელობა სიკეთეა. რაა სიკეთე ჯანმრთელობისათვის ამის ჭამა, თუ არა? აქ უფრო მეტად შეცდომას იწვევს სიამოვნება და ტანჯვა, რადგან ტანჯვას გვეურჩივართ, სიამოვნებას კი ვეტანებით.

მას შემდეგ, რაც გავარკვიეთ, თუ სად და როგორ ხდება შეცდომა, გასარკვევი გვრჩება, თუ რა არის სათნოება, რომლისკენაც მივისწრაფით. მიზანია ის, თუ საშუალება, რაც მიზნის განხორციელებას ემსახურება? ის მშვენიერებაა, თუ ის, რაც მშვენიერებას ემსახურება?

რა მდგომარეობაა მეცნიერებაში, მაგალითად, სახლის მშენებლობაში? მისი მიზანია ლამაზი სახლის აშენება, თუ ამ სახლის აშენების საშუალებების გამონახვა? თუ მისი მიზანია ლამაზი სახლის აშენება, მაშინ იმას, რაც ამის განხორციელებას ემსახურება, სხვა ვერავინ იპოვის და შექმნის, თუ არა სახლის მშენებელი. ასევეა სხვა მეცნიერებებში.

იგივე უნდა ითქვას სათნოებებზე, რომ ის უფრო მეტად მიზანს უნდა იკვლევდეს და ადგენდეს, ვიდრე იმას, რაც ამ მიზანს ემსახურება. როგორც მიზანს, ისე იმ საშუალებებს, რითაც ეს მიზანი ხორციელდება, სხვა ვერავინ ვერ შექმნის და ვერ მოიპოვებს, თუ არა სათნო ადამიანი. ამიტომ გონივრულია, რომ სათნოების სფეროშიც დადგინდეს საბოლოო მიზანი, რაც ყოველივე საუკეთესოს შემოქმედებისა და მოპოვების საწყისი იქნება. მაგრამ სათნოებაზე უკეთესი სხვა რამ არ არსებობს, პირიქით, ყოველი სხვა მისთვის არსებობს. ზოგს საბოლოო მიზანი მიაჩნია ისეთ საწყისად, რომლისთვისაც არსებობს ყოველი სხვა მოვლენა. ეს ერთგვარად სწორიც არის, რადგან სათნოება არის საუკეთესო როგორც მიზეზი და ის უფრო მიზნისკენ არის მიმართული, ვიდრე იმისკენ, რაც ამ მიზნის განხორციელებას ემსახურება.

## თავი 19

სათნოების მიზანია ზნეობრივი მშვენიერება, ამიტომ სათნოება უფრო მშვენიერებისაკენ მიისწრაფის, ვიდრე მისი განხორციელების საშუალებებისკენ. თუმცა სათნოება ამასაც აქცევს ყურადღებას, მაგრამ მისი ყურადღების საგანი მარტო ეს არაა, რადგან ეს უაზრობა იქნებოდა. ასევეა მხატვრობაში. შეიძლება ვინმე კარგი გამომსახველი იყოს, მაგრამ არ აქებდნენ, თუ იგი მიზნად არ დაისახავს ყველაზე მშვენიერი მოვლენების გამოხატვას. ასევეა სათნოებაშიც. მისი მიზანია ზნეობრივი მშვენიერების მიღწევა.

1190b შეიძლება ვინმე შემოგვედავოს, რადგან თავიდან ჩვენ ვამბობდით, რომ სათნო მოქმედება სჯობს სათნოდ ყოფნას, ახლა კი უპირატესობას ვაძლევთ სათნოებას, როგორც საუკეთესო მოვლენას, ისეთ სათნოებას, რაშიც სრულებით არ არის მოქმედება. დიახ, ჩვენ ახლაც იმასვე ვამბობთ, რომ მოქმედება სჯობს ქონებას. კარგ კაცს თანამოქალაქენი აფასებენ მისი საქმეების მიხედვით, რადგან შეუძლებელია ყოველი ადამიანის მიზნის

დანახვა. თვითეული ადამიანის მშვენიერებასთან დამოკიდებულებისა და მისი მიზნის ცოდნა რომ შესაძლებელი ყოფილიყო, მას კარგი ადამიანის სახელი ექნებოდა მოქმედების გარეშე.

რადგან ჩვენ ვნებების შუალედი მდგომარეობა ვახსენეთ, ამიტომ საჭიროა ვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა ეს.

## თავი 20

რადგან სიმამაცე გაბედულებასა და შიშთან არის დაკავშირებული, ამიტომ გასარკვევია, თუ რაში მდგომარეობს გაბედულება და შიში. თუ კაცი, რომელსაც ქონების დაკარგვისა ეშინია და ამიტომ მხდალად ითვლება, მაშინ ამავე მდგომარეობაში მყოფი გაბედული ადამიანი ჩაითვლება თუ არა მამაცად? ასევე, როდესაც ვინმეს ავადმყოფობისა ეშინია, ანდა სრულებით არ ეშინია, ამ შემთხვევაში არც მშიშარაა ლაჩარი და არც უშიშარია მამაცი. მაშასადამე, სიმამაცე არ მდგომარეობს ასეთ შიშსა და გაბედულებაში. არც ისაა მამაცი, ვისაც არ ეშინია ქუხილისა და ელვის, ანდა რაიმე სხვა ისეთის, რაც ადამიანური შესაძლებლობის ფარგლებს სცილდება. ის უფრო მეტად უგუნური იქნება. სიმამაცე და გამბედაობა უფრო ადამიანური შესაძლებლობის ფარგლებში უნდა იმყოფებოდეს. მე ვგულისხმობ იმას, რომ რისაც ყველას ეშინია, ან ეშინია უმრავლესობას და ვინც ამაში გაბედულია, ისაა მამაცი.

განვსაზღვრეთ რა ეს, გასარკვევი გვრჩება, თუ ვინაა ნამდვილად მამაცი, რადგან სიტყვა „მამაცს" ადამიანები მრავალი მნიშვნელობით ხმარობენ. მაგალითად, ჯარისკაცები, რომლებმაც გამოცდილებით იციან, რომ ამ ადგილს, ამ დროს და ამ პირობებში მათ საფრთხე არ მოელით და ამიტომ ადვილად იგერიებენ მტერს, მამაცნი არ არიან. მათ ეს ცოდნა რომ არ ჰქონოდათ, ადგილზე არ გაჩერდებოდნენ. მაშასადამე, კაცს გამოცდილების გამო მამაცს ვერ ვუწოდებთ.

არც სოკრატე მსჯელობდა სწორად, როცა ამტკიცებდა, რომ სიმამაცე არის ცოდნა, რადგან [ცოდნა მიიღება ჩვევებიდან გამომუშავებული გამოცდილებით.] გაბედულს გამოცდილების გამო მამაცს არ უწოდებენ და არც ვინმე იტყვის მასზე, რომ ის მამაცია. მაშასადამე, სიმამაცე არაა ცოდნა. პირიქით, ადამიანები მამაცნი არიან გამოცდილების საწინააღმდეგო მდგომარეობაში. გამოუცდელთ არ ეშინიათ მოსალოდნელი საფრთხისა გამოუცდელობის გამო. მაგრამ არც ამათ ეწოდებათ მამაცნი.

1191a ზოგნი მამაცნი მოჩანან ვნებების გამო, მაგალითად, შეყვარებულნი, ან აღგზნებულნი. არც ამათზე ითქმის, რომ მამაცნი არიან, რადგან მათ

როგორც კი გრძნობა გაუვლით, აღარც მამაცნი იქნებიან. მამაცი კი მუდამ მამაცი უნდა იყოს. არც გარეულ მხეცებზე, მაგალითად, გარეულ ტახზე, არავინ იტყვის, რომ ის მამაცია მაშინ, როცა ის დაჭრილია, ჭრილობის გამო იტანჯება და ამიტომ იძულებულია თავი დაიცვას. ამრიგად, ვნებების გამო გაბედული არაა ნამდვილი მამაცი.

ასებობს სხვა სახის სიმამაცე, რომელიც მოქალაქეობრივ სიმამაცედ ითვლება. მაგალითად, ზოგიერთი მებრძოლი თანამოქალაქეთა წინაშე სირცხვილის გამო არ უშინდება საფრთხეს და ამიტომ მამაცად მოჩანს. ამის მაგალითია: ჰომეროსი ჰექტორს ათქმევინებს ("ილიადა", 22, 100), რომ "პირველად პოლიდამე შეურაცხმყოფდა ლანძღვით". ამიტომ ფიქრობდა, რომ ბრძოლა დაეწყო. არც ამაზე ითქმის, რომ მამაცია. თვითეულ ამ შემთხვევას უდგება ეს განსაზღვრება: თუ გრძნობის გაქრობისას სიმამაცეც ქრება, მაშ, აღარც სიმამაცე არსებულა. ვისაც სირცხვილის გრძნობა გაუვლის, რომელიც მას სიმამაცისაკენ უბიძგებს, ის კაცი აღარც მამაცი იქნება.

ზოგნი მოჩვენებით მამაცნი არიან ან იმედით, ან მოსალოდნელი სიკეთის გამო. არც ამათ ეთქმით მამაცი, რადგან ასეთ მდგომარეობაში ამ ადამიანების ჩათვლა მამაცად უაზრობა იქნებოდა.

არც ერთი ზემოთ დასახელებული შემთხვევა არ შეიძლება ჩაითვალოს სიმამაცის რაიმე სახედ. ამიტომ გასარკვევია, თუ რაში მდგომარეობს სიმამაცის არსი. მატივად რომ ვთქვათ, კაცი მამაცად ვერ ჩაითვლება ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო. მამაცად ჩაითვლება ის, ვინც იცის, თუ რა არის მშვენიერი და ამ მიზნით მოქმედებს კიდეც. მაგრამ ამათშიც ზოგი ჩაითვლება მამაცად და ზოგი კი არა.

მაგრამ სიმამაცე არ წარმოიშვება ყოველგვარი ვნებისა და მისწრაფების გარეშე, ე.ი. ყოველგვარი იმპულსის გარეშე. ოღონდ საჭიროა, რომ ეს სწრაფვა წარმოშობილი იყოს გააზრების შედეგად და მიზნად მშვენიერება ჰქონდეს დასახული. კაცი, რომელიც მშვენიერების ცოდნის საფუძველზე საფრთხეში იგდებს თავს და უშიშარია, მამაცია და სიმამაცის სფეროც ესაა.

ა. კაცი უშიშარი მაშინ კი არაა, როცა სრულებით არა აქვს შიში, რადგან კაცი, რომლისთვისაც საერთოდ, არაფერია საშიში, არც მამაცია: ამ შემთხვევაში მამაცი იქნებოდა ქვაც და სხვა უსულო საგანიც. ამრიგად, საჭიროა, რომ კაცს ეშინოდეს, მაგრამ მაინც რჩებოდეს ადგილზე. ხოლო ვინც ადგილზე რჩება ისე, რომ არაფრისა არ ეშინია, არც მამაცი იქნება.

ბ. ამას გარდა, როგორც ზემოთაც ვთქვი, სიმამაცე მდგომარეობს არა ყოველგვარ შიშსა და ხიფათში, არამედ ისეთში, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ემუქრება.

გ. არც ყველგან და ყოველთვის გვხვდება სიმამაცე, არამედ იქ, სადაც ხიფათი და საშიშროება ახლოა. რადგან ვისაც ათი წლის შემდეგ მოსალოდნელი ხიფათისა არ ეშინია, მამაცი არაა. ზოგნი გაბედულნი არიან იმის მიზეზით, რაც ძალიან შორსაა, მაგრამ ხიფათის მოახლოებისას შიშით იხოცებიან.

აი, ესაა სიმამაცე და ასეთნი არიან მამაცნი.

## თავი 21

1191b გონიერება სიამოვნების გრძნობის სფეროში თავაშვებულობასა და უგრძნობლობას შუა იმყოფება. [გონიერება და საერთოდ, ყოველგვარი სათნოება საუკეთესო თვისებაა. საუკეთესო თვისება კი საუკეთესო ადამიანს აქვს.] საუკეთესო თვისება მდებარეობს სიჭარბესა და ნაკლებობას შორის, რადგან გასაკიცხია ორივე, როგორც სიჭარბე, ისე ნაკლებობა. ასე რომ, თუ შუალედი საუკეთესოა, ის იქნება ორ უკიდურესობას შორის, თავაშვებულობასა და უგრძნობლობას შორის. აი, ესაა სწორედ შუალედი.

მეორეს მხრივ, გონიერება ეხება სიამოვნებასა და ტანჯვას, მაგრამ არა ყოველგვარ ტანჯვასა და სიამოვნებას და არც ყოველთვის. მაგალითად, თუ ვინმეს სიამოვნებს ნახატის ან ქანდაკების ყურება და ამ მხრივ თავშეუკავებელია, მას თავშეუკავებლად მაინც ვერ ჩავთვლით. არც ყნოსვისა და სმენის სიამოვნებაში ვუწოდებთ კაცს თავშეუკავებელს. თავშეკავება და თავშეუკავებლობა ვლინდება შეხებასა და გემოვნებაში. კაცი თავშეკავებულად არ ჩაითვლება, თუ სრულებით არაფერს არ განიცდის, რადგან ასეთი კაცი უგრძნობია. გონიერად ის ჩაითვლება, რომელიც განიცდის, მაგრამ არა ისეთი გატაცებით, რომ გადაჭარბებული სიამოვნების გამო ყოველივე სხვა ზედმეტი ჰგონის. გონიერად ჩაითვლება ის, ვინც მოქმედებს არა სხვა რაიმე მიზნით, არამედ მხოლოდ მშვენიერების გამო. ხოლო ის, ვინც სიამოვნებაში გადაჭარბებისაგან თავს იკავებს ან შიშის ან რაიმე სხვა ამდაგვარი მიზეზის გამო, გონიერი არ იქნება.

ადამიანის გარდა, სხვა ცოცხალ არსებაზე არ ვამბობთ, რომ ის გონიერია, რადგან მათ აზროვნების უნარი არა აქვთ, რითაც ისინი მშვენიერებას დააფასებდნენ და მისი მიღწევის მიზნით იმოქმედებდნენ. ყოველი სათნოება მშვენიერებას ეხება და მისი მიღწევისაკენ არის მიმართული. ხოლო გონიერება დაკავშირებულია ამ სიამოვნებასა და ტანჯვასთან, რომელიც შეხებითა და გემოვნებით წარმოიშობა.

## თავი 22

მიღებული შედეგების შემდეგ უნდა ვილაპარაკოთ სიმშვიდის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ის და როგორია მისი მოქმედების სფერო. სიმშვიდე იმყოფება მრისხანებასა და უგრძნობლობას შორის. საერთოდ, როგორც ჩანს, სათნოებანი რაღაც შუალედურ მდგომარეობას წარმოადგენენ. რომ ისინი შუალედურნი არიან, ამის დამტკიცება ასეც შეიძლება: ყველაზე საუკეთესო მოვლენა შუაში მდებარეობს, სათნოება კი არის საუკეთესო თვისება, მაშ სათნოებაც შუალედი ყოფილა. ეს უფრო ნათელი გახდება, თუ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ. თუ მრისხანეა ის, ვინც ყველაფერზე, ძალიან ხშირად მრისხანებს და ის გასაკიცხია, მაშინ გამოდის, რომ კაცი არ უნდა მრისხანებდეს ყველაფერზე, ყველგან, ძალიან და ყოველთვის; გასაკიცხია ისიც, ვინც არაფერზე და არასოდეს არ მრისხანებს, რადგან ის უგრძნობია. საერთოდ, გასაკიცხია როგორც ზედმეტად, ისე ნაკლებ მრისხანე, ამიტომ მათ შუა მყოფი იქნება მშვიდი და საქები. ამრიგად, არაა საქები არც ზედმეტად და არც ნაკლებად მრისხანე კაცი, არამედ მათ შუა მყოფი. ასეთი კაცი კი მშვიდია და სიმშვიდეც ამ ორ უკიდურესობას შუა იმყოფება.

## თავი 23

1192a ხელგაშლილობა იმყოფება მფლანგველობასა და სიძუნწეს შორის. ეს ვნებები დაკავშირებულია ქონებასთან. მფლანგველია ის, ვინც ხარჯავს იმაზე, რაზეც არ არის საჭირო ხარჯვა, ხარჯავს მეტს, ვიდრე საჭიროა, და მაშინ, როცა არაა საჭირო. ძუნწი კი მას უპირისპირდება. იგი არ ხარჯავს იმაზე, რაზეც საჭიროა, არ ხარჯავს იმდენს, რამდენიც საჭიროა და არც მაშინ, როცა საჭიროა. ორივენი გაკიცხვას იმსახურებენ, პირველი გადაჭარბებისა და მეორე ნაკლები ხარჯვის გამო. ქების ღირსი კი იმყოფება ამ ორ უკიდურესობას შუა. ვინაა ის? ესაა ის კაცი, რომელიც ხარჯავს იმაზე, რაზეც საჭიროა, იმდენს, რამდენიც საჭიროა და მაშინ, როდესაც საჭიროა.

## თავი 24

სიძუნწის ფორმები მრავალგვარია. მაგალითად, ძუნწს ვუწოდებთ ხარბს, გაუმაძღარს, ანგარებიანს, მომჭვევს. ყველა ესენი სიძუნწის ფარგლებში მდებარეობენ, რადგან ბოროტება მრავალგვარია, სიკეთე კი ერთგვარი. მაგალითად, ჯანმრთელობა ერთგვარია, ავადმყოფობა კი —

მრავალგვარი. სათნოება ერთია, ბოროტება კი მრავალგვარი. ყველა ეს ბოროტებანი გასაკიცხნი არიან ქონების საკითხში.

ნიშნავს თუ არა სიუხვე ქონების მოპოვებისა და მისი დაგროვების თვისებას? ვფიქრობ, რომ არა. მაგრამ ის არ ეხება არც სხვა რომელიმე სათნოებას. არც სიმამაცეს ეხება იარაღის დამზადება, არამედ სხვა სათნოებას. სიმამაცის საქმეა მისი ტარება და სწორი მოხმარება. ასევეა გონიერებასა და სხვა სათნოებებში. გონიერება არ ეხება ხელგაშლილობას, არამედ ქონების მოპოვების ცოდნას.

## თავი 25

დიდსულოვნება მდებარეობს მედიდურობასა და სულმოკლეობას შუა. მისი სფეროა პატივისცემისა და უპატივცემულობისა, მაგრამ არა პატივისცემა მასების მხრივ, არამედ გონიერი ადამიანების მხრივ. უმეტეს შემთხვევაში იგი სწორედ ამას ეხება. გონიერნი მართებულად სცემენ პატივს ცოდნისა და სწორი შეფასების საშუალებით. ამიტომ უფრო სასურველია, რომ ისინი გვცემდნენ პატივს, რომლებიც შენსავით ფიქრობენ, რომ შენ პატივისცემის ღირსი ხარ. აქ ლაპარაკია არა ყოველგვარ პატივისცემაზე, არამედ უმაღლეს პატივისცემაზე. პატივისცემა კი ისეთი სიკეთეა, რომელსაც აქვს უმაღლესი საწყისის მნიშვნელობა.

ის ადამიანები კი, რომელნიც უღირსნი და მდაბალნი არიან, მაგრამ თავს დიდად იფასებენ და პატივისცემასაც მოითხოვენ, ცუდ მედიდურნი არიან. ხოლო ისინი, რომლებიც თავის თავს ნაკლებ სცემენ პატივს, ვიდრე იმსახურებენ, სულმოკლენი არიან. მათ შუა იმყოფება ის, ვინც თავის თავს იმაზე მეტი ან ნაკლები პატივისცემის ღირსად არ თვლის, ვიდრე იმსახურებს. ის არც ყოველგვარ პატივს მოითხოვს. ასეთია დიდსულოვანი ადამიანი.

ამრიგად, ცხადი გახდა, რომ დიდსულოვნება იმყოფება მედიდურობასა და სულმოკლეობას შორის.

## თავი 26

1192b ბრწყინვალე ადამიანი იმყოფება ტრაბახასა და წვრილმან ადამიანს შუა. ბრწყინვალება ეხება ფულის ხარჯვას. ბრწყინვალე ადამიანი ხარჯავს იქ, სადაც საჭიროა, ხოლო მკვეხარა ხარჯავს იქ, სადაც საჭირო არაა. მაგალითად, როდესაც კაცი უბრალო წვეულებას ისე აწყობს, თითქოს ქორწილი ყოფილიყოს, მკვეხარაა. მკვეხარა ისეთი კაცია, რომელსაც თავი მდიდრად მიაქვს იქ, სადაც საჭირო არაა. წვრილმანი ადამიანი მას

უპირისპირდება, სადაც საჭიროა, იქ ან ბევრს დახარჯავს, ან სულაც არაფერს. მაგალითად, ქორწილზე ან ქოროზე გაიღებს არა იმდენს რამდენიც საჭიროა, არამედ ცოტას, ისეთი კაცი ძუნწია. ხოლო ბრწყინვალე ისეთია, როგორიც დავახასიათეთ და რისაც სახელიც ცხადყოფს. ის დიადია იქ სადაც საჭიროა. ამიტომ სახელი "ბრწყინვალე" მას კარგად უხდება. ბრწყინვალე კაცი საქებია, რადგან ის ხარჯავს იქ სადაც საჭიროა და ის მდებარეობს გადაჭარბებასა და სიძუნწეს შუა. იგი იცავს შუალედს იქ სადაც საჭიროა.

როგორც ჩანს, ბრწყინვალების მრავალი სახე არსებობს. მაგალითად, ამბობენ, რომ იგი "ბრწყინვალედ დადიოდა" და სხვა "ანალოგიური" შემთხვევები. მაგრამ აქ "ბრწყინვალე" იხმარება გადატანითი მნიშვნელობით, რადგან ბრწყინვალება ამაში კი არ მდგომარეობს, არამედ იმაში, რაც უკვე ვთქვით.

## თავი 27

სინანული იმყოფება შურისა და გულბოროტებას შორის. ორივე უკანასკნელი გასაკიცხია. სინანული კი საქებია. სინანული ეხება იმ კეთილდღეობას, რაც ულირსს ხვდა წილად. მონანული ამ შემთხვევაში იტანჯება. იგი იტანჯება მაშინაც, როცა ხედავს, რომ ბოროტება ვინმეს დაუმსახურებლად ხვდა წილად. ესაა სინანული და შემბრალებელი კაცი ისეთია. შურიანი კი ამას უპირისპირდება. მარტივად რომ ვთქვა, შურიანი იტანჯება როგორც ღირსეული, ისე ულირსი კაცის კეთილდღეობის გამო. გულბოროტს კი სიამოვნებს როგორც ღირსეულის, ისე ულირსის უბედურება. მონანიე კი ისეთი არაა. ის მათ შორის იმყოფება.

## თავი 28

ღირსეული ადამიანი იმყოფება თავმომწონე და მონური ბუნების ადამიანთა შორის. მისი სწორი ადამიანთა ურთიერთობა. თავმომწონე ისეთი ადამიანია, რომელსაც ვერანაირად ვერ დაუკავშირდები და ვერ დაელაპარაკები. მისი სახელწოდება მისივე თვისებებიდან წარმოსდგება. რადგან თავმომწონე დამოუკიდებელია და თავისი თავით კმაყოფილი, ხოლო პირმოთნე უკავშირდება ყველას ყოველი ხერხით და ყველგან. ამიტომ ამ ორიდან არც ერთი საქები. ღირსეული ადამიანი მათ შორის იმყოფება და საქებია. იგი ყველას კი არ უკავშირდება, არამედ ღირსეულს. იგი არც ყველასგან არის დაშორებული, არამედ ზემოთ დასახელებულთაგან და მხოლოდ მათგან.

## თავი 29

1193a თავმდაბალი კაცი იმყოფება ურცხვსა და მორცხვს შორის. მისი მოქმედების სფერო მეტყველების სფეროა. ურცხვია ის, ვინც ყველგან და ყველაფერზე ლაპარაკობს და მოქმედებს. მორცხვი მას უპირისპირდება. იგი ყოველთვის და ყველას მიმართ მორიდებულია, როგორც მოქმედებაში, ისე ლაპარაკში. ასეთი კაცი კი, რომელსაც ყველაფრისა რცხვენია, არაპრაქტიკულია. თავმდაბალი კაცი კი ამათ შუა იმყოფება, როგორც მოქმედებაში, ისე ლაპარაკში. იგი არც ყოველთვის და არც ყველას მიმართ არაა ისეთ დამოკიდებულებაში მოქმედებასა და ლაპარაკში, როგორც მორცხვი და ურცხვი კაცი. მორცხვი ხომ ყველას მიმართ მორიდებულია. თავმდაბალი კი მოქმედებს და ლაპარაკობს იქ, სადაც საჭიროა, რაც საჭიროა და როცა საჭიროა.

## თავი 30

გონებამახვილობა მდებარეობს მასხარაობასა და უხეშობას შორის. მისი მოქმედების სფეროა ხუმრობა. მასხარა ფიქრობს, რომ უნდა იხუმროს ყველაზე და ყველაფერზე. უხეშია ის კაცი, რომელსაც არც ხუმრობა უნდა და არც ხუმრობის საგნად ყოფნა და ასეთ შემთხვევებში ის ბრაზობს. გონებამახვილი მათ შორის იმყოფება. იგი არ დასცინის ყველასა და ყველაფერს და არც უხეშია. სიტყვა „გონებამახვილს" ორი მნიშვნელობითა ვხმარობთ, როგორც მოხერხებული ხუმრობის, ისე ხუმრობის ატანის მნიშვნელობით.

ასეთია მახვილგონიერი და მახვილგონიერება.

## თავი 31

მეგობრობა იმყოფება მლიქვნელობასა და მტრობას შორის. იგი ეხება საქმესა და სიტყვას. მლიქვნელია ის, ვინც ბევრს უმატებს არსებულ მოვლენებსა და ფაქტებს. მტერი, პირიქით, სიძულვილითაა აღსავსე და ფაქტებს ბევრს აკლებს. არც ერთი ამათგანი არ იმსახურებს ნამდვილ ქებას. მეგობრობა კი ამათ შორის იმყოფება. მეგობარი არც ფაქტებს უმატებს ბევრს და არც აქებს იმას, ვინც ქების ღირსი არაა, ის არ ამცირებს ფაქტებს და არც ყოველთვის ეწინააღმდეგება თავის შეხედულებებს.

ასეთია ნამდვილი მეგობარი.

## თავი 32

1193b სიმართლის სიყვარული იმყოფება დაცინვასა და ტრაბახს შუა. იგი სიტყვას ეხება, თუმცა არა ყოველგვარ სიტყვას. ტრაბახაა ის, ვინც თავის თავს იმაზე მეტს მიაწერს, ვიდრე არის სინამდვილეში, ანდა მიიწერს იმის ცოდნას, რაც არ იცის. დამცინავი, პირიქით, თავის თავს იმაზე ნაკლებს მიაწერს, ვიდრე არის სინამდვილეში. ის არ ავლენს თავის ცოდნას, არამედ მალავს. ხოლო სიმართლის მოყვარე არაფერს ამდაგვარს არ სჩადის. იგი თავის ქონებას არც უმატებს, არც აკლებს, არამედ ამბობს იმას, რაცა აქვს და რაც იცის.

სათნოებანია ყოველივე ეს თუ არა, ამაზე სხვაგან გვექნება ლაპარაკი. მაგრამ რომ მათ შუა ადგილი უკავიათ ზემოთქმულ უკიდურესობათა შორის, ეს კი ცხადია. და ისინი, ვინც ამ სათნოებათა მიხედვით ცხოვრობენ, ქების ღირსნი არიან.

## თავი 33

დაგვრჩა განსახილველი სამართლიანობა, რა არის ის, სად არსებობს და რას ეხება? თავდაპირველად გავარკვიოთ, თუ რა არის სამართალი. „სამართალს" ორი მნიშვნელობა აქვს. მისი პირველი მნიშვნელობაა მოქმედება კანონების შესაბამისად, ე.ი. სამართლიანი იქნება ის, რასაც კანონი გვიკარნახებს. კანონი კი გვიკარნახებს სიმამაცეს, გონიერებას, მარტივად რომ ვთქვათ იმას, რასაც სათნოება ეწოდება. ამიტომაც ამბობენ, რომ სამართლიანობა არის რაღაც სრულყოფილი სათნოება. თუ სამართლიანი არის ის, რასაც კანონი გვიკარნახებს, ხოლო კანონი გვიკარნახებს სათნო მოქმედებას, მაშინ, ვინც კანონს იცავს, ის ღირსეული ადამიანი იქნება, ხოლო სამართლიანობა იქნება რაღაც სრულყოფილი სათნოება. მაშასადამე, სათნოების ერთი ფორმა იმყოფება ამ სფეროში და ამას ეხება. მაგრამ ჩვენ ვიკვლევთ არა ამ სამართალს და ამ სამართლიანობას, რადგან ამ გაგებით, სამართლიანი უნდა იყოს სამართლიანი თავის თავის მიმართ. რადგან გონიერნი, მამაცნი და თავშეკავებულნი ასეთნი არიან თავის თავის მიმართ. მაგრამ სამართლიანობა სხვასთან მიმართებაში არ ემთხვევა ამ კანონიერ სამართლიანობას. ამიტომ ის, რაც სამართლიანია თავის თავის მიმართ, არ ნიშნავს სამართლიანობას სხვასთან მიმართებაში. ჩვენ კი სწორედ ამ უკანასკნელ სამართალსა და სამართლიანობას ვიკვლევთ.

მარტივად რომ ვთქვათ, სამართლიანობა არის თანასწორობა სხვასთან მიმართებაში, უსამართლობა კი უთანასწორობა იქნება. როდესაც ადამიანები

თავისთავის ითვისებენ მეტ სიკეთეს და ნაკლებ ბოროტებას, ეს უთანასწორობაა. ამ შემთხვევაში ერთი მხარე სჩადის უსამართლობას, მეორე მხარე კი განიცდის მას. რადგან უსამართლობა არის უთანასწორობა, ხოლო სამართალი და სამართლიანობა კი თანასწორობა, მაშინ ცხადია, რომ სამართლიანობა რაღაც შუალედია ჭარბსა და მცირეს, მეტსა და ნაკლებს შორის. უსამართლის უსამართლო მოქმედებით მეტი აქვს, ხოლო უსამართლობის განმცდელს კი უსამართლობის განცდის გამო ნაკლები აქვს. მათ შორის იმყოფება სამართლიანობა. შუალედი კი თანასწორობას ნიშნავს. ამრიგად, სამართლიანობა უნდა იყოს ის სიკეთე, რომელიც მეტსა და ნაკლებს შორის მდებარეობს. ხოლო სამართლიანია ის, ვინც თანასწორობას იცავს. თანასწორობა კი სულ მცირე ორი მხარის არსებობას მოითხოვს. მაშ, სამართლიანობა იქნება ერთი მხარის თანასწორობა მეორესთან. ასეთივე იქნება სამართლიანი კაციც. რადგან სამართლიანობა ნიშნავს თანასწორობასა და შუალედის დაცვას, ამიტომ სამართლიანი რაიმეს ან ვინმეს მიმართ უნდა იყოს სამართლიანი. ასევე თანასწორი რაიმეს ან ვინმეს მიმართ თანასწორი და შუალედიც რაღაცის შუალედი. ამრიგად, სამართლიანობა და სამართალი მდგომარეობს რაიმესთან ან ვინმესთან დამოკიდებულებაში.
1194a რადგან სამართალი თანასწორობაა, ამიტომ თანასწორობა გამოვლინდება პროპორციაში. ხოლო პროპორცია, სულ მცირე, ოთხ წევრს შორის წარმოიშობა. როგორც მიმართებაშიც არის „ა“ „ბ“-სთან, ასეთსავე მიმართებაში იქნება „გ“ „დ“-სთან. მაგალითად, პროპორციაა შემდეგი: ბევრის მქონემ კავშირში ბევრი უნდა შეიტანოს, მცირეს მქონემ — მცირე, ვინც მეტი იშრომა, მეტი უნდა მიიღოს, ხოლო ვინც იშრომა მცირე, მცირეს მიიღებს. რა მიმართებაცაა მშრომელსა და არა მშრომელს შორის, ასეთივე მიმართებაა ბევრსა და მცირეს შორის. რა მიმართებაშიცაა მშრომელი ბევრის მიმართ, ასეთსავე მიმართებაშია არამშრომელი მცირეს მიმართ.

როგორც ჩანს, პლატონი ამ პროპორციულ სამართლიანობას იყენებს თავის „სახელმწიფოში“. ის ამბობს, რომ მიწათმოქმედი ქმნის ხორბალს, კალატოზი — სახლს, მქსოველი — ქსოვილს, მეწაღე — წაღას. ასევე იქცევა ყველა დანარჩენი. ისინი ერთმანეთში სცვლიან თავის ნაწარმს. პროპორციაც სწორედ ესაა. რა მიმართებაშიც არის მიწათმოქმედი კალატოზთან ასეთსავე მიმართებაშია კალატოზი მიწათმოქმედთან, მეწაღესთან, ფეიქართან. ასეთსავე მიმართებაში აღმოჩნდებიან დანარჩენნი ერთმანეთთან. იგივე პროპორცია იცავს სახელმწიფოსაც. ამიტომ ვფიქრობთ, რომ სამართალი არის პროპორცია. სამართლიანობა იცავს საზოგადოებასაც. მაშასადამე, სამართალი, იგივეა, რაც პროპორცია.

რადგან კალატოზი თავის ნამუშევარს მეწაღის ნამუშევარზე მეტად აფასებს, მდგომარეობა კი მოითხოვს, რომ მეწაღემ კალატოზს გაუცვალოს თავისი ნაწარმი, მაგრამ ფეხსაცმელი სახლში ვერ გაიცვლება, ამიტომ

ყოველივე ამის ყიდვა-გაყიდვა რომ შესაძლებელი გახადეს, დაადგინეს, რომ ვერცხლისთვის ეწოდებინათ ფული და ის ეხმარათ გასაცვლელ საშუალებად. ერთი მხარე, უხდის რა მეორე მხარეს მისი ნამუშევრის საფასურს, ამით ისინი ერთმანეთში გაცვლა-გამოცვლას აწარმოებენ და ამით იცავენ საზოგადოებრივ ურთიერთობას.

რადგან სამართლიანობა მდგომარეობს, როგორც ამ, ისე ზემოხსენებულ მოვლენებში, ამიტომ ასე შემთხვევებში სამართლიანობა იქნება წინასწარი გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოშობილი სწორედ ამ სფეროში.

1194b სამართლიანობა იქნება საპასუხო განცდაც, მაგრამ არა ისეთი, როგორც პითაგორელები ვარაუდობდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ ერთი მხარე მოქმედებს, მეორე აუცილებლად განიცდის. მაგრამ ეს ყველგან ასე არ არის, რადგან სამართალი მონისთვის იგივე არაა, რაც თავისუფალისთვის. თუ მონა თავისუფალს დაარტყამს, სამართლიანი იქნება მისთვის არა ერთხელ, არამედ რამოდენიმეჯერ დარტყმა. მაგრამ სხვა შემთხვევებში სამართლიანი იქნებოდა პროპორციის დაცვა. რადგან თავისუფალი მონაზე მაღლა დგას, ეს შესაბამისობა დაცული უნდა იყოს საპასუხო მოქმედებაში. ასეთივე უნდა იყოს თავისუფალის დამოკიდებულება თავისუფალის მიმართ. სამართლიანი არ იქნებოდა, რომ თუ ვინმემ ვინმეს თვალი ამოსთხარა, მისთვის მხოლოდ თვალის ამოთხრა, არამედ მისთვის მეტი ზიანის მიყენება იქნებოდა პროპორციის დაცვა. რადგან მან პირველმა იმოქმედა და უსამართლობა ჩაიდინა, ამით მან ჩაიდინა ორმაგი დანაშაული. ამიტომ პროპორციის დაცვა მოითხოვს, პირველის უფრო მეტად დასჯას, ვიდრე მან დაიშავა.

რადგან სამართლიანობას მრავალი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ დასადგენია, თუ რომელ სამართლიანობას ვიკვლევთ.

როგორც ამბობენ, სამართლიანობა ხორციელდება მონის პატრონთან მიმართებაში და ვაჟისა მამასთან მიმართებაში. მაგრამ ეს სამართალი მხოლოდ სიტყვიერად ემსგავსება სახელმწიფო სამართალს. ის სამართალი კი, რომელსაც ჩვენ ვიკვლევთ, არის პოლიტიკური სამართალი. პოლიტიკური სამართალი კი, პირველ ყოვლისა, თანასწორობაში მდგომარეობს. ის მოქალაქენი, რომელნიც ერთმანეთთან კავშირში იმყოფებიან, სურთ, რომ ბუნებრივად თანასწორნი იყვნენ, ხოლო ცხოვრების ფორმით განსხვავებულნი. მაგრამ ვაჟიშვილის გათანაბრება მამასთან და მონისა პატრონთან არავითარ შემთხვევაში არ იქნება სამართლიანი. ისევე როგორც არ შეიძლება ჩემი ფეხის, ან ხელის, ან სხეულის სხვა რომელიმე ნაწილის გათანასწორება ჩემთან. ვფიქრობთ, რომ ასეთივე მიმართება უნდა არსებობდეს ვაჟიშვილისა მამასთან. რადგან ვაჟიშვილი არის მამის რაღაც ნაწილი მანამ, სანამ ის მამაკაცი გახდება და დამოუკიდებლობას მიაღწევს.

მაშინ კი ის უკვე მამის თანასწორია და მსგავსი. მოქალაქეებს სურთ, რომ ისეთივე იყვნენ. მაგრამ ამავე საფუძველით არც მონასა და არც ვაჟიშვილს არა აქვთ უფლება თავის პატრონზე. მონა ხომ პატრონის ნაწილია და თუ მას რამე უფლება აქვს, ესაა ოჯახური სამართლის საქმე. მაგრამ ჩვენ ოჯახურ სამართალს კი არ ვიკვლევთ, არამედ სახელმწიფო სამართალს. ვფიქრობთ, რომ სახელმწიფო სამართალი მდგომარეობს თანასწორობასა და მსგავსებაში. ეს სამართალი ქალთა და მამაკაცთა ურთიერთობას უახლოვდება. ქალი მამაკაცზე დაბლა დგას, მაგრამ ოჯახურ ურთიერთობაში იგი როგორღაც არის მამაკაცის ტოლი. ამიტომ აქ იგი უფრო მეტად ეზიარება თანასწორობას. მათი ცხოვრებაც სახელმწიფოებრივ ურთიერთობას უახლოვდება. ასე რომ, ქალის დამოკიდებულება მამაკაცთან სხვა ურთიერთობებზე უფრო მეტად უახლოვდება სახელმწიფო სამართალს, ვიდრე სხვა სამართლიანობას. რადგან სამართალი სახელმწიფოებრივ ურთიერთობაში ხორციელდება. ამიტომ სამართალიცა და სამართლიანობაც სახელმწიფო სამართალთან არიან კავშირში.

1195a ნაწილი სამართლისა ბუნებრივია, ნაწილი კი კანონითაა დადგენილი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბუნებრივი სამართალი არასოდეს არ იცვლება. მე ვგულისხმობ შემდეგს: თუ მარცხენა ხელს გაავარჯიშებთ საგნების ტყორცნაში, მაშინ ორივე ხელი ძლიერი გვექნება. მაგრამ ბუნებრივად მაინც მარცხენა მარცხენაა და მარჯვენა მარჯვენა. მარჯვენა კი უკეთესია მარცხენაზე, თუნდაც მარცხენათი ისევე ვმუშაობდეთ, როგორც მარჯვენათი. ცვლილებების მიუხედავად, საგნები მაინც იმად რჩებიან, რაც არიან ბუნებრივად, ე.ი. უმეტეს შემთხვევაში მარჯვენა ხელი რჩება მარჯვენად და მარცხენა მარცხენად. აი, ესაა ბუნებრივი მდგომარეობა. ასევეა ბუნებრივი სამართლის შემთხვევაში. ბუნებრივი სამართალი არ ხდება არაბუნებრივი, რადგან არ იცვლება ჩვენი მოთხოვნილებების მიხედვით, არამედ მუდამ ბუნებრივად რჩება. სამართალი, რომელიც მეტწილად არ იცვლება, ცხადია, ბუნებრივი სამართალია. ხოლო, რასაც ჩვენ ვადგენთ და მნიშვნელობას ვაძლევთ, ის სამართალია, რომელსაც კანონით დადგენილს ვუწოდებთ. ბუნებრივი სამართალი მაღლა დგას კანონით დადგენილზე. მაგრამ ის სამართალი, რომელსაც ჩვენ ვიკვლევთ, არის სახელმწიფო სამართალი. ხოლო სახელმწიფო სამართალი არის კანონით დადგენილი და არა ბუნებრივი.

უსამართლობა და უსამართლო მოქმედება თითქოს ერთი და იგივეა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. უსამართლობა კანონით არის დადგენილი, მაგალითად, უსამართლობაა მიბარებულის მითვისება. უსამართლო კი მოქმედებს უსამართლოდ. ასევე ერთი და იგივე არაა სამართალი და სამართლიანი მოქმედება. სამართლიანობაა ის, რაც კანონით არის

დადგენილი, ხოლო სამართლიანი არის მოქმედება, რომელიც უკვე ჩადენილია.

1195b როდის არსებობს სამართლიანობა და როდის არა? მარტივად რომ ვთქვათ, როცა კაცი წინასწარი განზრახვით მოქმედებს და თავისი სურვილით (თუ რაა ნებაყოფლობითი მოქმედება, ამაზე ჩვენ ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ) და როცა იცის, ვის მიმართ, როგორ და რა მიზნით მოქმედებს, უსამართლოდ მოქმედებს. ხოლო ის, ვინც უსამართლობას სჩადის ისე, რომ არაფერი არ იცის, ის იქნება არა უსამართლო, არამედ უბედური. მაგალითად, კაცი, რომელსაც ჰგონია, რომ მოკლა მტერი, სინამდვილეში კი მოკლა მამა, უსამართლობას სჩადის, მაგრამ ის უსამართლო კი არაა, უბედურია. უცოდინარობის გამო უსამართლობის ჩამდენი უსამართლოდ არ ჩაითვლება. ეს იმ შემთხვევაში, როცა კაცმა არ იცის, ვის წინააღმდეგ, როგორ და რა მიზნით სჩადის დანაშაულს. ამიტომ საჭიროა დადგენა იმისა, თუ როგორი სახის უცოდინარობის გამო არ იქნება უსამართლობა ვინმესთვის ზიანის მიყენება. ამის პასუხი ასეთი იქნება: როდესაც კაცი მოქმედებს უცოდინარობით და არა თავისი ნება სურვილით, ის უსამართლო არ იქნება. მაგრამ როდესაც უცოდინარობის მიზეზი თვითონ არის და როდესაც ის რაიმეს სჩადის უცოდინარობის გამო, რომლის მიზეზიც თვითონაა, ის დანაშაულს სჩადის და სწორიც იქნება, თუ მას უსამართლოს ვუწოდებთ. როგორც, მაგალითად, მთვრალები, როცა რაიმე დანაშაულს სჩადიან, თვითონ არიან დამნაშავენი თავის უცოდინარობაში. მათ ხომ შეეძლოთ იმდენი არ დაელიათ, რომ უცოდინარობის გამო კაცი არ მოეკლათ. იგივე ითქმის უსამართლობის სხვა შემთხვევებზეც, რომლის მიზეზნი თვითონ მოქმედნი არიან. ამიტომ უსამართლოდ მოქმედნი დამნაშავენი არიან. ისინი კი, რომლებიც თვითონ კი არ არიან დანაშაულის მიზეზი, არამედ მათი უცოდინარობა, ისინი უსამართლოდ არ ჩაითვლებიან. მათი უცოდინარობა ბუნებრივია, როგორც, მაგალითად, ბავშვებისა, რომლებიც უცოდინარობის გამო მამას ან დედას სცემენ. ამ შემთხვევაში უცოდინარობა ბუნებრივია. ამიტომ ბავშვების ეს მოქმედება უსამართლოდ არ ჩაითვლება. ამ მოქმედების მიზეზი ხომ უცოდინარობაა. უცოდინარობის მიზეზნი კი თვითონ ბავშვები არ არიან. ამიტომ მათ არც "უსამართლო" ეწოდებათ.

ახლა ვილაპარაკოთ უსამართლობის განცდის შესახებ. მას ნებასურვილით განიცდიან, თუ უნებურად? საერთოდ, შესაძლებელია თუ არა ნებასურვილით უსამართლობის განცდა? — ვფიქრობთ, რომ არა, რადგან როგორც სამართლიან, ისე უსამართლო მოქმედებას ჩვენ ჩვენი სურვილით ვასრულებთ. მაგრამ უსამართლობას ვიტანთ ჩვენი სურვილის წინააღმდეგ. ჩვენ ხომ სასჯელს გავურბივართ, საიდანაც ცხადია, რომ უსამართლობას

ჩვენი ნებით არ ვიტანთ. საერთოდ, უსამართლობას არავინ არ იტანს თავისი ნებით, რადგან ეს იგივე იქნებოდა, რაც თავისი ნებით ზიანის მიღება.

მაგრამ არიან ადამიანები, რომლებსაც ეკუთვნით თანაბარი წილი, მაგრამ მას სხვას უთმობენ. ამრიგად, თუ სამართლიანობა არის თანაბარი წილის მიღება, მცირეს მიღება უსამართლობა იქნება. მაგრამ რადგან ნაკლები მათ თავისი ნებით აიღეს, ამიტომ უსამართლობას ისინი თავისი ნებით იტანენ. მაგრამ მომდევნო მსჯელობიდან ნათელი გახდება, რომ ისინი ამას ნებაყოფლობით არ სჩადიან. რადგან ყველა ისინი, რომლებიც ირჩევენ მცირე ნაწილს, მას სცვლიან ან პატივზე, ან ქებაზე, ან სახელზე, ან მეგობრობაზე, ან რაიმე სხვა ამდაგვარზე. ხოლო იმან, ვინც თავისი ნებით გაცვალა იმ მიზნით, რომ სხვა რამე მიეღო, არც უსამართლობა განიცადა და თუ მას საერთოდ, არ განუცდია უსამართლობა, მაშ არც ნებაყოფლობით უსამართლობა განუცდია.

გარდა ამისა, ისინი, რომლებიც ბევრის ნაცვლად მცირეს ირჩევენ და უსამართლობას განიცდიან, რადგან არ მიიღეს თანაბარი წილი, იკვეხიან და თავს იწონებენ, ამბობენ რა, რომ „თუმცა მე შემეძლო თანაბარი წილის მიღება, მაგრამ არ ავიღე, რადგან დავუთმე უფროსს ან მეგობარს". ხოლო ვინც ნამდვილად განიცადა უსამართლობა, ვერაფერით ვერ მოიწონებს თავს. ამრიგად, თუ ნამდვილი უსამართლობის გადატანისას ადამიანები თავს არ იწონებენ, არამედ მხოლოდ ღირსეულებზე შემთხვევებში, მაშასადამე, მცირე წილის აღების შემთხვევაში არც უსამართლობას განიცდიან. და თუ უსამართლობა საერთოდ არ განუცდიათ, მაშ, არც ნებაყოფლობით განუცდიათ იგი.

ამ მსჯელობას უპირისპირდება მსჯელობა თავშეუკავებლობის შესახებ. თავშეუკავებელი დანაშაულის ჩადენით თავის თავს აყენებს ზიანს. იგი ამას სჩადის თავის ნებასურვილით, რადგან ის თავის თავს ვნებს ისე, რომ იცის, რასაც სჩადის. ასე რომ, ის თავის თავს თავისივე სურვილით ვნებს. აქედან გამომდინარე დასკვნა ეწინააღმდეგება ამ მსჯელობას. ეს დასკვნა შემდეგია: არავის არ სურს უსამართლობის ატანა. მაგრამ თავშეუკავებელი თავშეუკავებლობის გამო თავისი ნებით სჩადის დანაშაულს. ასე რომ, ის თავის თავის მიმართ სჩადის უსამართლობას და თავის თავისთვის ცუდი სურს. მაგრამ უსამართლობის ატანა არავის არ სურს და ამიტომ არც თავშეუკავებელი უნდა სჩადიოდეს უსამართლობას თავისი სურვილით.

მაგრამ აქ ვინმემ შეიძლება გვკითხოს: შეიძლება თუ არა დანაშაულის ჩადენა თავის თავის მიმართ? თავშეუკავებლობის განხილვისას ეს შესაძლებელი აღმოჩნდა.

1196a ეს შესაძლებელია შემდეგნაირადაც: იმის ჩადენა, რაც კანონით ნებადართულია, სამართლიანია და ვინც ამას არ ასრულებს, დანაშაულს სჩადის. კანონი კი მოგვიწოდებს, რომ ვიყოთ გონიერნი, გვქონდეს ქონება,

გავიკაფოთ სხეული და სხვა. ვინც ამას არ ასრულებს, ის თვითონ არის თავის თავის მიმართ დამნაშავე და არა ვინმე სხვა.

მაგრამ თუ ეს სწორი არაა და თუ დანაშაული თავის თავის მიმართ არ არსებობს, მაშ შეუძლებელი ყოფილა, რომ ერთსა და იმავე კაცს ერთსა და იმავე დროს ბევრიც ჰქონდეს და ცოტაც და ერთდროულად ნებასურვილით და ნებასურვილის საწინააღმდეგოდ მოქმედებდეს. საერთოდ, ვინც უსამართლოდ იქცევა, ამის გამო ბევრი აქვს, ხოლო ვინც უსამართლობას განიცდის, მას ამის გამო ნაკლები აქვს. მაგრამ თუ ადამიანი თავის თავის მიმართ სჩადის უსამართლობას, აქედან გამომდინარეობს, რომ მას ერთდროულად ბევრიც აქვს და ცოტაც, რაც შეუძლებელია.

გარდა ამისა, უსამართლო უსამართლობას ნებაყოფლობით სჩადის, ხოლო ვინც განიცდის, უნებურად განიცდის. ასე რომ, თუ შესაძლებელია უსამართლობის ჩადენა თავის თავის მიმართ, მაშინ შესაძლებელი ყოფილა ერთდროულად უნებური და ნებაყოფლობითი მოქმედება. მაგრამ ეს შეუძლებელია. მაშასადამე, არც ამ გზით შეიძლება უსამართლობის ჩადენა თავის თავის მიმართ.

გარდა ამისა, ამის დასაბუთება შეიძლება უსამართლო მოქმედების სხვა ფორმებითაც. ყველა უსამართლობას სჩადის ან ანაბარის მითვისებით, ან უზნეობით, ან ქურდობით და სხვა ამგვარით. მაგრამ არასოდეს არავის არ მიუთვისებია თავისი ანაბარი, არ ჩაუდენია უზნეობა თავისი ცოლის მიმართ, არც თავისთვის მოუპარავს რამე ამგვარად. უსამართლობა ამაში არ მდგომარეობს. ე.ი. ამის ჩადენა თავის თავის მიმართ არავის არ შეუძლია. მაშასადამე, თავის თავის მიმართ დანაშაულის ჩადენა შეუძლებელი ყოფილა. და თუ ეს შესაძლებელია, ეს ყოფილა არა სახელმწიფო, არამედ ოჯახური დანაშაული. რადგან სული შედგება მრავალი ნაწილისაგან, როგორც ცუდისაგან, ისე კარგისაგან, ამიტომ თუ უსამართლობა წარმოიშობა სულში, ის იქნება სულის ნაწილების ურთიერთ მიმართებაში. ასევე ოჯახური ურთიერთობანი ჩვენ დავყავით იმის და მიხედვით, მიმართულია ის უკეთესი, თუ უარესი ნაწილისადმი, რადგან აქ როგორც სამართლიანი, ისე უსამართლო მოქმედება მიმართულია თავის თავის მიმართ. მაგრამ ჩვენ ოჯახურ სამართალს კი არ ვიკვლევთ, არამედ სახელმწიფოებრივს. ამიტომ დანაშაული ამ სფეროში არ უნდა იყოს დანაშაული თავის თავის მიმართ.
1196b შემდეგ, ვინ სჩადის დანაშაულს, ან რაში მდგომარეობს იგი: უსამართლოდ მითვისებაში, უსამართლოდ განსჯაში, თუ უსამართლოდ განაწილებაში? როგორც შეჯიბრის დროს ხდება ხოლმე, იქაც ის კი არაა დამნაშავე, ვინც ან უფროსისგან, ან მსაჯისგან მიიღო ფინიკის ტოტი, რომელიც მას არ ეკუთვნოდა, არამედ ის, ვინც არასწორად განსაჯა და გადასცა მას. ისიც ერთის მხრივ, დამნაშავეა, მეორეს მხრივ, არა, რადგან რამდენადაც მან სწორად არ განსაჯა და არც მდგომარეობის შესაბამისად,

ამდენად ის დამნაშავეა, მაგრამ რადგან მას ეს სამართლიანი ეგონა, ამიტომ მას არც დანაშაული ჩუდენია.

## თავი 34

როდესაც ვმსჯელობდით სათნოებების შესახებ, თუ რას წარმოადგენენ ისინი, რა პირობებში წარმოიშობიან და რას ეხებიან, მაშინ ვთქვით, რომ თუ კაცი სწორი გადაწყვეტილებით მოქმედებს, სწორად იქცევა. რადგან სწორი გადაწყვეტილებით მოქმედება იმას უდრის, ვინმემ რომ თქვას: "ჯანმრთელობის გაუმჯობესება შეიძლება, თუ გამოვიყენებდი ამისათვის საჭირო საშუალებებს". მაშინ შეიძლება ვინმე შემოგვედავოს: "ჩემთვის ეს არაა სავსებით გასაგები. მითხარი, თუ რა არის ჯანმრთელობისათვის საჭირო საშუალებები!". იგივე უნდა ითქვას სწორი გადაწყვეტილების შესახებაც: რაში მდგომარეობს გადაწყვეტილების არსი და რა არის სწორი გადაწყვეტილება?

პირველ ყოვლისა საჭიროა იმის დადგენა, თუ საღ წარმოიშობა სწორი გადაწყვეტილება. ზემოთ უკვე მოკლედ ვთქვი სულის შესახებ, რომ მასში არის მოაზროვნე და არა მოაზროვნე ნაწილი. სულის მოაზროვნე ნაწილი თავის მხრივ ორად იყოფა: განჭვრეტით და შემეცნებად ნაწილებად. რომ ისინი განსხვავებული არიან, ცხადი ხდება მათი ობიექტების განხილვით. როგორც ერთმანეთისგან განსხვავდებიან ფერი, ბგერა, გემო და სუნი, ასევე განსხვავდებიან მათი შესაბამისი გრძნობის ორგანოები. ბგერას შევიგრძნობთ სმენით, გემოს — გემოვნებით, ფერს — მხედველობით. ამავე ნიმუშით უნდა განვიხილოთ სხვა მოვლენებიც. რადგან განსხვავებულია აღქმის საგანი, განსხვავებული იქნება სულის ის ნაწილიც, რომლითაც მას შევიცნობთ. განსხვავებული არიან აზრისა და გრძნობის ობიექტები, რომლებსაც სულით შევიცნობთ. ამიტომ უნდა განვასხვაოთ სულის ის ნაწილებიც, რომლითაც ვწვდებით გრძნობად და აზრობრივ მოვლენებს. სულის ის ნაწილი, რომლითაც ვთათბირობთ და გადაწყვეტილება გამოგვაქვს, ეხება გრძნობად მოვლენებს. გრძნობად მოვლენებში კი იცვლებიან და წარმოშობისა და გაქრობის პროცესს ექვემდებარებიან. ჩვენ ვთათბირობთ ხოლმე იმ მოვლენებზე, რომელთა გაკეთება ან არგაკეთება ჩვენზეა დამოკიდებული და რომლის ჩადენის ან არჩადენის შესახებ შეიძლება მოთათბირებაც და გადაწყვეტილების მიღებაც. ესენი არიან გრძნობადი, ცვალებადი და მოძრავი მოვლენები. ამრიგად, ამ ნათქვამის მიხედვით, სულის განსჯითი ნაწილი გრძნობად საგნებს ეხება.

1197a დავადგინეთ რა ეს, ახლა ვიმსჯელოთ ჭეშმარიტების შესახებ, თუ რას წარმოადგენს ის. ის ეხება ცოდნას, გონიერებას, ინტუიტურ წვდომას, სიბრძნესა და ვარაუდს. რა არის თითოეული მათგანის ობიექტი, ცოდნა

ეხება შეცნობადს, სადაც ვიყენებთ მტკიცებასა და დასაბუთებას. გონიერება ეხება იმ მოვლენებს, სადაც ადგილი აქვს არჩევანსა და უარყოფას და რის შესრულება ან არშესრულება ჩვენზეა დამოკიდებული.

მაგრამ მოქმედება და შემოქმედება არაა ერთი და იგივე, როგორც ერთი და იგივე არაა გასაკეთებელი და შესაქმნელი. მოქმედებას, გარდა მოქმედებისა, კიდევ სხვა მიზანი აქვს. მაგალითად, სახლის მშენებლობა ქმნის სახლს, მაგრამ სახლი არის მშენებლობისაგან განსხვავებული მიზანი. ასევეა არქიტექტურასა და სხვა საქმიანობაში. შემოქმედებას კი, გარდა მოქმედებისა, სხვა მიზანი არა აქვს. მაგალითად, კითარაზე დაკვრას არა აქვს სხვა მიზანი, რადგან მისი მიზანია თვით დაკვრის პროცესი. დაკვრა არის როგორც მოქმედება, ისე მისი განხორციელება და დასრულება. გონიერება კი ეხება პრაქტიკულ მოქმედებასა და მის განხორციელებას, ხელოვნება — შემოქმედებასა და შექმნილს. ამიტომ ხელოვნება უფრო შემოქმედებას წარმოადგენს, ვიდრე პრაქტიკულ მოქმედებას.

გონიერება კი არის თვისება, რომლითაც წარმოებს გადაწყვეტილების მიღება და იმის განხორციელება, რის შესრულება ან არშესრულება ჩვენზეა დამოკიდებული და რისაც ჩვენთვის სარგებლობა მოაქვს.

როგორც ჩანს, გონიერება არის სათნოება და არა ცოდნა. მაგრამ გონიერებს აქებენ, ხოლო ქებას სათნოება იმსახურებს. ყოველ ცოდნას თავისი უმაღლესი საფეხური აქვს. გონიერებას კი ასეთი საფეხური არა აქვს, როგორც ჩანს, ის უკვე არის უმაღლესი საფეხური.

გონება ეხება როგორც აზრობლივი, ისე გრძნობადი მოვლენების საწყისებს. ხოლო ცოდნის საგანია ისეთი მოვლენები, რომლებსაც მტკიცება სჭირდებათ. საწყისები კი მტკიცებას არ საჭიროებენ, ამიტომ საწყისები არის არა მეცნიერების, არამედ გონების საგანი.

სიბრძნე მოიცავს ცოდნასაც და გონებასაც. სიბრძნის საგანია როგორც საწყისები, ისე ის, რაც საწყისებიდან მოდის და რასაც ცოდნა სწავლობს. რამდენადაც სიბრძნის საგანი საწყისებია, ამდენად ის დაკავშირებულია გონებასთან, ხოლო რადგან მისი საგანია აგრეთვე საწყისების შედეგები, ამიტომ ის ცოდნასაც მოიცავს. ამრიგად, ცხადია, რომ სიბრძნე მოიცავს როგორც გონებას, ისე მეცნიერებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მას იგივე ობიექტები აქვს, რაც გონებასა და მეცნიერებას.

ვარაუდის ობიექტია ისეთი მოვლენები, რომლებიც შეიძლება არსებობდნენ და არც არსებობდნენ.

1197b ერთი და იგივეა, თუ არა სიბრძნე და გონიერება? სიბრძნის ობიექტია ის მოვლენები, რომლებიც მტკიცებას საჭიროებენ და ყოველთვის ერთნაირად არსებობენ. გონიერების ობიექტი კი არაა უცვლელი, არამედ ის

ცვალებადობაში იმყოფება. მე ვგულისხმობ შემდეგს: სწორი, მოღუნული და ჩაღრმავებული ყოველთვის ასეთად რჩებიან. სასარგებლო კი არაა უცვლელი მოვლენა, ის ცვალებადობას ექვემდებარება. ამიტომ, რაც ახლა სასარგებლოა, ხვალ შეიძლება ასეთი აღარ იყოს, რაც ერთისათვის სასარგებლოა, მეორისთვის სასარგებლო არაა, რაც ამ სახით სასარგებლოა, იმ სახით არა. სარგებლობა კი გონიერების ობიექტია და არა სიბრძნისა. მაშასადამე, სიბრძნე და გონიერება განსხვავებულნი ყოფილან.

არის თუ არა სიბრძნე სათნოება? ქვემოთ მოტანილი მაგალითებით ცხადი გახდება, რომ ის სათნოებაა. ჩვენ ვამბობდით გონიერებაზე, რომ ის არის სათნოება და რომ ის მოთავსებულია სულის ერთ-ერთ მოაზროვნე ნაწილში. მაგრამ მაშინ ის სიბრძნეზე მდარე რამ ყოფილა. რამდენადაც მისი ობიექტები მდარეა. სიბრძნე კი ეხება მუდმივ და ღვთაებრივ მოვლენებს. როგორც უკვე ვთქვით, გონიერების საგანია ადამიანისათვის მიზანშეწონილი. მაგრამ თუ სათნოება არის რაღაც მდარე მოვლენა, მაშინ მასზე მაღლა მდგომი მოვლენა უფრო მეტად იქნება სათნოება და მაშასადამე, სიბრძნეც სათნოება ყოფილა.

რას წარმოადგენს გაგების უნარი? რა არის ის? გაგების, როგორც გონიერების, სფეროა მოქმედება. იქ, სადაც ხდება მოთათბირება, გადაწყვეტილების მიღება და განსჯა, იქ საჭიროა გაგებაც, ოღონდ ის ეხება უფრო უმნიშვნელო მოვლენებს და უმნიშვნელო მოვლენებშივე არსებობს ის. გაგება და გაგების უნარის მქონე გონიერებისა და გონების რაღაც ნაწილია და ის მათ გარეშე არ არსებობს. გაგების უნარიანს გონიერისაგან ვერ დააშორებ.

ასევე უნდა ვიმსჯელოთ მოხერხებულობის შესახებ. მოხერხება არ არის იგივე, რაც გონიერება, მაგრამ გონიერი ამავე დროს მოხერხებულიცაა. ამიტომ ამ აზრით, მოხერხება როგორღაც ემთხვევა გონიერებას. თუმცა მოხერხებული ცუდი აზრითაც იხმარება. მაგალითად, მენტორი, როგორც ჩანს, მოქნილია, მაგრამ გონიერი კი არ არის. გონიერებისა და გონიერისათვის დამახასიათებელია მაღალი მიზნებისაკენ სწრაფვა, მათთვის უპირატესობის მინიჭება და ცდა მათი მიღწევისა. მოხერხებისა და გონებრივი მოქნილობისათვის დამახასიათებელია ყურადღება კონკრეტული მოვლენებისადმი და მათი განხორციელებისაკენ სწრაფვა. მაშ, სავარაუდოა, რომ მოქნილობა ეხება ასეთ მოვლენებს და იბრძვის მათი განხორციელებისათვის.

ვინმეს შეიძლება ეკითხა და გაკვირვება გამოეთქვა, რომ ვმსჯელობთ რა ეთიკურ და პოლიტიკურ მოვლენებზე, ამავე დროს ვლაპარაკობთ სიბრძნეზე. პირველ ყოვლისა, ამის საფუძველია ის, რომ ფილოსოფია არაა არსებითად სხვა რამ, ვიდრე პოლიტიკა, რომელიც სათნოებას წარმოადგენს.

მეორეს მხრივ, ფილოსოფიის საქმეა, შეეხოს აგრეთვე მოსაზღვრე სფეროში შემავალ ობიექტებსაც. ამას გარდა, რადგან ჩვენ ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რაც სულშია, ამიტომ საჭიროა ვილაპარაკოთ სულის ყველა ნაწილზეც. რადგან სიბრძნეც სულში იმყოფება, ამიტომ მსჯელობა სიბრძნეზე არ იქნება ეთიკისაგან დიდად განსხვავებული მსჯელობა.

1198a რა დამოკიდებულებაშიც იმყოფება მიხერხებულობა გონიერებასთან, ვფიქრობთ, რომ ასეთსავე დამოკიდებულებაში იქნებიან სათნოებანიც ერთმანეთში. მე ვგულისხმობ შემდეგს: არსებობენ ისეთი სათნოებანი, რომლებიც ბუნებრივად იმყოფებიან ცალკეულ მოვლენებში, მაგალითად, იმპულსები სიმამაცისაკენ, სამართლიანობისაკენ და სხვა სათნოებებისაკენ. მაგრამ არსებობენ ისეთი სათნოებანიც, რომელნიც ჩვევებს ემყარებიან. მაგრამ უმჯობესია ის სათნოებანი, რომლებშიც აზროვნებას უკავშირდებიან და საქებნიც ეს სათნოებანი არიან. ბუნებრივი სათნოებანი კი აზროვნების გარეშე არსებობენ და განსჯასაც დაშორებული არიან. ისინი უფრო მდარე სათნოებანი არიან და არც ქებას იმსახურებენ. აზროვნებასთან და წინასწარ განსჯასთან კავშირი კი სათნოებას სრულყოფილებას ანიჭებს. მაშასადამე, სათნოებისაკენ ბუნებრივი სწრაფვა აზროვნებას უკავშირდება და მის გარეშე არ არსებობს. ასევე პირიქით, განსჯა და წინასწარი განზრახვა სრულყოფილ სათნოებად არ იქცევიან, თუ მათ თან არ ახლავთ ბუნებრივი სწრაფვა.

ამიტომ სწორი არ იყო სოკრატე, რომელიც ამბობდა, რომ სათნოება ცოდნა არისო, რომ სიმამაცისა და სამართლიანი მოქმედების ჩადენა ცოდნისა და წინასწარი გადაწყვეტილების გარეშე არასოდეს არ არის სასარგებლო. მაგრამ იმის თქმა, რომ სათნოება ცოდნაა, სწორი არაა. თანამედროვე ფილოსოფოსები ამ შემთხვევაში უფრო სწორად მსჯელობენ. ისინი ამტკიცებენ, რომ სწორი გადაწყვეტილების საფუძველზე მოქმედება არის მშვენიერება და სათნოება. მაგრამ არც ესაა სავსებით სწორი. რადგან თუ ვინმე მოქმედებს სამართლიანად, მაგრამ არა წინასწარი განზრახვით და არც ზნეობრივი მშვენიერების ცოდნით, არამედ რაღაც ირაციონალური ლტოლვით, ის საქები არ იქნება, რადგან ეს არაა სწორი გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოებული მოქმედება. უფრო სწორი იქნებოდა ასეთი მსჯელობა, რომ თუ იმპულსი უკავშირდება ზნეობრივ მშვენიერებას და სწორ გადაწყვეტილებას, აი, მაშინ განხორციელდება სათნოება და ასე მოქმედი ქებასაც დაიმსახურებს.

შეიძლება წამოიჭრას კითხვა არის თუ არა გონიერება სათნოება? მომდევნო მსჯელობიდან ცხადი გახდება, რომ იგი სათნოებაა. თუ სამართლიანობა, სიმამაცე და სხვა სათნოებანი, რომელნიც მშვენიერების

მიღწევას ისახავენ მიზნად, საქებნი არიან, მაშინ ცხადია, რომ გონიერებაც საქები იქნება და სათნოებათა რიცხვში მოექცევა. ის, რისკენაც როგორღაც ისწრაფვის სიმამაცე, იქითვე მიისრაფვის გონებაც. საერთოდ, სიმამაცე იმასვე აძლევს უპირატესობას, რასაც გონიერება. ასე რომ, სიმამაცე საქებია იმიტომ, რომ იმასვე ახორციელებს, რასაც გონება უკარნახებს. მაშინ, საბოლოოდ, გონიერება იქნება როგორც სათნოება, ისე საქები.

1198b არის თუ არა გონიერება მიმართული პრაქტიკული მოქმედებისაკენ? ეს ნათელი გახდება პრაქტიკულ ხელოვნებათა განხილვის შემდეგ, კერძოდ, არქიტექტურის განხილვის მაგალითზე. როგორც უკვე ვთქვი, არქიტექტურაში არის ადამიანი, რომელსაც ხუროთმოძღვარი ეწოდება და მისი დამხმარე და შემსრულებელი — კალატოზი, რომელიც აშენებს სახლს. ასევეა სხვა ხელოვნებებში. სადაც კი არის ხელმძღვანელი, რომელიც გეგმავს, იქვე იმყოფება მისი დამხმარე. მაშასადამე, ხუროთმოძღვარი, რომელიც სახლს გეგმავს, ამავე დროს არის ამ სახლის შემოქმედი. ასევეა სხვა პრაქტიკულ ხელოვნებებში, სადაც ერთი გეგმას ადგენს, მეორე კი მას ემსახურება. გეგმის შემდგენელი ითვლება გეგმის შედგენის ოსტატად და მას ემსახურება მეორე, მისდამი დაქვემდებარებული ადამიანი. თუ სხვა სათნოებებში იგივე მდგომარეობაა, მაშინ მართებული და გონივრული იქნებოდა, რომ გონიერება მიმართული იყოს პრაქტიკული მოქმედებისა და მისი განხორციელებისაკენ. ყველა სათნოებას ასეთი მიზანი აქვს, ხოლო გონიერება მათ წარმართავს და ისინი ასრულებენ იმას, რასაც გონება დაადგენს. რადგან სათნოებანი პრაქტიკულად გამიზნულნი ყოფილან, მაშ, გონიერებაც პრაქტიკული სათნოება ყოფილა. იგია გეგმის შედგენის ოსტატი.

მბრძანებლობს თუ არა გონიერება ყოველივე იმას, რაც კი სულშია, როგორც ამტკიცებს ზოგიერთი მოაზროვნე? სინამდვილეში იგი არ უნდა ხელმძღვანელობდეს ყველას, მათ შორის საუკეთესოს, როგორიცაა სიბრძნე. ერთ-ერთი თვალსაზრისის მიხედვით, იგი იმავე როლს ასრულებს, როგორსაც სახლში მეურნე. იგი ყველაზე ზრუნავს, ყველას წარმართავს, ყველაზე მბრძანებლობს, მაგრამ მას ყველა უფლება არა აქვს. იგი პატრონს მხოლოდ თავისუფალ დროს აძლევს, რათა მას არ აბრკოლებდეს აუცილებლობა მშვენიერისა და მიზანშეწონილის შემოქმედების დროს. ასევე გონიერებაც ფილოსოფიურ სიბრძნეში ასრულებს ერთგვარი მმართველის როლს. იგი ფილოსოფიას აძლევს თავისუფალ დროს თავისი საქმის შესასრულებლად, რისთვისაც თრგუნავს ვნებებს და მათ სწორ მიმართულებას აძლევს.

## წიგნი II

### თავი 1.

ამის შემდეგ უნდა განვიხილოთ, თუ რა არის სიკეთე სამართლიანობა, რა ღირსებას ატარებს იგი და რომელ სახეებს ქმნის? სამართალში სიკეთე და კეთილი კაცი არის ის, ვინც ემორჩილება კანონიერ მიღებულ ჩვეულებ-ლების სამართალს, ის, ვინც სრულყოფს იმას, რის კონკრეტული დადგენა კანონმდებლებმა ვერ შეძლეს და ზოგადად მიანდეს, თანაც სრულყოფს ამ მიზანშეწონილობით, როგორც ეს კანონმდებელს სურდა. ასეთი კეთილი და სამართლიანი კაცია. მაგრამ ის ყოველგვარ სამართალს კი არ ასრულებს; წარმოადგენს იმას, რაც ბუნებრივია და ჭეშმარიტი, არამედ კანონით დადგენილს, კერძოდ, იმას, რის განსაზღვრება კანონმდებლებმა ვერ განსაზღვრეს და დაუმთავრებელი დატოვეს.

### თავი 2

1199a შეწყნარება და შემწყნარებელი ადამიანი იგივე ობიექტები აქვს, რაც სამართალში სიკეთეს, კერძოდ, იგი აკრიტიკებს სამართალში იმას, რაც ზუსტად განსაზღვრაც კანონმდებლებმა ვერ შეძლეს და უნივერსალურად დატოვეს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ის ვინც სამართლიანად რჩება, არ, ესაა შემწყნარებელი კაცი. მაგრამ შეწყნარება სამართალში არ არსებობს სიკეთის გარეშე. შემწყნარებელნი კრიტიკულად განსჯიან, ხოლო კეთილგონიერნი ადამიანები ამ კრიტიკული განსჯის საფუძველზე მოქმედებენ.

### თავი 3

ხოლო აზრი იმავე მოვლენების წრეს მოიცავს, რასაც გონიერება. ეს სფეროა მოქმედების სფერო, სადაც შესაძლებელია არჩევანიც და უარყოფაც. მაგრამ ეს არ შესაძლებელია გონიერების გარეშე. ამ სფეროში გონიერება არის მოქმედი მხარე. ხოლო აზრი თვისებაა, რომელსაც წინასწარი განწყობა ან რაიმე სხვა ამდაგვარი ვუწოდეთ. ეს კი პრაქტიკაში ყველაზე მეტად არის სასარგებლო და საჭირო. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხოლო აზრი არ ეხება არაფერს ისეთს, რაც თავის თავად სწორად მიმდინარეობს, რის განსჯაც არ შეიძლება. განსჯით კი საუკეთესოს შერჩევა ხდება. ასეთ მოვლენებზე არასოდეს არ ითქმის, რომ ის სწორად განხორციელდა, არამედ

იტყვის, რომ ის შემთხვევით მოხდა. რადგან აქ, სადაც წარმოქმნება წინასწარი გადაწყვეტილების გარეშე ხდება, იქ აშკარად შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

რა არის სამართლიანი საზოგადოებრივ ურთიერთობაში? იქნებ ის, რომ ვინმემ ადამიანთან დაამყარო ურთიერთობა, როგორც თანასწორთან? მე ვფიქრობ, რომ ასეთი კაცი ან მლიქვნელია, ან მაამებელი. სამართლიანი და ღირსეული კაცისათვის შესაფერისი მიქცევა იქნებოდა, რომ თვითეულს ისე ექცეოდეს, რასაც იმსახურებს.

1199b შესაძლებელია აგრეთვე შემოდავებაც: არის თუ არა სამართლიანი ვინმესთვის ზიანის მიყენება ნებაყოფლობით, აგრეთვე იმის ცოდნით, თუ ვის, როგორ და რატომ აყენებ ზიანს, თუ მიყენებული ზიანი ღირსეულ მოვლენებსა და სიკეთეს ეხება, ამავე დროს, თუ კანონის დამრღვევმა იცის, რა არის სიკეთე და ბოროტება? მაგრამ ყოველივე ამის ცოდნა არის გონიერების და გონიერისათვის დამახასიათებელი თვისება. მაშინ ვიღებთ აბსურდს, ვფიქრობთ, რომ უსამართლობას არ ახასიათებს გონიერება, რადგან უსამართლო არ იკვლევს სიკეთეს და არც შეუძლია განსაჯოს, თუ რა არის სიკეთე საერთოდ, ან ის, რაც პირადად მისთვის არის სიკეთე. ამიტომ ის ამაში შეცდომებს უშვებს. ამ მოვლენების კარგი ცოდნა კი დამახასიათებელია გონიერებისათვის. ასევე ხდება მედიცინაშიც: ყველამ ვიცით, თუ რა შველის ჯანმრთელობას და რა წარმოშობს მას. ყველამ ვიცით, რომ ჯანმრთელობას შველის სარისძირა, სასაქმებელი, მიწვა, გაკვეთა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მედიცინის მცოდნედ მაინც არ ჩავითვლებით, რადგან არ ვიცით, თუ რა არის სასარგებლო ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. მხოლოდ ექიმმა იცის, თუ ვისთვის არის ეს სასარგებლო, როდის და რა მდგომარეობაში. სწორედ ამაში მდგომარეობს საექიმო ხელოვნების ცოდნა. ვიცით რა ის, რაც ემსახურება საერთოდ ჯანმრთელობას, ჩვენ მაინც არ გვექნება საექიმო განათლება და არც ჩვენი თანამგზავრი იქნება ის. ამავე მდგომარეობაშია უსამართლო, რომელმაც იცის, რომ საერთოდ, კარგია ძალაუფლება, კარგი თანამდებობა და დიდება, მაგრამ მან არ იცის, არის თუ არა ეს პირადად მისთვის. ან ვინმესთვის სიკეთე როდის და რა პირობებში, მან ეს არ იცის. ეს, პირველ ყოვლისა, გონიერისათვის არის დამახასიათებელი. მაშასადამე, უსამართლო ადამიანი გონიერებით არ ხელმძღვანელობს. მართალია, სიმდიდრე, ძალაუფლება სიკეთეა საერთოდ, მაგრამ ეს მისთვის არ წარმოადგენს სიკეთეს, რადგან მიაღწევს რა კეთილდღეობასა და ძალაუფლებას, ამას მისთვის დიდი ბოროტება მოაქვს, ბოროტება მოაქვს მისი მეგობრებისთვისაც, რადგან მან არ იცის ძალაუფლების სწორი გამოყენება.

წარმოიშობა ასეთი სიძნელეც, რაც გადაწყვეტას მოითხოვს: არსებობს თუ არა უსამართლობა ცუდი ადამიანის მიმართ? თუ უსამართლობაა მისთვის კეთილდღეობის წართმევა? სინამდვილეში ეს არ იქნება ბოროტება,

რადგან ის, რაც მას სიკეთედ ჰგონია, მისთვის არაა სიკეთე. ძალაუფლება, სიმდიდრე, რომლის სწორი გამოყენება მან არ იცის, [illegible] ხდება და თუ ეს მისთვის სასიკეთოა, ამიტომ ამის წარმატება არ [illegible] უსამართლობა.

მაგრამ ბევრს ასეთი შეხედულება მართლდებულად ეჩვენება, რადგან ყველას ჰგონია, რომ შეუძლია ძალაუფლების, გავლენისა და სიმდიდრის გამოყენება. რაც სწორი არაა. ეს ცხადი გახდება კანონმდებლის მაგალითზე. კანონმდებელი ყველას არ ანდობს მართვას, არამედ ფიქრობს, რომ ვისაც მართვა სურს, მას უნდა ჰქონდეს გარკვეული ასაკი და ქონება, რადგან ქვეყნის მართვა ყველას არ შეუძლია. მაგრამ თუ ვინმე უკმაყოფილოა იმის გამო, რომ არ მართავს, ანდა იმიტომ, რომ მას არავინ არ აძლევს ხელმძღვანელობას, მას შეიძლება ეთქვას: "შენ არა გაქვს რაიმე ისეთი სულიერი თვისება, რომლითაც მართვასა და ხელმძღვანელობას შეძლებდი". ასევეა იმ შემთხვევაში, როდესაც ვამჩნევთ, რომ შეიძლება ადამიანის გამოჯანმრთელება, მაგრამ არა ნებისმიერი საკვებით, არამედ შერჩეულით, პირველ ყოვლისა, წყლითა და მსუბუქი საკვებით. ხოლო, ვისაც სული აქვს ცუდი, რათა მან ბოროტება არ ჩაიდინოს, უმჯობესია, რომ მან თავი შეიკავოს სიმდიდრისა, ძალაუფლებისა და სხვა მსგავსი მოვლენისაგან, რადგან სული უფრო ადვილად ცვალებადია და მოძრავი, ვიდრე სხეული. ვინც სხეულითაა ავადმყოფი, საჭიროა, რომ შესაბამის ცხოვრებას ეწეოდეს. ასევე სულით ავადმყოფი ისე უნდა ცხოვრობდეს, რომ ზემოხსენებულ მოვლენებთან კავშირი არ ჰქონდეს.

1200a არსებობს ასეთი სიძნელეც: რას უნდა მიეცეს უპირატესობა, როდესაც კაცს ერთდროულად არ შეუძლია როგორც სიმამაცის, ისე სამართლიანობის ჩადენა? ბუნებრივი სათნოებების შესახებ ჩვენ ვთქვით, რომ ესაა მშვენიერებისაკენ სწრაფვის იმპულსი წინასწარი განზრახვის გარეშე, რადგან არჩევანი არსებობს სულის მოაზროვნე ნაწილში და ის გაცნობიერებულია. ასე რომ, სადაც არჩევანია, იქ არსებობს სრულყოფილი სათნოებაც და გონიერებაც. მაგრამ იგი არ არსებობს მშვენიერებისაკენ ბუნებრივი ლტოლვის გარეშე, რადგან სათნოება არ ეწინააღმდეგება გონებას, სათნოება გონებას ემორჩილება და მისი მითითებებით მოქმედებს. ამიტომაც, საითკენაც გონება მოუწოდებს, იქითკენ მიემართება ის, რადგან რასაც აზროვნება ირჩევს, ის საუკეთესოც არის. მაგრამ არც სხვა სათნოებები არსებობენ გონიერების გარეშე, ისევე, როგორც არც გონიერება არსებობს სრულყოფილი სათნოებების გარეშე, რადგან ისინი როგორღაც უკავშირდებიან ერთმანეთს და გონიერების კარნახით მოქმედებენ.

არანაკლებ ძნელი გადასაწყვეტია კითხვა იმის შესახებ, რომ არის თუ არა სათნოებებში ისეთივე მდგომარეობა, როგორიც გარეგან სიკეთეში და იმ სიკეთეში, რომელიც სხეულს ეხება? ესენი გადაჭარბების შემთხვევაში ვნებენ კაცს. მაგალითად, როდესაც კაცი ძალიან გამდიდრდება, იგი

[illegible]

ამის შემდეგ აქ შევწყვეტთ.

## თავი 4

1150ა ამის შემდეგ შეიძლება აღვნიშნოთ სხვა საწყისიდან დაწყებული გამოკვლევით თავშეუკავებლობისა და თავშეკავებულობის შესახებ. რადგან ამგვარი სიამეთა და ბოროტებათა უბრალოება, ამიტომ ... რომ მათ შესახებ ... წარმოშობა. ეს სათნოება სხვა სათნოებებს არ ჰგავს. სხვა სათნოებებში როგორც არის, ისე გრძნობას ... საზღვრებს ... და ... არ ... აქ არის და გრძნობა ... წინააღმდეგობაში არიან.

სულში იბუდებს სამი ზოგადი, რასაც კაცს "ცუდი" ეწოდება: ბოროტება, თავშეუკავებლობა და მხეცური ბუნება. ბოროტებისა და სათნოების შესახებ, თუ რა არის ის უკვე ნათქვამი არსებობს. ზემოთ უკვე ვთქვით ... თავშეუკავებლობა და მხეცური ბუნება.

## თავი 5

მხეცური ბუნება წარმოადგენს ბოროტების თავისებურ საზღვარს, რომელსაც ვხედავთ, როცა კაცი ძალიან ცუდია, ვამბობთ, რომ ის ადამიანი კი არა, მხეცია, ვითვალისწინებთ რა იმას, რომ არსებობს ბოროტების რაღაც მხეცური ფორმა. ხოლო მისი საპირისპირო სათნოება უსახელოა ის

რაციონალურ სრულყოფილებას, ამაღლებულია ადამიანის დონეზე და წარმოადგენს რაღაც ღვთიურსა და ღვთაებრივს. ამ სათნოებებს საპირისპირო არა აქვს, რადგან არ არსებობს ღვთაებრივი სათნოებები. ღმერთი სათნოებებზე მაღლა დგას და სათნოება არაა მისი სრულყოფილების საზომი, რადგან მისი სათნოებები [illegible] უკეთესია. მართლაც, მხეცურ ბუნებას საპირისპირო [illegible] სათნოებები. საფუძვლიანად, რომ ეს არის რაღაც ღვთაებრივი და ზეადამიანური. რადგან როგორც [illegible] ზეადამიანური, ასევე მისი საპირისპირო სათნოებაც ზეადამიანური იქნება.

## თავი 8

თავშეკავებისა და თავშეუკავებლობის შესახებ [illegible] მსჯელობისას [illegible] ვინაიდან [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] შესახებ [illegible].

[illegible] სოკრატე და [illegible] [illegible] თავშეუკავებლობას და [illegible], რომ ის არ არსებობს. ის ფიქრობდა, რომ [illegible] [illegible], [illegible] არ [illegible] [illegible], არც [illegible] არ [illegible] [illegible]. მაგრამ [illegible] [illegible], რომ თავშეუკავებელი იცის ეს, მაგრამ მაინც სჩადის მას, რადგან [illegible] [illegible] [illegible]. სოკრატეს არგუმენტი, რომელიც [illegible] [illegible] თავშეუკავებლობას, [illegible] იყო. მაგრამ ეს არ იყო სწორი. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] მისი [illegible] და [illegible] [illegible] და [illegible]. რადგან [illegible] თავშეუკავებელი [illegible], [illegible] [illegible] [illegible] ცოდნა, მაგრამ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] სჩადის მას. [illegible] რადგან [illegible] თავშეუკავებლობა, [illegible] [illegible], [illegible] თუ [illegible] თავშეუკავებელს [illegible] ცოდნა, რომელიც ის [illegible] და [illegible] [illegible], რომ [illegible], რადგან [illegible] [illegible], რომ [illegible], [illegible] [illegible] [illegible] და ყველაზე [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] კი ცოდნა ყველაზე მყარი და [illegible], [illegible] [illegible], რომ ეს [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible], რომ თავშეუკავებელს ცოდნა არა აქვს; თუ მას ცოდნა არა აქვს, [illegible] [illegible] [illegible], მაგრამ თუ თავშეუკავებელს აქვს წარმოდგენა, [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. რადგან თუ თავშეუკავებელი [illegible] [illegible] [illegible] [illegible], რომ მას შეხედულება აქვს [illegible] ცოდნა, [illegible] წარმოდგენა, [illegible] [illegible] [illegible] შეხედულება [illegible]. რადგან [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] არ [illegible] [illegible] თუ [illegible] არის ცოდნა და წარმოდგენით [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible], მას არც [illegible] [illegible] [illegible], თუ თავშეუკავებელს [illegible] წარმოდგენა აქვს, [illegible] არ არის [illegible] კი [illegible] მაინც [illegible]. მაგრამ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. რადგან

როგორც იმათ, რომლებმაც თქვეს, რომ თავშეუკავებელს ცოდნა არა აქვს, უაზრო შედეგი მოსდევს, ასევე იმათ, რომლებმაც თქვეს, რომ მას შეხედულება აქვს, უაზრობამდე მივიდნენ.

შეიძლება წარმოიშვას აგრეთვე შემდეგი სიძნელე: როგორც ჩანს, თავშეუკავებელი გონიერია, ამიტომ შეიძლება იმის თქმა, რომ რასაც ის სჩადის, ძლიერი ვნებების გავლენით სჩადის? მაგრამ რადგან ის თავშეუკავებელია, ამიტომ მას უნდა სძლევდნენ ძალიან ძლიერი ვნებები, რადგან არავინ არ იტყოდა მასზე, რომ ის თავშეუკავებელია, თუ ის მხოლოდ ზომიერ ვნებებს სძლევს. ამიტომ თუ მას ძლიერი ვნებები არ ექნება, არც გონიერი იქნება, რადგან გონიერი არაა ის, ვისაც არც ვნებები. და არც განცდები არა აქვს.

სიძნელეს ჰქმნის ასეთი არგუმენტიც: არსებობს ასეთი თვალსაზრისი, რომლის თანახმად, ზოგჯერ თავშეუკავებელი საქებია, ხოლო თავშეკავებული გასაკიცხი. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ კაცმა გადაწყვეტილების მიღების დროს შეცდომა დაუშვა და მშვენიერება მახინჯად მოეჩვენა, მაგრამ ვნება მას მშვენიერებისაკენ უბიძგებს. მას აზროვნება არ აძლევს მოქმედების ნებას, მაგრამ, ვნებებით გატაცებული, ის მაინც მოქმედებს. ზოგჯერ ასე იქცევა თავშეუკავებელი. ის ჰქმნის მშვენიერებას, რადგან აქეთკენ მას ვნება უბიძგებს, აზროვნება კი ხელს უშლის, რადგან დაშვებული იყო, რომ ის აზროვნებით სცდებოდა მშვენიერების შერჩევაში. მაშასადამე, ეს კაცი თავშეუკავებელია, თუმცა მაინც საქებია. იგი საქებია იმდენად, რამდენადაც მშვენიერებას ჰქმნის. მაგრამ ეს შედეგი უაზროა. დავუშვათ საწინააღმდეგო, რომ ის აზროვნებით სცდება და მშვენიერება მშვენიერებად არ ეჩვენება, ვნებას კი იგი მშვენიერებისკენ მიჰყავს. ხოლო თავშეუკავებელია ის, ვისაც ვნებები კი აქვს, მაგრამ მოქმედებს არა ვნებებით, არამედ აზროვნებით. მაშასადამე, ის სცდება აზროვნებით, რომელიც მას ხელს უშლის მშვენიერების შემოქმედებაში. მაგრამ მშვენიერებისკენ მას ვნება უბიძგებს. ის, ვისაც უნდა შეექმნა მშვენიერება, მაგრამ არ შექმნა, გასაკიცხია. ამრიგად, თავშეკავებული ზოგჯერ გასაკიცხია, მაგრამ აქედან უაზრო შედეგები გამომდინარეობს.

1201b სადავოა შემდეგიც: თავშეუკავებლობა და თავშეუკავებელი გვხვდება ყველგან და ყველაფერში: ქონებაში, პატივისცემაში, მრისხანებაში, წარმოდგენაში (ვარაუდობენ, რომ ყველა ამ შემთხვევაში კაცი შეიძლება თავშეუკავებელი იყოს), თუ არ გვხვდება, არამედ მას მოქმედების განსაზღვრული სფერო აქვს? ასეთია ის პუნქტები, რაშიც სიძნელე მდგომარეობს და ამ სიძნელეების გადაწყვეტა აუცილებელია.

პირველ ყოვლისა, შევეხოთ ცოდნას, რადგან უაზრობად გვეჩვენება იმის მტკიცება, რომ ვისაც ცოდნა აქვს, შეიძლება დაკარგოს, ან თვითონ ადამიანი შეიცვალოს. იგივე უნდა ითქვას წარმოდგენის შესახებაც, რადგან არავითარი განსხვავება არაა, გვაქვს ცოდნა, თუ წარმოდგენა. თუ წარმოდგენა ძალიან მყარი და ურყევია, ის არაფრით არ იქნება

განსხვავებული ცოდნისაგან იმათ თვალში, ვისაც წარმოდგენა აქვს. რადგან ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მდგომარეობა სინამდვილეში ისეთია, როგორიც მათ ჰგონიათ. მაგალითად, ჰერაკლიტე ეფესელს ისეთი წარმოდგენა ჰქონდა თავისი შეხედულებების შესახებ.

მაგრამ არ იქნებოდა უაზრობა, თუ ვიტყოდით, რომ თავშეუკავებელს შეუძლია ჩაიდინოს რაიმე ცუდი, ექნება მას ცოდნა, თუ წარმოდგენა. "ცოდნის ქონებას" კი ორი მნიშვნელობით ხმარობენ: ერთია ცოდნის ფლობა (ჩვენ ვამბობთ, რომ კაცი მცოდნეა მაშინ, როცა მას რაიმე ცოდნა აქვს). მისი მეორე მნიშვნელობაა ცოდნის გამოყენება. თავშეუკავებელია ის, ვისაც აქვს მშვენიერების ცოდნა, მაგრამ არ იყენებს. არ იქნება უაზრო, თუ ვიტყვით, რომ კაცი ამ ცოდნას არ იყენებს, როდესაც ბოროტებას სჩადის. აქ იგივე მდგომარეობაა, რაც მძინარეთა შემთხვევაში. მათ ცოდნა აქვთ, მაგრამ ძილში მრავალ საშინელებას სჩადიან და განიცდიან. რადგან მათ აქტიური ცოდნა არა აქვთ, ამიტომ არ მოქმედებენ ამ ცოდნის საფუძველზე. იგივე მდგომარეობაა თავშეუკავებლის შემთხვევაში, რადგან იგი მძინარესა ჰგავს და ცოდნას არ იყენებს. ამით სიძნელეც გადაწყდა, რადგან კითხვა ჩნდებოდა იმას, რომ თავშეუკავებელმა მოქმედების დროს ან დაკარგა ცოდნა, ან თვითონ შეიცვალა. მაგრამ ორივე დაშვება უაზრობაა.

აქედან ცხადი ხდება ის, რაც ჩვენ "ანალიტიკებში" ვთქვით, რომ დასკვნა შედგება ორი წანამძღვრისაგან. ამათგან პირველი ზოგადია, მეორე მისდამი დაქვემდებარებული და კონკრეტული. მაგალითად,

მე ვიცი, როგორ განვკურნო ყველა, ვისაც ცხელება აქვს.

ეს კაცი ცხელებით არის ავად.

- - - - - - - - - - - - -

მაშასადამე, მე ვიცი, როგორ განვკურნო ის.

1202a ამრიგად, არსებულა მოვლენები, რომელიც მე ვიცი ზოგადად და არა კონკრეტულად. ე.ი. შეცდომა შეიძლება მაშინაც წარმოიშვას, როცა ცოდნა გვაქვს. მაგალითად, ვიცი, თუ როგორ განვკურნო ყველა, ვინც ცხელებით არის შეპყრობილი, მაგრამ არ ვიცი ამ ადამიანს აქვს თუ არა ცხელება. იგივე შეცდომა შეიძლება დაუშვას თავშეუკავებელმა, რომელმაც იცის, თუ რაა ცუდი და მავნე, მაგრამ არ იცოდეს, რომ ეს კონკრეტული მოვლენა მავნეა. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ მას ცოდნა აქვს, იგი მაინც შეიძლება შეცდეს, რადგან მას აქვს ზოგადი და არა კონკრეტული ცოდნა. ამრიგად, არ იქნება არავითარი შეუსაბამობა, თუ ვიტყვით, რომ თავშეუკავებელს აქვს ცოდნა, მაგრამ რაღაც ცუდს მაინც სჩადის. აქ იგივე მდგომარეობაა, როგორიც მთვრალებში. მათ როდესაც სიმთვრალე გაუვლით, ისეთივე ხდებიან, როგორიც იყვნენ. მათ არ დაუკარგავთ არც ცოდნა და არც აზროვნების უნარი, მაგრამ ისინი სიმთვრალემ სძლია. როგორც კი სიმთვრალე გაუვლით, ისეთივე ხდებიან, როგორიც სიმთვრალემდე იყვნენ. იგივე უნდა ითქვას თავშეუკავებლების შესახებაც. როდესაც მათ ვნება

სძლევთ, ეცლებათ აზროვნების უნარი, მაგრამ როგორც კი [illegible], ისეთივე ხდებიან, როგორიც მანამდე იყვნენ.

არსებობს კიდევ ერთი არგუმენტი თავშეუკავებლობის შესახებ, რასაც თან დაბრკოლება ახლავს. ამ არგუმენტის მიხედვით, ზოგიერთ შემთხვევაში თავშეკავებული გასაკიცხია, ხოლო თავშეუკავებელი საქები. მაგრამ სინამდვილეში ეს არ ხდება, რადგან არც თავშეკავებული და არც თავშეუკავებელი აზროვნებით არ სცდებიან. ისინი აზროვნებით არჩევენ კარგსა და ავს, მაგრამ თავშეუკავებელი გონებას არ ემორჩილება, თავშეკავებული კი ემორჩილება და ამიტომ მას არც ვნებები სძლევენ. ასევე ის, ვინც ფიქრობს, რომ მამის ცემა ცუდი არაა და ვნებებს აყოლილი სცემს მამას, თავშეკავებული არაა. ამრიგად, თუ ამ მოვლენებში არ იმყოფება არც თავშეკავება და არც თავშეუკავებლობა, მაშინ არც თავშეუკავებლობა იქნება საქები და არც თავშეკავება საძრახისი, როგორც ჩვენ თავიდანვე ვვარაუდობდით.

ზოგი თავშეუკავებელია ავადმყოფობის გამო, ზოგს კი [illegible] ბუნებრივი მიდრეკილება აქვს. არსებობს ავადმყოფობის შემდეგი ფორმებიც: ზოგი თმებს იწეწს და იგლეჯს. ვინც ამ სიამოვნებას სძლევს, არც საქებია და არც დასაძრახი. ვინც ვერ სძლევს ამას, არც ისაა დასაძრახი. ბუნებრივი თავშეუკავებლობის მაგალითად გამოდგება მონაყოლი იმის შესახებ, რომ ერთხელ ასამართლებდნენ ვაჟს, რომელმაც მამას სცემა. ვაჟმა კი თავი დაიცვა სიტყვებით: რომ „ესეც სცემდა თავის მამას". ამის შემდეგ ის გაათავისუფლეს, რადგან მოსამართლემ იფიქრა, რომ დანაშაული დამახასიათებელი იყო მათი ოჯახისათვის. არც ისაა საქები, ვინც მამის ცემის ვნებას სძლევს. მაგრამ ჩვენ ვიკვლევთ თავშეკავებისა და თავშეუკავებლობის არა ამ ფორმებს, არამედ იმას, რასაც საქები და საძრახისი ზოგადად ეწოდება.

ზოგი სიკეთე გარეგანია. მაგალითად, სიმდიდრე, თანამდებობა, პატივი, მეგობრობა, სახელი. ზოგი კი აუცილებელი და სხეულთან არის დაკავშირებული, მაგალითად, შეხება და გემოვნება. ის, ვინც ამაში თავშეუკავებელია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის ყველაფერში იქნება თავშეუკავებელი. ვფიქრობთ, რომ სხეულებრივი სიამოვნება და ის სიამოვნება, რომელსაც ჩვენ ვიკვლევთ. ასეთ მოვლენებში უნდა არსებობდეს.

1202b კითხვა ეხებოდა იმას, თუ რომელ მოვლენებში არსებობს თავშეუკავებლობა. საერთოდ პატივისცემაში თავშეუკავებლობა არ არსებობს, რადგან თავშეუკავებლობა პატივისცემაში როგორღაც საქებია. თავშეუკავებელი ხომ პატივმოყვარეა. მაინც ვამბობთ, რომ ვინმე თავშეუკავებელია, ვუმატებთ, რომ თავშეუკავებელია ან პატივში, ან დიდებაში, ან სიბრაზეში, მაგრამ როდესაც ვამბობთ, რომ „ეს კაცი საერთოდ თავშეუკავებელია", არ ვუმატებთ, თუ რაში არის ის თავშეუკავებელი. რადგან დამატების გარეშეც ნათელია, თუ როგორ არის ის თავშეუკავებელი. ზოგადი თავშეუკავებლობა კი არსებობს სიამოვნებასა და ტანჯვაში.

ქვემოთ ნათელი გახდება, რომ თავშეუკავებლობის სფერო სწორედ ესაა. რადგან გასაკიცხია საერთოდ თავშეუკავებელი, ამიტომ გასაკიცხი იქნება თავშეუკავებლობის ცალკეული ფორმებიც. მაგრამ პატივი, დიდება, ძალაუფლება, ქონება და სხვა, რის გამოც ადამიანს თავშეუკავებელს ვუწოდებთ, არაა გასაკიცხი, ხოლო სხეულებრივი სიამოვნებანი გასაკიცხია. მაშასადამე, სრული საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ ვინც ამ სფეროში საჭიროზე მეტად აქტიურობს, თავშეუკავებელი ეწოდოს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

რადგან თავშეუკავებლობა სიბრაზეში ყველაზე მეტად საძრახისად ითვლება, ამიტომ იბადება კითხვა რა უფრო მეტად საძრახისია, თავშეუკავებლობა სიბრაზეში, თუ სიამოვნებაში? სიბრაზეში თავშეუკავებლები შეიძლება შევადაროთ მონებს, რომლებიც დიდის გულმოდგინებით გვემსახურებიან. როდესაც მათ პატრონი ეუბნება: „მომეცი", ისინი სწრაფად გარბიან და სანამ გაიგებდნენ, თუ რა მოუტანონ, უკვე მოაქვთ, მაგრამ მოაქვთ შეცდომით. ამიტომ ზოგჯერ, როცა ქაღალდის მოტანაა საჭირო, მოაქვთ საწერ-კალამი. იგივე ემართება სიბრაზეში თავშეუკავებელს როგორც კი გაიგებს გამოთქმას: „უსამართლობა ჩაიდინა", მას მაშინვე აღეძვრება შურისძიების სურვილი და არ უცდის გაიგოს, ნამდვილად მოხდა, თუ არა უსამართლობა. მაშასადამე, ასეთი დიდი მრისხანება არ იყო საჭირო. მართალია, ეს თავშეუკავებლობას ნიშნავს, მაგრამ ძალიან საძრახისი არაა. სხეულებრივ სიამოვნებაში თავშეუკავებლობა კი ყოველთვის საძრახისია. სიბრაზეშიც არის განსხვავება: ერთ შემთხვევაში გონება უკრძალავს მოქმედებას, მაგრამ ის მაინც თავისას აკეთებს გონების საწინააღმდეგოდ. თავშეუკავებლობის ეს ფორმა უფრო საძრახისია, ვიდრე თავშეუკავებლობა სიბრაზეში. თავშეუკავებლობა სიბრაზეში ტანჯვას გავს და არ არსებობს მრისხანე, რომ არ იტანჯებოდეს. მაგრამ ვნებასთან დაკავშირებულ თავშეუკავებლობას კი თან სიამოვნება ახლავს და ამიტომ ის უფრო მეტად არის გასაკიცხი. სიამოვნებაში თავშეუკავებლობა თავხედობას უნდა ნიშნავდეს.

გასარკვევია, ერთი და იგივეა თუ არა თავშეკავება და მოთმინება? თავშეკავება სიამოვნებასთან არის დაკავშირებული. თავშეკავებულია ის, ვინც სიამოვნებას სძლია. მოთმინება კი ტანჯვას უკავშირდება. მომთმენია კაცი, რომელიც ტანჯვის ამტანია. ასეთი ადამიანი კი მტკიცეა. მაგრამ თავშეუკავებლობა და სისუსტე ერთი და იგივე არაა. სისუსტე და სუსტი ეწოდება იმას, ვინც ტანჯვას ვერ უძლებს, მაგრამ არა ყველა ტანჯვას, არამედ იმას, რასაც სხვა ადამიანები უძლებენ. თავშეუკავებელი კი ისაა, ვისაც არ ძალუძს სიამოვნებისაგან თავშეკავება, არამედ სისუსტეს იჩენს და მას ემორჩილება.

1203a ამას გარდა, არსებობს აგრეთვე ე.წ. თავზე ხელაღებული ადამიანი. ერთი და იგივეა თუ არა თავზე ხელაღებული და თავშეუკავებელი? თავზე ხელაღებულია ის, ვისაც ჰგონია, რომ რასაც ის სჩადის, ძალიან კარგია

და მისთვის სასარგებლოა. მას არც რაიმე ცოდნა გააჩნია, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევდა იმაში, საითკენაც ვნება მიაქანებს.

რომელი უფრო ადვილად სამკურნალოა, თავზე ხელაღებული, თუ თავშეუკავებელი? არა მგონია, რომ თავშეუკავებელის მკურნალობა უფრო ადვილი იყოს. თავაწყვეტილი უფრო ადვილად იკურნება, რადგან საკმარისია, მან გაიგოს, რომ ასეთი, თუ ისეთი მოქმედება ცუდია, რომ ეს ცუდი აღარ გაიმეოროს. თავშეუკავებელს კი ცოდნა აქვს, მაგრამ ცნობიერად მაინც სჩადის. ასე რომ, ის განუკურნებელი ჩანს.

ვინაა უფრო ცუდი ის, ვისაც არავითარი დადებითი თვისება არ ახასიათებს, თუ თავშეუკავებელი? საფიქრალია, რომ პირველია უფრო ცუდი, რადგან მას ცუდ მდგომარეობაში აქვს ის მხარე რაც უფრო პატივსაცემია. თავშეუკავებელს კი აქვს სათნოება, რაც სწორი თვალსაზრისია. თავაწყვეტილს კი ასეთი ცოდნა არა აქვს. აზროვნება არის ყველაფრის საწყისი. მაშასადამე, თავშეუკავებელს უფრო საპატიო საწყისი აქვს, თანაც კარგ მდგომარეობაში. თავაწყვეტილს კი ეს საწყისი უარეს მდგომარეობაში აქვს. მაშასადამე, თავაწყვეტილი თავშეუკავებელზე უარესი ყოფილა.

გარდა ამისა, „მხეცური ვნებანი", რასაც ჩვენ ბოროტებად ვთვლით, ცხოველებში არ შეიმჩნევა. ის ადამიანებში არსებობს. „მხეცური" არის სიტყვა, რომელიც ბოროტების სიჭარბეს ნიშნავს. რატომ ხდება, რომ ეს სიჭარბე ადამიანებში გვხვდება? იმიტომ, რომ ცხოველებს არ გააჩნიათ უმაღლესი საწყისი, რაც აზროვნებაში გამოიხატება. ვის შეუძლია მეტი ბოროტების ჩადენა: ლომს, ლეოპარდს, ფალარისს, კლეარქეს, თუ სხვა რომელიმე მოძალადეს? ცხადია, რომ ამათ, დასახელებულთ, რადგან მათ ცუდი ამოსავალი პრინციპი აქვთ, რაც ბოროტებას იწვევს. ცხოველებს კი უმაღლესი პრინციპი, აზროვნების სახით არა აქვთ. თავაწყვეტილსაც ცუდი საწყისი პრინციპი აქვს, რადგან როდესაც ის რაიმე ცუდს სჩადის, მას აზროვნება ეთანხმება და ამიტომ სწორად თვლის, რასაც აკეთებს. მაშასადამე, მასში საწყისი პრინციპი წესრიგში არ ყოფილა. მაშ, თავაწყვეტილი თავშეუკავებელზე ცუდი ყოფილა.

1203b არსებობს თავშეუკავებლობის ორი ფორმა: პირველი მოუფიქრებლად და ეცბად აქეზებს კაცს მოქმედებისაკენ. მაგალითად, როცა ლამაზ ქალს ვხედავთ, მაშინვე ვნება აღგვეძრება. ვნება კი წარმოშობს სწრაფვას მოქმედებისკენ, რაც სწორი არ იქნება. მეორე ფორმა როგორღაც სუსტია, მაგრამ გვხვდება იმ ადამიანებში, ვისაც ცოდნა მოქმედებას უკრძალავს. პირველი ფორმა არ უნდა იყოს ძალიან ცუდი, რადგან იგი გვხვდება სერიოზულ, თბილ და კარგად აღზრდილ ადამიანებში. მეორე ფორმა კი გვხდება ცივ და მელანქოლიურ ადამიანებში და ის გასაკიცხია. ამას გარდა, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ კაცმა აღგზნებისაგან თავი შეიკავოს და როცა ლამაზ ქალს დაინახავს, გაიფიქროს „აქეთ მოდის მშვენიერი

ქილი, საჭიროა სიფრთხილე". ამრიგად, ასეთი მსჯელობის კარნახით გრძნობადი შთაბეჭდილებებით შეპყრობილი კაცი ადარც ძლიერ ვნებებს დაემორჩილება და არც რაიმე ცუდს ჩაიდენს. მაგრამ გასაკვირია ის, ვინც იცის, რაც არ უნდა ჩაიდინოს, მაგრამ სიამოვნებას აყოლილი და თანაც სუსტი, მაინც სჩადის დანაშაულს. წესიერი კაცი კი ასეთი თავშეუკავებელი არასოდეს არ გახდება. თავს კი შეიკავებს ის, ვინც აღჭურვილია წინასწარი ცოდნით, მაგრამ მას არ ემორჩილება და ვნებებს აყოლილი როგორღაც სუსტდება და ძალღონეს კარგავს.

ზემოთ დასმული იყო კითხვა იმის შესახებ, არის თუ არა გონიერი ადამიანი თავშეკავებული? ამაზე ვუპასუხებთ, რომ გონიერი ადამიანი თავშეკავებულია. თავშეკავებულია არა მხოლოდ ის, ვისაც ვნებები აქვს, მაგრამ ცოდნით იმორჩილებს მათ, არამედ ისიც, ვისაც ვნებები არა აქვს, მაგრამ თუ აღეძრა, სძლევს მათ. გონიერია ისიც, ვისაც ცუდი ვნებები არა აქვს და მათ შესახებ სწორი წარმოდგენა აქვს. აქედან გამომდინარეობს, რომ გონიერებას ისეთივე მიმართულება აქვს, რაც თავშეკავებას და რომ გონიერი თავშეკავებულია და პირიქით, თავშეუკავებელი გონიერი არაა. გონიერია ის, ვინც არ განიცდის, ხოლო თავშეკავებული განიცდის ვნებებს, მაგრამ სძლევს მათ. არც ერთი ამ თვისებათაგანი არ ახასიათებს გონიერებას და მაშასადამე, თავშეკავებული გონიერი არაა.

1204a თავშეკავებულია თუ თავშეუკავებელი თავხედი კაცი? თუ ესენი ერთმანეთთან დაკავშირებული არ არიან? თავშეუკავებლობას ადგილი აქვს ადამიანებში, რომლებშიც სწორი აზრი ვნებებს ებრძვის. თავხედი კი ასეთი არაა, რადგან ის სჩადის ცუდ[illegible]ნებასთან შეთანხმებით. ასე რომ, არც თავხედია ისეთი, როგორც თ[illegible]უკავებელი და არც თავშეუკავებელია ისეთი, როგორც თავხედი. გარდა ამისა, თავხედი თავშეუკავებელზე ბევრად ცუდია. რადგან ბუნებრივი მიდრეკილებები უფრო ძნელად განიკურნება, ვიდრე ჩვეულებით მიღებული. ვფიქრობთ, რომ ჩვეულება იმიტომაა მყარი, რომ შეთვისებულს ბუნებრივად აქცევს. თავხედი კი თავშეუკავებელზე დაბლა დგას, მასში აზროვნებაც უფრო დაბალ დონეზეა. თავშეუკავებელი მასზე ცუდი მაშინ იქნებოდა, თუ ის ბუნებრივად იქნებოდა ცუდი, როგორც თავხედი. მაგრამ თავშეუკავებელი ცუდია ჩვეულების გამო. თავხედი კი ბუნებრივადაა ასეთი. თავხედის განკურნება უფრო ძნელია, რადგან ერთ ჩვევას მეორე ჩვევა აძევებს, ხოლო ბუნებრივი თვისება არაფრით არ შეიძლება გამოძევებულ იქნას.

თავშეუკავებელია ის, ვისაც ცოდნა აქვს და არც აზროვნების შეჰყავს ის შეცდომაში. ასეთივეა გონიერიც, რომელიც აზროვნებით ყველაფერს სწორად განჭვრეტს. ამიტომ შეიძლება თუ არა, რომ გონიერი ისეთივე იყოს, როგორც თავშეუკავებელი? ეს სადავოა. მაგრამ თუ ზემოთქმულს მივყვებით, მაშინ გამოდის, რომ გონიერი არ შეიძლება თავშეუკავებელი იყოს. ჩვენ კი ვთქვით, რომ გონიერია ის, ვისაც არა მხოლოდ სწორი აზრი

აქვს, არამედ ვინც აზროვნების კარნახით აკეთებს იმას, რაც ყველაზე კარგია. მაშინ გონიერი იქნება არა თავშეუკავებელი, არამედ მოქნილი გონების მქონე. ზემოთ კი ჩვენ ერთმანეთისგან განვასხვავეთ მოხერხებული და გონიერი. მართალია, ორივე ერთსა და იმავე სფეროში მოქმედებს, მაგრამ ერთი აკეთებს იმას, რაც საჭიროა, მეორე კი არა. მაშასადამე, შესაძლებელი ყოფილა, რომ თავშეუკავებელი მოხერხებული იყოს, რადგან არ ყოფნის ძალა იმის განსახორციელებლად, რასაც სწორი აზრი უკარნახებს. მაშინ გამოდის, რომ გონიერი თავშეუკავებელია, მაგრამ ეს შეუძლებელია.

## თავი 7

რადგან სიტყვა ჩამოვარდა ბედნიერების შესახებ, ამიტომ საჭიროა ამის შემდეგ ვილაპარაკოთ სიამოვნებაზე, რადგან ყველა დარწმუნებულია იმაში, რომ ბედნიერება არის ან სიამოვნება, ან სიამოვნებით აღსავსე ცხოვრება, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ის არაა ცხოვრება სიამოვნების გარეშე. ისინი, რომლებიც ფიქრობენ, რომ სიამოვნება არაა სათნოება, ამბობენ: "ვიცხოვროთ ტანჯვის გარეშე". ამრიგად, მათთვის ცხოვრება ტანჯვის გარეშე უახლოვდება სიამოვნებით ცხოვრებას. მაშასადამე, სწორია ლაპარაკი სიამოვნებაზე არა მხოლოდ იმიტომ, რომ სხვებიც მოითხოვენ ამას, არამედ იმიტომ, რომ სიამოვნებაზე ლაპარაკი ჩვენთვისაც აუცილებელია. რადგან მსჯელობა ბედნიერებას ეხება, ხოლო ბედნიერება ჩვენ განვსაზღვრეთ, როგორც სიამოვნებით ცხოვრება, სათნოების სფერო კი არის სიამოვნება და ტანჯვა, აქედან გამომდინარეობს სიამოვნების განხილვის აუცილებლობა, რადგან ბედნიერება სიამოვნების გარეშე არ არსებულა.
1204b პირველ ყოვლისა, ვიმსჯელოთ იმაზე, რასაც ზოგიერთი ამბობს, რომ სიამოვნება არაა ერთ-ერთი სიკეთე სხვა სიკეთეთა შორის. მათი პირველი არგუმენტი ასეთია: სიამოვნება არის ქმნადობა. ქმნადობა კი დაუმთავრებელია. სიკეთეს კი არა აქვს ადგილი იმაში, რაც დაუსრულებელია. მათი მეორე არგუმენტია: არსებობს სიამოვნების ცუდი ფორმები, ხოლო სიკეთე არ შეიძლება იყოს ცუდი მოვლენების სფერო. მესამე არგუმენტი: სიამოვნება გვხდება ყველგან, როგორც ცუდში, ისე კარგში, როგორც მხეცურ, ისე ჯოგურ მოვლენებში, კარგი კი ცუდთან აღურეველია და ყველასათვის არ არის დამახასიათებელი. მეოთხე არგუმენტი: სიამოვნება არაა დამოუკიდებელი, სიკეთე კი დამოუკიდებელია. მეხუთე არგუმენტი: იგი ხელს უშლის ზნეობრივი მშვენიერების განხორციელებას, ხოლო რაც მშვენიერებას უშლის ხელს, ის სიკეთე არ იქნება.

ჯერ ვილაპარაკოთ პირველ არგუმენტზე, კერძოდ, წარმოშობაზე და ვცადოთ მისი დარღვევა, რადგან ის სწორი არაა. პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ყველა სიამოვნება ქმნადობა არაა, რადგან ქმნადობა არ მიიღება არც ხედვით, არც სმენითა და არც ყნოსვით. ის არაა გამოწვეული

არც ჭამით, არც სმით, არც ნაკლებობით და რამე სხვა საშუალებებით. ეს სიამოვნება ჩნდება სიჭარბისა და ნაკლებობის დროს, როცა საჭირო ხდება დანაკლისის შევსება, ანდა სიჭარბის შემცირება. ამ შემთხვევაში ის ქმნადობაა. მაგრამ ნაკლებობა და სიჭარბე არის ტანჯვა. მაშასადამე, სიამოვნება ყოფილა იქ, სადაც ტანჯვაა. მაგრამ ხედვაში, ყნოსვაში არაა წინასწარ მოცემული ტანჯვა, რადგან არავინ, ვინც სიამოვნებას იღებს მხედველობით, ან ყნოსვით, არ იტანჯება. ასევე აზროვნებაშიც რაღაცის გაჭვრეტის დროს კაცი იღებს სიამოვნებას ტანჯვის გარეშე. მაშასადამე, არსებულა რაღაც სიამოვნება, რაც ქმნადობა არაა. და რომელიც სწორედ ამიტომ არის სიკეთე.

საერთოდ კი, არც ერთი სიამოვნება არაა ქმნადობა. არაა ქმნადობა არც ჭამით, არც სმით მიღებული სიამოვნება. მაშასადამე, სცდებიან ისინი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ასეთი სიამოვნება არის ქმნადობა. ისინი კი ვარაუდობენ, რომ თუ ჭამითა და სმით მიღებული სიამოვნება და ქმნადობა ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ სიამოვნებაც ქმნადობა ყოფილა. მაგრამ ეს ასე არაა. თუ სულის ის ნაწილი, რომლითაც სიამოვნებას ვიღებთ, მოქმედებაშია, მაშინ დანაკლისის შევსების დროს, სულის ეს ნაწილი მოქმედებაში იქნება და მისი მოძრაობა და მოქმედება კი სიამოვნება იქნება. შევსებით გამოწვეული სიამოვნება თვალსაჩინოა, ხოლო სულის ის ნაწილი, სადაც ეს ხდება, უხილავია. ეს იმასვე ნიშნავს, რასაც ზოგიერთი ამბობს, რომ ადამიანი სხეულია, რადგან სხეული შეიგრძნობა, სული კი არ შეიგრძნობა. სინამდვილეში კი სულიც შეგრძნებადია და აქაც ისეთივე მდგომარეობაა, რაც შეგრძნებად მოვლენებში. იქ, სადაც სიამოვნებას ვიღებთ, არის სულის ნაწილი და ის შევსებასთან ერთად მოქმედებს. მაშ, არც ერთი სიამოვნება არ ყოფილა ქმნადობა.

1205ა არსებობენ მოაზროვნენიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სიამოვნება შეიგრძნობა ბუნებრივი მდგომარეობის აღდგენისას. ბუნებრივი მდგომარეობის აღდგენა კი არის ნაკლებობის შევსების შედეგი, რასაც შევსება მოსდევს შედეგად. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, სიამოვნება არსებობს იქაც, სადაც არ ხდება დანაკლისის შევსება. ნაკლებობა კი არის ტანჯვა. ჩვენ კი ვამბობდით, რომ არსებობს სიამოვნება ტანჯვის გარეშე და ტანჯვამდე. მაშინ აქედან გამომდინარეობს, რომ ნაკლის შევსება და ბუნებრივი მდგომარეობისადმი დაბრუნება სიამოვნება არ იქნებოდა, რადგან აღნიშნულ სიამოვნებებში არ არის არავითარი ნაკლი. ისინი უარყოფენ სიამოვნებას როგორც სიკეთეს, რადგან მას ქმნადობად მიიჩნევდნენ. მაგრამ არც ერთი სიამოვნება არაა ქმნადობა, ამიტომ სიამოვნება სიკეთე ყოფილა.

არსებობს ასეთი მოსაზრებაც, რომ ყოველი სიამოვნება არაა სიკეთე. ამ შემთხვევაში კი შეიძლება სწორი შეხედულებების შემუშავება შემდეგნაირად. თუ სიკეთე გვხვდება ყველა კატეგორიაში: სუბსტანციაშიც, მიმართებაშიც, რაოდენობაშიც, დროშიც და საერთოდ, ყველგან, მაშინ ეს მოსაზრება არ იქნება სწორი, რადგან ყოველ მოქმედებას თან სდევს

სიამოვნება. მაშ, სიამოვნებაც და სიკეთეც ყველა კატეგორიაში არსებულა. სიამოვნებაც კი სიკეთიდან წარმოიშობა. მაშ, სიამოვნება იგივე ყოფილა, რაც სიკეთე. აქედანვე ცხადი ხდება ისიც, რომ სიამოვნების სახეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, რადგან განსხვავებულია ის კატეგორიები, სადაც სიამოვნება გვხვდება. მაგრამ აქ არაა ისეთივე მდგომარეობა, როგორც მეცნიერებაში, მაგალითად, გრამატიკაში და სხვ. მაგალითად, თუ ლამპროსმა იცის გრამატიკა, მას იგივე თვისება აქვს, როგორიც ნებისმიერ გრამატიკოსს, რადგან არ არსებობს გრამატიკის ორი განსხვავებული სახე ლამპროსისა და ნელევსისა. სიამოვნებაში კი ასეთი მდგომარეობა არაა, რადგან სიმთვრალით და სქესობრივი კავშირით მიღებული სიამოვნება კაცში ერთნაირ განწყობას არ იწვევს. მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ არსებობს სიამოვნების განსხვავებული სახეები.

1205b აქედან გამომდინარეობს, რომ არსებობს ცუდი სიამოვნებანიც. ამიტომ ფიქრობენ, რომ ასეთი სიამოვნება სიკეთე არ უნდა იყოს. მაგრამ ასეთი არგუმენტი შეიძლება წამოყენებულ იქნას არა მხოლოდ სიამოვნების მიმართ, არამედ ბუნებრივი მდგომარეობისა და ცოდნის მიმართაც. ხომ არსებობენ დაბალი დონის არსებები, მაგალითად, ხოჭოები, ჭიაყელები და სხვ., მაგრამ ამის გამო თვითონ ბუნება არაა ყოველთვის დაბალი დონისა. მაგალითად, არსებობს დაბალი დონის საქმიანობა, როგორიცაა ხელოსნობა, მაგრამ ამის გამო მთელი ცოდნა არაა დაბალი დონისა, არამედ არსებობს ისეთი ცოდნაც, რომელიც სიკეთეა. ასევეა ბუნებაშიც. როგორც მოქანდაკე არ უნდა შევაფასოთ იმით, თუ რა გამოაქანდაკა მან ცუდად, ან რა ნაკლი აქვს მას, არამედ იმის და მიხედვით, თუ რა შექმნა მან კარგი. ასევე არც ცოდნა, რაც ბუნება და არც სხვა რომელიმე მოვლენის თვისება არ უნდა განვიხილოთ ცუდის მხრივ, არამედ იმისდა მიხედვით, რაც მასში კარგია. ასევე სიამოვნებაც თავისი არსით კარგია, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ არსებობს დაბალი დონის სიამოვნებაც. ასევე ცხოველებიც თავისი ბუნებით განსხვავებულნი არიან, არსებობენ როგორც კარგი, ისე ცუდი ბუნების ცხოველები. მაგალითად, ადამიანი თავისი ბუნებით კარგია, მაგრამ მგელი ან სხვა რომელიმე მხეცი — ცუდი. ასევე განსხვავებულია ცხენისა და ადამიანის ბუნება, ჯორისა და სახედრისა. თითოეული მათგანისათვის სიამოვნება იქნება არაბუნებრივი მდგომარეობიდან ბუნებრივი მდგომარეობისადმი დაბრუნება. მაშინ ეს ცუდი ცხოველებისათვის იქნებოდა ცუდი სიამოვნება, რადგან, როგორც ვთქვით, ერთი და იგივე არაა ადამიანისა და ცხენის ბუნება, ან სხვა რომელიმე ცხოველისა და რადგან ისინი ბუნებით განსხვავებულნი არიან, ამიტომ განსხვავებული იქნება მათი სიამოვნებანიც. სიამოვნება მდგომარეობს აღდგენაში, ხოლო როგორც ამბობენ, აღდგენა არის ბუნებრივი მდგომარეობისადმი დაბრუნება. ამ შემთხვევაში ცუდი

ბუნების მქონე ცხოველის დაბრუნება ბუნებრივი მდგომარეობისადმი იქნება ცუდი, კარგისა — კარგი.

მაგრამ ისინი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სიამოვნება სიკეთე არაა, იმასვე განიცდიან, როგორსაც ადამიანები, რომლებმაც არ იციან, თუ რა არის ნექტარი და ჰგონიათ, რომ ღმერთებიც ღვინოსა სვამენ, რადგან მათთვის ამაზე ძვირფასი არაა არის რა. ეს მათ უცოდინარობით ემართებათ. იგივე დაემართათ იმათ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ყველა სიამოვნება არის ქმნადობა და არა სიკეთე. ეს კი იმიტომ, რომ მათ სხეულებრივი სიამოვნების გარდა, სხვა სიამოვნება არ იციან. და რადგან სხეულებრივი სიამოვნება ქმნადობაში მდგომარეობს, ამიტომ ჰგონიათ, რომ სიამოვნება საერთოდ არაა სიკეთე.

სიამოვნება არსებობს იქაც, სადაც ხდება საწყისი მდგომარეობისაკენ დაბრუნება, ან სადაც ეს უკვე მოხდა, მაგალითად, სიამოვნება მხედველობის, სმენის და სხვა ამგვარის ნაკლის შევსება, სადაც ბუნებრივი მდგომარეობა უკვე აღდგა. რადგან სიამოვნებას ორივე საზეობა მოქმედებას გულისხმობს. მაშინ ცხადი ხდება, რომ მხედველობით, სმენით და აზროვნებით მიღებული სიამოვნება საუკეთესო რამ ყოფილა. რაც შეეხება სხეულებრივ სიამოვნებას, ის ნაკლის შევსებას წარმოადგენს.

ისიც იყო ნათქვამი, რომ სიამოვნება სიკეთე არაა, რადგან ის, რაც ყველგან არსებობს და ყველასათვის საერთოა, არ შეიძლება სიკეთე იყოს. ასეთი რამ კი ყველაზე მეტად პატივმოყვარისა და პატივმოყვარეობისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი, რადგან პატივმოყვარე ისაა, ვისაც სურს, რომ რაიმე მხოლოდ მას ჰქონდეს, რათა ამით ყველას სჯობდეს. იქნებ პირიქით ხდება, რომ სიამოვნება იმიტომაა სიკეთე, რომ მას ყველა ეტანება? სწრაფვა სიამოვნებისაკენ ყველას ახასიათებს და მას ყველა ეტანება. სწორედ ამიტომ სიამოვნება თავისი არსით სიკეთე უნდა იყოს.

1205a ასევე ფიქრობენ, რომ სიამოვნება დამაბრკოლებაა, ამიტომ მასზე, ალბათ, ითქმის, რომ ის სიკეთეა. დაბრკოლებად კი მას იმიტომ თვლიან, რომ როგორც ჩანს, მათ იგი კარგად ვერ იკვლიეს. საგნების შემოქმედებისას წარმოშობილი სიამოვნება დაბრკოლება კი არ უნდა იყოს, პირიქით. დამაბრკოლებელი რაიმე სხვა სიამოვნება უნდა იყოს. ასეთია, მაგალითად, სიმთვრალით მიღებული სიამოვნება. ასევე ერთი ცოდნა შეიძლება დამაბრკოლებელი იყოს მეორე ცოდნისათვის, რადგან ორივეთი ერთდროულად მოქმედება არ შეიძლება. მაგრამ ცოდნა რატომ არ უნდა იყოს სიკეთე, თუ ის შემოქმედების დროს სიამოვნებას წარმოშობს? გარდა ამისა, იბადება კითხვა, რომ სიამოვნება დამაბრკოლებელია, თუ ის უფრო მეტ აქტიურობას იწვევს? სიამოვნება უფრო ენერგიული მოქმედებისაკენ გვიბიძგებს და თვითონაც ენერგიული მოქმედების შედეგია. რადგან ბეჯითად მოქმედი, მოქმედებს სათნოებით, ამიტომ მოქმედება მისთვის სასიამოვნოა და განა იგი იმიტომ უფრო მეტი ენერგიით არ იმოქმედებს? სინამდვილეში ეს ასეც ხდება, რადგან ვინც სიამოვნებით მოქმედებს, ის მეცადინეც არის

ხოლო ვინც მშვენიერების შემოქმედებისას იტანჯება, ის არც მუყაითი იქნება. ტანჯვას იძულება იწვევს, ამიტომ ვინც იტანჯება რომელიმე მშვენიერების შემოქმედებისას, ის იძულებით მოქმედებს. ხოლო იძულებით მოქმედი მუყაითი არაა. სათნო მოქმედება უნდა ხორციელდებოდეს ან სიამოვნებით, ან ტანჯვით, მესამე გზა არ არსებობს. რატომ? იმიტომ, რომ სათნოება მდებარეობს გრძნობადობის სფეროში. გრძნობა კი მდგომარეობს ტანჯვასა და სიამოვნებაში. მესამე არ არსებობს. ამრიგად, ცხადია, რომ სათნოება განუყრელად უკავშირდება ტანჯვას, ან სიამოვნებას. ვინც ტანჯვით ქმნის მშვენიერებას, ის არც წესიერი კაცი იქნება. ასე რომ, სათნოება უნდა იყოს არა ტანჯვის, არამედ სიამოვნების შედეგი. ხოლო სიამოვნება არა თუ დამაბრკოლებელია მოქმედებაში, პირიქით, ის გატაცებას იწვევს და მოქმედებას წარმართავს. საერთოდ, სათნოება არ უნდა არსებობდეს იმ სიამოვნების გარეშე, რომელსაც ის იწვევს.

სხვა თეორიების მიხედვით, ცოდნა სიამოვნებას არ წარმოშობს. მაგრამ არც ეს თვალსაზრისია სწორი, რადგან მზარეულნი, გვირგვინის მკეთებელნი და პარფიუმერნი სიამოვნების შემოქმედების პროფესიონალები არიან. სხვა სულიერი მოღვაწეობისათვის სიამოვნება არაა მიზანი, მაგრამ ისინი ან სიამოვნებას უკავშირდებიან, ან სიამოვნების გარეშე არ არსებობენ. ამრიგად, ცოდნაც სიამოვნების წარმომქმნელია.

ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, სიამოვნება არაა უმაღლესი სიკეთე, ასე და ამგვარი მსჯელობით ისინი სპობენ ცალკეულ სათნოებებს, რადგან თუ სიმამაცე უმაღლესი სათნოება არაა, ამიტომ ის სიკეთე აღარაა? ეს ხომ უაზრობაა. ასევეა სხვა სათნოებებშიც. სიამოვნება იმიტომ აღარაა სიკეთე, რომ იგი უმაღლესი სიკეთე არაა?

1206ბ ერთგვარი სიძნელე წარმოიშობა სათნოებების განხილვის დროს. მაგალითად, როდესაც აზრი სძლევს ვნებას, მე ვგულისხმობ თავშეკავებულ კაცს, ანდა პირიქით, გრძნობა შეებრძოლება და სძლევს აზრს, როგორც ეს თავშეუკავებლებს ემართებათ, მაშინ სულის უგუნური ნაწილში, რომელიც კარგ განწყობაშია, ან ბოროტება სძლევს სწორად წარმართულ აზრს, (ასეთია თავშეუკავებელი კაცი), ანდა აზრი, რომელიც ცუდ მდგომარეობაშია, სძლევს კარგ მდგომარეობაში მყოფ გრძნობას, რომელსაც მისთვის დამახასიათებელი სათნოებაც კი გააჩნია. თუ ეს შესაძლებელია, აქედან გამომდინარეობს, რომ სათნოებით ცუდად სარგებლობენ, რადგან ცუდად წარმართული აზრი სათნოებასაც ცუდად იყენებს. მაგრამ ასეთი შედეგი უაზრობაა.

ამ დაბრკოლების დაძლევა და მასზე პასუხის გაცემა ადვილია იქიდან, რაც სათნოების შესახებ ჩვენ ზემოთ ვთქვით. სათნოება არსებობს იქ, სადაც კარგად წარმართული აზრი ჰარმონიაშია გრძნობებთან, რომელთაც მათთვის შესაბამისი სათნოება გააჩნიათ და პირიქით, თუ გრძნობა გონებასთან ასეთსავე ჰარმონიაში იმყოფება. ასე განწყობილნი ისინი

ერთმანეთთან შეხმატკბილებული არიან. ასე რომ, აზროვნება აქ ყოველთვის სწორ განკარგულებებს იძლევა და გრძნობაც, რომელსაც სწორი მიმართულება აქვს, წარმატებით მოქმედებს. მაგრამ როდესაც აზრი ცუდ მდგომარეობაშია, ხოლო გრძნობა კარგში, მაშინ სათნოება ვერ განხორციელდება, რადგან რაციონალური ელემენტი გამოტოვებულია. სათნოება კი ორივე მხარის ერთობლივი მოქმედებით მიიღება. ასე რომ, სათნოების ცუდად გამოყენება შეუძლებელია.

ზოგი ფიქრობს, რომ სათნოების წარმმართველი და საწყისი არის არა აზრი, არამედ უფრო გრძნობა. რადგან თავიდანვე თანდაყოლილად მშვენიერებისაკენ ირაციონალური სწრაფვა ჩნდება, მხოლოდ ამის შემდეგ და ამის საფუძველზე განსჯის და გადაწყვეტს აზრი. ეს კარგად შეინიშნება ბავშვებში და იმ არსებებში, რომლებიც აზროვნების გარეშე ცხოვრობენ. მათში ჯერ მშვენიერებისაკენ ირაციონალური სწრაფვა წარმოიშვება, ხოლო აზრი შემდეგ ჩნდება და თავის გადაწყვეტილებით ახალისებს მშვენიერების ქმნილობას. მშვენიერების შემოქმედებისას რაციონალური საწყისები ხშირად ირაციონალურში იღებენ. მაგრამ თუ ირაციონალური საწყისები რაციონალურთან ჰარმონიაში ვერ მოდიან, მაშინ წინააღმდეგობაში ექცევიან მასთან. მაშასადამე, როგორც ჩანს, სათნოების საწყისი უფრო გარკვეულ მოწესრიგებულ გრძნობაშია, ვიდრე აზრში.

## თავი ი

რადგან საუბარი ზოგადად ბედნიერებაზეა; საჭიროა ვისაუბროთ ბედნიერი შემთხვევის შესახებ, რადგან ბევრი ფიქრობს, რომ ბედნიერება არის ბედნიერი შემთხვევისაგან, ანდა მის გარეშე არ არსებობს. ეს სწორიც უნდა იყოს, რადგან გარეგან საქონელთა გარეშე, რომელთა ძირითადი მიზეზი შემთხვევაა, ბედნიერება არ არსებობს. ამიტომ საჭიროა ვთქვათ ბედნიერი შემთხვევის შესახებ, რა არის იგი, სად არსებობს და რომელია მისი მოქმედების სფერო?

1207a დავიწყებთ რა კიდევ ამის კვლევას და განხილვას, მაშინვე ასეთ სიძნელეს წააწყდებით: არავინ არ ამბობს, რომ შემთხვევის მიზეზი არის ბუნება, რადგან, სადაც ბუნებაა მიზეზი, იქ მოვლენების წარმოშობა უმეტეს შემთხვევაში ან ყოველთვის ერთნაირად წარმოებს; შემთხვევა კი არც კანონზომიერად და არც ერთნაირად არ მოქმედებს. მაშასადამე, შემთხვევა ასეთ ზომიერებაზე არ იტყვის. შემთხვევა არ ჰგავს არც გონებას, არც სწორ თვალსაზრისს, რადგან გონება და აზრი არა ნაკლებ აბსოლუტურ წესრიგს და ერთნაირად მოქმედებენ და არა შემთხვევით. სადაც უმეტეს შემთხვევაში არის გონება და აზრი, იქ ნაკლებია შემთხვევა, ხოლო სადაც ხშირია შემთხვევა, იქ ნაკლებია გონება. შეიძლება იმის დამტკიცება, რომ ბედნიერი შემთხვევა არის ღმერთების ერთგვარი ზრუნვა გვერდზე? თუ ეს შეუძლებელია? ღმერთებზე ჩვენ ვფიქრობთ ისეთ გამგებლებად, რომლებიც სიკეთეს და

ბოროტებას დამსახურების შესაბამისად ანაწილებენ. ბოლო შემთხვევა და ის, რაც მისგან არის წარმოშობილი, მიმდინარეობს ისე, როგორც მოხვდება. თუ ღმერთს ასეთად მივიჩნევდით, მაშინ ჩვენ მას ჩავთვლიდით ან ცუდ ან არა სამართლიან მოსამართლედ. ეს კი ღმერთებს არ შეშვენით.

გარდა ამისა, შემთხვევას ზემოდასახელებულ მოვლენებს გარდა, სხვაგან ვერ მოვათავსებთ. ასე რომ, ცხადია, ის რომელიმე მათგანია. გონება, აზრი და ცოდნა, როგორც ჩანს, სრულიად სხვა რაღაცაა, ვიდრე შემთხვევა. ასევე, ჩვენის აზრით, ღმერთების მხრივ ზრუნვა და კეთილგანწყობა სრულიად განსხვავდება შემთხვევისაგან. რადგან ბედნიერი შემთხვევა შეიძლება ცუდ ადამიანებსაც ერგოთ და სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ღმერთი ცუდ ადამიანებზეც ზრუნავს. ამრიგად, გვრჩება და უფრო შესაფერიც არის, რომ ბედნიერი შემთხვევის არსებობის ადგილად ბუნება მივიჩნიოთ.

შემთხვევა საერთოდ და კერძოდ, ბედნიერი შემთხვევა, არსებობს იმ სფეროში, რომელიც ჩვენზე არ არის დამოკიდებული, რაზეც ჩვენ არ გვაქვს უფლებამოსილება და რის განხორციელების უნარიც არ გვაქვს. ამიტომ სამართლიანობასა და სამართლიანს არავინ არ უწოდებს ბედნიერ შემთხვევას, არ უწოდებენ არც მამაცს და არც სხვა რომელიმე სათნოების მქონეს, რადგან ამის ქონება ან არქონება ჩვენზეა დამოკიდებული. უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ შემდეგში ისეთ მოვლენებზე გვეხმარა გამოთქმა "ბედნიერი შემთხვევა", როგორიცაა კეთილშობილება და საერთოდ, ისეთი სიკეთე, რაც ადამიანზე არაა დამოკიდებული. ისეთ სათნოებას, რაზეც კაცს არავითარი ძალა არა აქვს, ბედნიერი შემთხვევის შედეგი ეწოდება. თუმცა არც ამ მოვლენებზე შეიძლება ამ გამოთქმის პირდაპირი მნიშვნელობით ხმარება.

გამოთქმას "ბედნიერი შემთხვევა" უფრო მრავალი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ბედნიერს ვუწოდებთ ადამიანს, რომელსაც საკუთარი განზრახვის გარეშე რაიმე ძვირფასი ხვდა წილად. მაგალითად, თუ კაცს სასჯელი ეკუთვნოდა, მაგრამ ამის ნაცვლად მოგება ხვდა წილად. მაშასადამე, ბედნიერ შემთხვევას იქა აქვს ადგილი, სადაც კაცი სიკეთეს აღწევს წინასწარი გამიზნულობის გარეშე, ბოროტებას კი თავს აღწევს.

1207b ამრიგად, ჩვენი სურვილისაგან დამოუკიდებლად სიკეთის მიღწევა და ბოროტების თავიდან აშორება ბედნიერი შემთხვევა ყოფილა. მაშასადამე, ბედნიერი შემთხვევა ალოგიკური ბუნებისაა. ხოლო ბედნიერი ეთქმის იმას, ვისაც აქვს ირაციონალური სწრაფვა სიკეთისაკენ და აღწევს კიდეც მას. ეს კი ბუნებით არის გამოწვეული, რადგან ჩვენ სულში იმყოფება ბუნებრივი მიდრეკილება იმისკენ მისწრაფებისა, რისთვისაც ჩვენ გარკვეული მონაცემები გვაქვს. თუ ასეთ კაცს ვინმე ჰკითხავს: "რატომ მოგწონს ასე მოქმედება?" ის უპასუხებს: "არ ვიცი, მაგრამ მომწონს კი". იგივე ემართებათ ენთუზიაზმში მყოფთ, რადგან მათ წინასწარი გადაწყვეტილების გარეშე აქვთ მისწრაფება რაიმე გარკვეული მოქმედებისაკენ.

მაგრამ ბედნიერი შემთხვევისათვის არა გვაქვს მისთვის შესაფერისი სახელი. ხშირად მას ვუწოდებთ მიზეზს, მაგრამ მიზეზი სულ სხვაა და ბედნიერი შემთხვევა კი სხვა. მიზეზი და ის, რის მიზეზიც ის არის, სხვადასხვა არიან და ვინც მისწრაფების გარეშე რაიმე სიკეთეს აღწევს, ამის მიზეზს შემთხვევას ვუწოდებთ. მაგალითად, ბოროტების თავიდან აცილებას, ან პირიქით, მოულოდნელად სიკეთის მიღწევას ბედნიერ შემთხვევას ვუწოდებთ. ბედნიერი შემთხვევა მიზეზისაგან განსხვავდება და როგორც ჩანს, ის გამოწვეულია მოქმედების ცვალებადობით. და სწორედ ესაა ბედნიერი შემთხვევით გამოწვეული ბედნიერება. და თუ ესაა ბედნიერი შემთხვევა, მაშინ ის უფრო დამახასიათებელი იქნება მოვლენებისათვის, რომელთაც სიკეთისაკენ მისწრაფების და მისი მიღწევის საწყისი თავის თავში აქვთ. და თუ ბედნიერება არ არსებობს გარეგანი სიკეთის გარეშე, რასაც ბედნიერი შემთხვევა წარმოშობს, როგორც უკვე ითქვა, მაშინ შემთხვევა ბედნიერების მიღწევის დამხმარე საშუალება ყოფილა.

აი ის, რაც გვინდოდა გვეთქვა ბედნიერი შემთხვევის შესახებ.

## თავი 9

1208a რადგან თეითეული სათნოების ნაწილებზე უკვე ვილაპარაკეთ, გვრჩება ყოველივე ამის შეჯამება და ზოგად ცნებაზე დაყვანა. არ იქნება შეცდომა, თუ ყოვლად წესიერი ადამიანის მიმართ ვიხმარებთ გამოთქმას "კალოკაგათია". რადგან როცა კაცი ყოველმხრივ კარგია, მასზე ამბობენ, რომ ის მშვენიერიცაა და კეთილიც. ასევე სათნოზე, სამართლიანზე, მამაცსა და გონიერზე ამბობენ, რომ ის მშვენიერიცაა და კეთილიც. მაგრამ ჩვენ საგნებს ვყოფთ ორად: ნაწილზე ვამბობთ, რომ ის მშვენიერია, ნაწილზე, რომ ის კეთილია. კეთილთაგან ნაწილი კეთილია ზოგადად, მეორე ნაწილი კი არა. მშვენიერია, როგორც სათნოება, ისე მისგან გამომდინარე მოქმედებანი. სიკეთეა ძალაუფლება, სიმდიდრე, კარგი სახელი, დიდება და სხვა, მშვენიერია და ამავე დროს კეთილია ის, ვისთვისაც კეთილი არის ზოგადი კეთილი და მშვენიერი კი არის ზოგადი მშვენიერი. აი, ასეთი კაცია კეთილიცა და მშვენიერიც. მაგრამ, ვინც ზოგად სიკეთეს არ თვლის სიკეთედ, ის არ იქნება არც კეთილი და არც მშვენიერი. ისევე, როგორც არ შეიძლება მიეწეროს ჯანმრთელობა ზოგადად იმას, ვისაც კონკრეტული ჯანმრთელობა არ მიეწერება. ასევე, თუ ვინმეს სიმდიდრე და ძალაუფლება ზიანს აყენებს, ეს მისთვის არც სასურველი იქნება და მოისურვებს იმის მოპოვებას, რაც მისთვის სასიამოვნო იქნება. თუ კაცს რაიმე სიკეთე აკლია, მაგრამ მისკენ არ მიისწრაფვის, ის არ იქნება კეთილი და მშვენიერი. ხოლო ის, ვისთვისაც სიკეთე არის ნამდვილი სიკეთე და რომელიც არ ზიანდება მისგან, მაგალითად, სიმდიდრისა და ძალაუფლებისაგან, იგი ერთდროულად კეთილიცაა და მშვენიერიც.

## თავი 10

ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ სათნოებათა შესახებ, კერძოდ სწორი მოქმედების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე. მაგრამ ვინც არ იცის ეს, იკითხავს, თუ რა არის სწორი გადაწყვეტილებით მოქმედება? ან და სად ხდება ის? [მოქმედება სწორი გადაწყვეტილებით ნიშნავს იმას, რომ სულის უგუნური ნაწილი სულის გონიერ ნაწილს ხელს არ უშლის მოქმედებაში მისი საკუთარი უნარის შესაბამისად.] ეი, ამ დროს წარმოებს მოქმედება სწორი თვალსაზრისის მიხედვით. სულის ერთი ნაწილი ცუდი გვაქვს, მეორე კი კარგი. ცუდი ნაწილი ყოველთვის კარგისთვის არსებობს. ასევე სულისა და სხეულის მიმართებაში. სხეული სულისათვის არსებობს. მაშინ ვამბობთ, რომ სხეული მშვენიერია, როცა იგი ისეთ მდგომარეობაშია, რომ სულს არ უშლის ხელს, არამედ მასთან კავშირშია და მასთან ერთად მიისწრაფის, რათა სულმა თავისი საქმე განახორციელოს. რადგან ცუდი კარგისათვის არსებობს, სხეული ეხმარება სულს საუკეთესო მიზნის განხორციელებაში. როცა გრძნობა გონებას ხელს არ უშლის თავისი საქმის დამთავრებაში, მაშინ ხორციელდება მოქმედება სწორი აზრის მიხედვით.

1208b ვინმემ შეიძლება იკითხოს მე არ ვიცი, თუ როდის არიან გრძნობები ისეთ მდგომარეობაში, რომ ხელს არ გვიშლიან მოქმედებაში და როგორია ეს მდგომარეობა? მაგრამ ამაზე პასუხის გაცემა ადვილი არ არის. მაგალითად, ექიმი, რომელიც ამბობს, რომ ციებას შველის ქერის ნაყენი, კითხვაზე „როგორ გავიგოთ, რომ ეს ციებაა?" პასუხობს „გაიგებ ყვითელი ფერით". „როგორ შევამჩნიოთ ეს ყვითელი ფერი?" ამაზე ექიმი შენიშნავს „შენ ამის შეგრძნება უნდა გაგიჩნდეს და თუ არა გაქვს, მე ამას ვერ აგიხსნი". ასეთი მსჯელობა შეიძლება გავავრცელოთ ყველა ანალოგიურ შემთხვევაზე. ასევე კაცი, რომელსაც გრძნობებში გარკვევა სურს, თვითონ უნდა განიცადოს ის..

ვინმემ შეიძლება ასეთი კითხვაც დაგვისვას: თუ საქმის ვითარება ვიცი, ვიქნები თუ არა ფაქტიურად ბედნიერი? ამაზე შეიძლებოდა დადებითი პასუხის გაცემა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა. არც ერთი სხვა მეცნიერება არ გადასცემს მოსწავლეს მეცნიერების გამოყენებისა და მოქმედების ცოდნას. ასევე აქაც გადაიცემა ბედნიერების ცოდნა და არა მისი გამოყენებისა.

როგორც ვთქვით, ბედნიერება არის მოქმედება და ის მდგომარეობს არა მის ცოდნაში, არამედ ამ ცოდნის გამოყენებაში. მაგრამ მისი გამოყენებისა და მოქმედების ცოდნა არ ეხება ეთიკას. ასევე არც ერთი სხვა მეცნიერება არ გადასცემს მოსწავლეს ამ მეცნიერების გამოყენების ცოდნას, არამედ ამ ცოდნის არსს.

## თავი 11

ყოველივე ამის შემდეგ საჭიროა ვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ რა არის მეგობრობა, სად არსებობს და რას ეხება ის, რადგან ჩვენ ვხედავთ, რომ იგი ვრცელდება მთელ ცხოვრებაზე და ყველა შესაფერ მომენტში, ამიტომ იგი ბედნიერების ნაწილად უნდა ჩავთვალოთ.

პირველ ყოვლისა, ვეცადოთ იმის განხილვას, რაც დაბრკოლებას წარმოადგენს და პასუხი გავცეთ კითხვაზე შესაძლებელია თუ არა მეგობრობა მსგავს ადამიანებს შორის, რაც სავარაუდოა და რასაც ამბობენ კიდეც. ამბობენ "ყვავი ყვავს გვერდით ჯდებაო" და "მსგავსი მსგავსს ეძებს". ყვებიან, რომ ერთი ძაღლი მუდამ ერთსა და იმავე აგურზე იძინებდა. ემპედოკლეს ჰკითხეს, რატომაა, რომ ამ ძაღლს ერთსა და იმავე აგურზე სძინავს? მან უპასუხა: ძაღლს აქვს რაღაც მსგავსება ამ აგურთან და ამ მსგავსების გამოა, რომ ძაღლი ამ აგურთან მიდის.

სხვები, პირიქით, ფიქრობენ, რომ მეგობრობა უფრო დაპირისპირებულ ადამიანთა შორის წარმოიშობა. "დედამიწა ოცნებობს წვიმაზე, როცა მიწა მშრალია". მაშ, მათი აზრით, მეგობრობა ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ ადამიანებს სურთ, რადგან მეგობრობა მსგავსთა შორის შეუძლებელია. მსგავსს მსგავსი არ ესაჭიროება.

შემდეგ, ძნელია, თუ ადვილი დამეგობრება? მლიქვნელნი, რომელნიც ჩქარა მოიპოვებენ ხოლმე ნდობას, არიან არა ნამდვილი, არამედ მოჩვენებითი მეგობრები.

საძნელე მდგომარეობს შემდეგშიც: კარგი კაცი შეიძლება თუ არა იყოს ცუდის მეგობარი? რადგან მეგობრობა მდგომარეობს ურთიერთ ნდობასა და სიმტკიცეში, ხოლო ცუდი ადამიანი სრულიად მოკლებულია ამ თვისებებს. იქნებ ცუდი მეგობრობს ცუდთან, თუ ესეც შეუძლებელია?

პირველ ყოვლისა, დავადგინოთ, თუ რომელ მეგობრობას ვიკვლევთ. ვარაუდობენ, რომ მეგობრობა შეიძლება უსულო საგნებთანაც და ღმერთთანაც კი. ეს სწორი არაა, რადგან ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მეგობრობა არსებობს იქ, სადაც შესაძლებელია საპასუხო სიყვარული. ღმერთებთან კი შეუძლებელია როგორც მეგობრობა, ისე საპასუხო სიყვარული. რადგან სისულელე იქნებოდა, ვინმეს რომ ეთქვა: " მე ზევსი მიყვარს". არც უსულო საგნებს ახასიათებთ საპასუხო სიყვარული. თუმცა მათ მიმართ სიყვარული კი შეიძლება არსებობდეს. მაგალითად, ღვინის და სხვა ამგვარი მოვლენების სიყვარული. მაშასადამე, ჩვენ ვიკვლევთ არა მეგობრობას ღმერთებთან ან უსულო საგნებთან, არამედ სულიერებთან. თანაც ისეთ სულიერებთან, რომელთაც შეუძლიათ საპასუხო სიყვარული.

1209a ამის შემდეგ თუ ვინმე დაიწყებს იმის კვლევას, თუ რა არის მეგობრობის საგანი, ვუპასუხებთ, რომ ის სხვა არა არის რა, თუ არა სიკეთე. მაგრამ საჭიროა განვასხვავოთ სიყვარულის საგანი და მიყვარული,

აგრეთვე სასურველი და მსურველი. სურვილის საგანია საერთოდ სიკეთე, ხოლო თვითეულისთვის სასურველია ის, რაც პირადად მისთვის არის სიკეთე. ასევე მეგობრობის საგანია ზოგადი სიკეთე, ხოლო თვითეულისათვის საყვარელია ის, რაც პირადად მისთვის არის სიკეთე. ამრიგად, მეგობრობის ობიექტია სასურველი ცალკეული პიროვნებისთვის, ამიტომ მისთვის ზოგადად სასურველი ვეღარ იქნება ფაქტიურად სასურველი.

ამ მსჯელობის საფუძველზე წამოიჭრება კითხვა: შეიძლება თუ არა, რომ კარგი კაცი ცუდის მეგობარი იყოს? ზოგადი სიკეთე ხომ როგორღაც უკავშირდება კონკრეტულს და კონკრეტულად სასურველი ზოგადად სასურველს. ხოლო სიკეთე შეიცავს და მისგანვე გამომდინარეობს როგორც სასიამოვნო, ისე სასარგებლო. კარგი ადამიანები მაშინ მეგობრობენ, როდესაც მათ ურთიერთ სიყვარული აქვთ და მეგობრობენ იმდენად, რამდენადაც ურთიერთ მეგობრობის საგანს წარმოადგენენ. ხოლო მეგობრები ამავე დროს კეთილნიც არიან. ზემოთ მოტანილი არგუმენტით კარგი არ შეიძლება ცუდის მეგობარი იყოს. სინამდვილეში კი ეს შესაძლებელია. ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ცუდ მხარეს მოაქვს ან სიამოვნება ან სარგებლობა. ამდენად ის შეიძლება მეგობარი გახდეს. მაგრამ ასეთი მეგობრობა არ ემყარება მეგობრობის ობიექტურ საფუძველს, რადგან მეგობრობის ობიექტური საფუძველია ზოგადი სიკეთე. ამდენად ცუდი არ შეიძლება იყოს სამეგობრო და მეგობრობა მასთან სუბიექტურ საფუძველზე იქნება აგებული. მეგობრობის იმ ფორმებს, რომელიც არსებობს კარგ ადამიანებს შორის, უნდა მივაკუთვნოთ მეგობრობა სიამოვნებისა და სარგებლობის გამო.

მეგობრობის ის ფორმები, რომლებიც ემყარებიან ან სიკეთეს, ან სიამოვნებას, ან სარგებლობას არც სავსებით იგივეობრივნი არიან და არც სავსებით განსხვავებულნი. მაგალითად, ამბობენ "სამკურნალო დანა", "მკურნალი ადამიანი", "სამკურნალო მეცნიერება". მაგრამ ამ გამოთქმებს ერთნაირი მნიშვნელობა არა აქვთ. საექიმო დანად იწოდება დანა, რომელიც მკურნალობაში გამოიყენება, ადამიანზე ითქმის მაშინ, თუ მას განკურნება ძალუძს, საექიმო მეცნიერება კი არის მიზეზი და საწყისი განკურნებისა. ასევე მეგობრობაც ერთნაირი მნიშვნელობით არ იხმარება. არსებობს კარგი ადამიანების მეგობრობა, რაც სიკეთეს ემყარება, მაგრამ არსებობს მეგობრობა სიამოვნებისა და სარგებლობის გამო. მაგრამ საქმე მხოლოდ სახელების მსგავსებაში კი არ არის, არამედ იმაში, რომ ისინი როგორღაც ერთსა და იმავე საგნებს ეხებიან, ერთი და იმავე საფუძელიდან ამოდიან, თუმცა იგივეობრივნი არ არიან. ვინმემ შეიძლება თქვას, რომ "ვინც სიამოვნების გამო მეგობრობს, ის ნამდვილი მეგობარი არ არის". მაგრამ ეს მეგობრობა როგორღაც ამოდის ამაღლებული ხასიათის მეგობრობიდან, რომელიც ყველა ამ ფაქტორს მოიცავს: სიკეთეს, სიამოვნებას, სარგებლობას. ასე რომ, ზემოთ დასახელებული კაცი ნამდვილი მეგობარი კი არაა, არამედ მეგობარია სიამოვნების ან სარგებლობის გამო.

1209b შეუძლია თუ არა კარგ კაცს კარგთან მეგობრობა? ზოგი ამბობს, რომ მსგავსი მსგავსს არ საჭიროებს. ეს მსჯელობა ეხება მეგობრობას სარგებლობის გამო, სადაც განსხვავებულს განსხვავებული სჭირდება. ესენი მეგობრობენ სარგებლობის გამო, რომელიც განსხვავდება სიამოვნებისა და სათნოების საფუძველზე დამყარებული მეგობრობისაგან. ყველაზე მეტად მეგობრები არიან ისინი, რომლებიც სათნოების გამო მეგობრობენ, რადგან მათ აქვთ ყველა სათნოება, მათ შორის სიამოვნება და სარგებლობა. კარგი კაცი შეიძლება მეგობრობდეს ცუდთან იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი სასიამოვნო შეიძლება იყოს. ცხადია, რომ ცუდი შეიძლება ცუდის მეგობარი იყოს, რადგან მათთვის გარკვეულ პირობებში ერთი და იგივე არის სასარგებლო. ამ საფუძველზე ისინი ერთმანეთთან მეგობრობენ. ჩვენ ვხედავთ, რომ როცა ადამიანებისათვის ერთი და იგივეა სასარგებლო, ისინი ამის გამო დამეგობრდებიან ხოლმე. ამრიგად, არაფერი არ აბრკოლებს იმას, რომ ცუდი ადამიანებისათვის ერთი და იგივე იყოს სასარგებლო.

ყველაზე მშვენიერი, მყარი და მტკიცეა კარგი ადამიანების მეგობრობა, რომელიც ემყარება სათნოებასა და ზოგად სიკეთეს, რადგან სიკეთე, რასაც ეს მეგობრობა ემყარება, უცვლელია. ეს მეგობრობაც ამ სიკეთის მსგავსად უცვლელია. სარგებლობა კი არასოდეს არაა იგივეობრივი. ამიტომ მეგობრობა სარგებლობის გამო არასოდეს არაა მყარი. იგი იცვლება სარგებლობის ცვალებადობასთან ერთად. ასეთივეა მეგობრობა სიამოვნების საფუძველზე. ამრიგად, საუკეთესო ადამიანების მეგობრობა წარმოშობილია სათნოების საფუძველზე, უმრავლესობისა კი — სარგებლობის საფუძველზე. რაც შეეხება მეგობრობას სიამოვნების გამო, ის გვხვდება უკულტურო და უმნიშვნელო ადამიანებში.

ხდება ხოლმე ისეც, რომ როცა ვინმეს ცუდი მეგობარი ხვდება წილად, ბრაზობს და უკვირს, მაგრამ ეს საკვირველი არაა მაშინ, როცა მეგობრობის საწყისია სასიამოვნო ან სასარგებლო. მათ მოსპობასთან ერთად მეგობრობაც წყდება. ხშირად კი მეგობრობა გრძელდება, მაგრამ მეგობრები ცუდად იყენებენ მეგობარს, რაც გაბრაზებას იწვევს. ამაში არაა არაფერი მოულოდნელი, რადგან ეს მეგობრობა სათნოებას არ ემყარება და ამიტომ მეგობრებიც არ მოქმედებენ სათნოების მიხედვით. ამიტომ მათი სიბრაზეც გაუმართლებელია. ისინი, რომლებიც მეგობრობას სიამოვნების გამო იწყებენ, ჰგონიათ, რომ მათი მეგობრობა სათნოებას ემყარება, რაც სწორი არაა, რადგან მეგობრობა სიამოვნებისა და სარგებლობის გამო არაა მეგობრობა სათნოების გამო. სიამოვნებასა და სარგებლობას არ მოსდევს სათნოება. პირიქით, სათნოება იწვევს მათ ორთავეს. მაგრამ უაზრობა იქნებოდა, ვინმეს რომ ეფიქრა, რომ კარგი ადამიანების მეგობრობა სასიამოვნო არაა. ცუდი ადამიანებიც კი ერთმანეთისთვის სასიამოვნო არიან, როგორც ევრიპიდე ამბობს, "ცუდი ცუდთან არის შერწყმული". და სიამოვნებას კი არ მოსდევს სათნოება, პირიქით, სათნოება იწვევს სიამოვნებას.

1210a არის თუ არა სიამოვნება კარგი ადამიანების მეგობრობაში? უამისობა იქნებოდა ამის უარყოფა. მათ მეგობრობაში რომ არ ყოფილიყო სიამოვნება, ისინი სხვა მეგობრებს მოიძიებდნენ, რომელნიც ჩათვლის სასიამოვნონი იქნებოდნენ, რადგან თანაცხოვრებაში სიამოვნებაზე მეტი რამ არ არსებობს. უამისობა იქნებოდა იმის ფიქრება, რომ კარგი ადამიანების მეგობრობაში ამ მხრივ სხვა მდგომარეობაა. არც მათი მეგობრობა არსებობს სიამოვნების გარეშე. მაშასადამე, როგორც ვარკვევდით, ყველაზე მეტად ასეთი აბსოლუტური სიამოვნებაა.

რადგანაც მეგობრობა სამ ნაწილად დავყავით, მაშინ ვიკითხოთ კვლავ, თუ რის საფუძველზე წარმოიქმნება მეგობრობა მსგავსებისა და თუ განსხვავების საფუძველზე. თუ ორივე გზით? კარგ ადამიანთა ზნეობის მსგავსების საფუძველზე წარმოშობილი მეგობრობა არის სრულყოფილი მეგობრობა, ხოლო განსხვავების საფუძველზე მეგობრობა წარმოიშობა სარგებლობის გამო. ღარიბისათვის მეგობრობის გამო მდიდარი კი სიმდიდრისთვის. ასევე სათნოების ნაკლებობის გამო ცუდი კარგი ფლიდის, რომ კარგისაგან სათნოება მიიღოს. ამიტომაც უმეცრებისათვის ისიც მაშასადამე, მეგობრობა არამსგავს ადამიანთა შორის წარმოიშობა სარგებლობის საფუძველზე. ამის მსგავსად ამბობდა ევრიპიდეც „ზნელია ხმელეთი წვიმისა", დედამიწა ოკეანოსს წყურდება.

რადგანაც ადამიანები ურთიერთ დაპირისპირებულნი არიან მათში მეგობრობა სარგებლობის მიზეზით წარმოიშობა და შენ ხედავთ, თუ ფიქრობ, რომ ცეცხლი და წყალი დაპირისპირებულნი არიან. სინამდვილეში ისინი ერთმანეთისათვის სასარგებლო არიან. ამბობენ, რომ თუ ცეცხლს საზრდო არ გააჩნია, იღუპება, რადგან საზრდოს მას წყალი ადგენს, ისიც მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ცეცხლი დაძლევს. თუ სითხე ბევრი და ცეცხლს სძლევს ის, მიიღებს. მაშასადამე, თუ ზომიერად დაიკავებს, ისიც სარგებლობის მიზეზი იქნება. აქედან ცხადია, რომ მეგობრობა წარმოიშობა თვით ურთიერთსაწინააღმდეგო დაპირისპირებულთა შორისაც სარგებლობის გამო. მაგრამ ყოველგვარი მეგობრობა, იქნება ის წარმოქმნილი თანასწორობის თუ უთანასწორობის საფუძველზე, დაყვანილია ზემოთ ზემოდასახელებულ სამ ფორმაზე.

1210b ყველა მეგობრობაში შეიძლება არსებობდეს უთანხმოება მეგობართა განსხვავება, თუ მათ ერთმანეთი ერთნაირად არ უყვართ, არ ყოფნიან და არ უწევენ ჭირისუფლობას, ურთიერთ დახმარებას და სხვ. თუ ერთი მხარე ღირსი ბოლომდები მოქმედებს, მეორე კი ნაკლებს, ამის გამო წარმოიშობა ბრალდება და საყვედურები. ერთი მხარის მეგობრობა განსაკუთრებით ნათლად ჩანს იმათ შორის, რომელთა მეგობრობის ერთი და იგივე მიზანი აქვთ: სიამოვნება, ან სარგებლობა, ან სიკეთე. ერთი ამბობს, „შენ უფრო მეტ სიკეთეს მიკეთებ, ვიდრე მე შენ", არაა სიმართლე, რომ მე შენ უფრო მეტად უნდა მიყვარდე". მეგობრობის სხვა ფორმებში, სადაც

დამეგობრება არ ხდება ერთი და იმავე მიზეზის გამო, განსხვავება უფრო მეტია. მაგალითად, ერთი მხარე მეგობრობს სარგებლობის გამო, მეორე — სიამოვნების გამო. აი, აქ წარმოიშობა დავა მეგობრებს შორის. იმ მხარეს, რომელსაც მეტი სარგებლობა მოაქვს, ფიქრობს, რომ სიამოვნება არაა სარგებლობაზე მეტად ღირებული. ხოლო ის, რომელსაც მეტი სიამოვნება მოაქვს, სარგებლობას არ თვლის სიამოვნებაზე გაცვლის ღირსად. ამის გამო ასეთ მეგობრობაში განსხვავება უფრო მეტად იჩენს ხოლმე თავს.

იმ მეგობრობაში, რომელიც მყარდება უთანასწორობის საფუძველზე, ის მხარე, რომელსაც აქვს უფრო მეტი სიმდიდრე, ან რაიმე სხვა, ფიქრობს, რომ არაა აუცილებელი, რომ მას მეორე მხარე ძალიან უყვარდეს. პირიქით, მეორე მხარეს, რომელსაც გაცილებით ნაკლები აქვს, ის მეტად უნდა უყვარდეს. მაგრამ უკეთესია გიყვარდეს სხვა, ვიდრე სხვას უყვარდე, რადგან სიყვარული არის სიამოვნებისა და სიკეთის ერთგვარი წყარო. ხოლო სიყვარულის ობიექტი იმის გამო, რომ უყვართ, არ გრძნობს ენერგიის მატებას. შემდეგ, უკეთესია შემეცნება, ვიდრე შემეცნების საგნად ყოფნა, რადგან შემეცნებისა და სიყვარულის საგნად ყოფნა უსულო საგნებსაც შეუძლიათ, ხოლო შეცნობა და სიყვარული — მხოლოდ სულიერ არსებებს. შემდეგ, ქველმოქმედების უნარი უკეთესია, ვიდრე უუნარობა. შეყვარებული, რამდენადაც უყვარს, იმდენად ქველმოქმედია, ხოლო ვინც უყვართ, რამდენადაც ის სიყვარულის ობიექტია, იმდენად ქველმოქმედი არაა. მაგრამ პატივმოყვარეობის გამო ადამიანებს ურჩევნიათ იყვნენ სიყვარულის ობიექტი, ვიდრე სხვა უყვარდეთ. სიყვარულის საგნად ყოფნა ხომ ერთგვარი უპირატესობის განცდას უკავშირდება ან სიამოვნებაში, ან სათნოებაში, ან სიმდიდრეში, ხოლო პატივმოყვარე სწორედ ამ უპირატესობას ეტანება და ისინი, რომლებსაც უპირატესობა აქვთ, ფიქრობენ, რომ მათ მეორე მხარე არ უნდა უყვარდეთ. რაშიც მათ უპირატესობა აქვთ, მეორე მხარე ამის სანაცვლოდ მას სიყვარულით უნდა პასუხობდეს. ამას გარდა, ისინი მათზე დაბლა დგანან, ამიტომაც უპირატესობის მქონენი ფიქრობენ, რომ მათ კი არ უნდა უყვარდეთ, არამედ თვითონ უნდა იყვნენ სიყვარულის საგანი. იმას, ვისაც აკლია ან ქონება, ან სიამოვნება, ან სათნოება, აღტაცებულია უპირატესობის მქონეთი, ამის გამო ჩუქნის მას თავის კეთილგანწყობილებას. უპირატესობის მქონე იღებს მისგან ამას, ან მოელის, რომ მომავალში მიიღებს მას.

არსებობს მეგობრობა, გამოწვეული სიმპათიით, რაც ემყარება წარმოდგენას, რომ მეორე მხარეს მრავალი სიკეთე აქვს, მაგრამ ასეთ მეგობრობას არ გააჩნია მეგობრობისათვის საჭირო ყველა ნიშანი. ხშირად ჩვენ ერთისთვის სიკეთე გვსურს, მეორესთან კი თანაცხოვრებას ვეწევით. რომელ მეგობრობას გააჩნია მეგობრობისათვის საჭირო ყველა ნიშანი, იმ მეგობრობას ხომ არა, რომელიც სათნოებას ემყარება? ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ უკანასკნელს, რადგან სწორედ ამ მეგობრობას ახასიათებს ყოველივე ეს, სურვილი მეორესთან თანაცხოვრების, სიამოვნების, სარგებლობის და სათნოებისა. ყოველივე, სიკეთეც, სიცოცხლეცა და კეთილდღეობაც გვინდა არა სხვა ვინმესთვის, არამედ მხოლოდ ამისთვის.

1211a საკითხი იმის შესახებ, არსებობს თუ არა მეგობრობა თავის თავთან, ახლა უნდა გამოვტოვოთ და შემდეგ განვიხილოთ. ყოველივე ზემოთქმული ჩვენ ჩვენთვის გვინდა. ასევე თანაგრძნობაც ყველაზე მეტად შეგვიძლია ჩვენი თავისადმი. თუ რაიმე დავიზიანეთ, ან სხვა რაიმე ამგვარი შეგვემთხვა, მაშინვე შიში გვიპყრობს. მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ არსებობს თავის თავთან მეგობრობა. ისეთი ცნებები, როგორიცაა სიმპათიის გრძნობა, კეთილდღეობა და სხვ., უნდა დავიყვანოთ ჩვენს თავთან მეგობრობაზე, ან სრულყოფილ მეგობრობაზე, ანდა ორივესთან ერთად, რადგან როგორც თანაცხოვრების, ისე სიცოცხლის, კეთილდღეობისა და ყოველივე სხვა ამგვარის სურვილი მათშია მოცემული.

გარდა ამისა, სავარაუდოა, რომ მეგობრობა არსებობს იქ, სადაც სამართალია და მაშასადამე, მეგობრობის იმდენი სახე უნდა არსებობდეს, რამდენიც სამართალია. სამართალი კი არსებობს უცხოელსა და ადგილობრივ მცხოვრებს შორის, მონასა და ბატონს, ქალსა და მამაკაცს, მამასა და ვაჟიშვილს შორის და საერთოდ, რამდენიცაა საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმა, იმდენივეა მეგობრობაც. ყველაზე მყარი უნდა იყოს მეგობრობა უცხოსთან, რადგან უცხოსა და ადგილობრივ მცხოვრებს არა აქვთ საერთო მიზანი, როგორც ადგილობრივ მოქალაქეებს, რომელნიც ამ საერთო მიზნის გამო ვერ რიგდებიან და მეგობრებადაც ველარ რჩებიან.

1211b ახლა განვიხილოთ კითხვა იმის შესახებ, არსებობს თუ არა მეგობრობა თავის თავთან. უკვე დავადგინეთ მეგობრობის შემადგენელი ნაწილები და როგორც ზემოთ უკვე ვთქვით მოკლედ, თითოეული ეს ნაწილი: სიკეთე, სიცოცხლე, კეთილდღეობა ყველაზე მეტად ჩვენთვის გვინდა. ყველაზე მეტად ჩვენი თავის თანაგრძნობა და ჩვენსავე თავთან თანაცხოვრება გვსურს. ამრიგად, თუ ვიცით მეგობრობის ყველა შემადგენელი ელემენტი და ამავე დროს გვინდა, რომ თითოეული მათგანი ყველაზე მეტად ჩვენ გვქონდეს, მაშინ ცხადი ხდება, რომ თავის თავთან მეგობრობა არსებულა. რადგან უსამართლობაში არსებობს უსამართლობის ჩამდენი და მეორეს მხრივ, უსამართლობის ამტანი, ამიტომ ვფიქრობთ, რომ უსამართლობას თავის თავის მიმართ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ცალკეული ადამიანი ხომ განუყოფელი რამაა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს უსამართლობა თავის თავის მიმართ, სულის ნაწილების კვლევისას ვთქვით, რომ ეს ნაწილები ბევრია და როდესაც ისინი ერთმანეთთან შეთანხმებული არ არიან, მაშინ აქვს ადგილი უსამართლობას თავის თავის მიმართ. ასევე უნდა არსებობდეს მეგობრობა თავის თავის მიმართ. როცა ძლიერი მეგობრობის დახასიათება გვსურს, ვამბობთ, რომ "ჩემი და მისი სული ერთია". სულს ბევრი ნაწილები აქვს და სული მაშინ იქნება ერთი, როდესაც მასში აზრი და გრძნობა ერთმანეთთან თანხმობაში იქნებიან. აი, ამ დროს არის სული ერთი. და სწორედ მაშინ, როდესაც სული გაერთიანდება, იქნება

შეუძლებელი თავის თავთან მეგობრობა. მეგობრობა თავის თავთან არსებობს კარგ ადამიანებში. მხოლოდ მათ აქვთ სულის ნაწილები კარგ მდგომარეობაში, რადგან ისინი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ იმყოფებიან. ცუდი კაცი კი თავის თავის მეგობარი არასოდეს არაა, რადგან ის ყოველთვის თავის თავს ებრძვის. ხოლო როდესაც თავშეუკავებელი მოქმედებს სიამოვნების გავლენით, ბევრს არ ფიქრობს, თავის თავს ზიანს აყენებს და შემდეგ კიცხავს. ცუდი კაცი ასე იქცევა სხვა ბოროტების მიმართაც, რადგან ის განუწყვეტლივ ებრძვის თავის თავს და მასთან წინააღმდეგობაშია.

არსებობს მეგობრობა მსგავს ადამიანთა შორისაც, მაგალითად, ამხანაგებს შორის, რომელთაც ქონებაც და ქველმოქმედების უნარიც თანასწორი აქვთ. არც ერთ მხარეს არა აქვს მეორეზე მეტი რაოდენობის, მნიშვნელობის ქონება, ან სიკეთე, არამედ თანასწორი. ასეთ მეგობრებს სურთ, რომ ერთმანეთის თანასწორნი დარჩნენ. უთანასწორობას ადგილი აქვს მეგობრობაში მამასა და შვილს, უფროსსა და დაქვემდებარებულს, ძლიერსა და სუსტს, ქალსა და კაცს, და საერთოდ იქ, სადაც არსებობს სუსტი და ძლიერი მხარე. ასეთი უთანასწორო მეგობრობა პროპორციას ემყარება, რადგან არავინ არასოდეს არ მისცემდა თანაბარ ნაწილს ცუდსა და კარგს, არამედ ყოველთვის მეტს მისცემდნენ იმას, ვისაც უპირატესობა აქვს. აი, ეს არის პროპორციული თანასწორობა. ერთგვარი თანასწორობაა მაშინ, როცა უარესი მხარე იღებს მცირე ნაწილს, ხოლო მეორე მასზე მეტს, რადგან ის მასზე მაღლა დგას. ასეთია თანასწორობის პრინციპები.

## თავი 12

ზემოდასახელებულ ურთიერთობათაგან ყველაზე მეტად მეგობრობა წარმოიშობა ნათესავთა შორის, მაგალითად, მამასა და ვაჟს შორის. მაგრამ რატომ ხდება, რომ მამას ვაჟი მეტად უყვარს, ვიდრე ვაჟს მამა? იქნებ იმიტომ, რომ, როგორც ზოგნი ამბობენ, მამა ქველმოქმედებას ეწევა შვილის მიმართ, ხოლო შვილი ამ ქველმოქმედებით მისგან დავალებულია? უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს დასაბუთება გამოდგება მეგობრობაში, რომელიც სარგებლობას ემყარება. სინამდვილეში აქ ისეთივე მდგომარეობაა, როგორც პრაქტიკული ხასიათის ხელოვნებებში. მე ვგულისხმობ ისეთ ხელოვნებას, სადაც მიზანი და მოქმედება ერთი და იგივეა და სადაც მოქმედების გარდა, სხვა მიზანი არ არსებობს. მაგალითად, ფლეიტაზე დამკვრელისათვის ფლეიტაზე დაკვრა და მიზანი ერთი და იგივეა. მაგრამ იგივე არ ითქმის მშენებლობაზე, სადაც გარდა მშენებლობისა, არსებობს სხვა მიზანიც. მეგობრობაც რაღაც მოქმედებაა და მას მეგობრული მოქმედების გარდა, სხვა მიზანი არა აქვს. მეგობრობაა სწორედ მისი მიზანი. მამაც ხომ ყოველთვის როგორღაც მოქმედებს. უფრო მეტად კი იმის გამო, რომ ის არის შემოქმედი თავისი შვილისა. ამას ჩვენ სხვა მოვლენებშიც ვამჩნევთ

ყველა როგორღაც კეთილგანწყობილია იმის მიმართ, რაც მისი შექმნილია და რასთანაც არის დაკავშირებული მისი მოგონება და იმედი. აი, ის საფუძველი, რის გამოც მამას ვაჟი უფრო მეტად უყვარს, ვიდრე ვაჟს მამა.
1212a საჭიროა ვიკვლიოთ სხვა მეგობრობანიც, რომელნიც ასე იწოდებიან და ასეთ მნიშვნელობას ატარებენ, არიან თუ არა ისინი მეგობრობანი? მეგობრობად არ ჩაითვლება, მაგალითად, კეთილგანწყობილება, ანდა ის მეგობრობად ჩაითვლება ძალიან იშვიათად. ჩვენ ხშირად რაიმეს მიმართ კეთილგანწყობილნი ვართ, ან იმიტომ, რომ ერთი შეხედვითვე მოგვეწონა, ანდა იმის გამო, რომ მის შესახებ რაიმე კარგი გავიგეთ. მაგრამ ამავე დროს ვართ თუ არა მისი მეგობარი? მაგალითად, ვინმე შეიძლება კეთილგანწყობილი იყო დარიოსის მიმართ, რომელიც სპარსეთში იმყოფებოდა. ეს შეიძლება სინამდვილეშიც მოხდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი მეგობრები იყვნენ. მაგრამ კეთილ განწყობილება ზოგჯერ არის მეგობრობის დასაწყისი. ეს იმ შემთხვევაში, თუ კეთილგანწყობილს აქვს სურვილი რაიმე სიკეთე გაუწიოს თავისი სიმპათიის ობიექტს და თუ მას ამის შესაძლებლობაც აქვს.

კეთილგანწყობილება დამახასიათებელია ჩვენი ეთიკური ბუნებისათვის და მიმართულია ზნეობრივი პიროვნებისადმი, რადგან არავინ არ იტყვის ღვინოზე ან სხვა რომელიმე უსულო საგანზე, რომ მის მიმართ კეთილ განწყობილია, არამედ ამას ამბობენ ზნეობრივ ადამიანზე. საერთოდ კი, კეთილგანწყობილება არ უნდა არსებობდეს მეგობრობის გარეშე, რადგან იმავე სფეროს ეხება, რასაც მეგობრობა. ამიტომ თვლიან მას მეგობრობად.

თანამოაზრეობა მეგობრობას უახლოვდება, თუ „თანამოაზრეს" პირდაპირი მნიშვნელობით ვიხმართ. ჩაითვლება თუ არა ემპედოკლეს თანამოაზრედ ის, ვისაც ისეთივე შეხედულება აქვს, როგორიც ემპედოკლეს და რომელიც ემპედოკლესავით უშვებს საწყის სტიქიებს? ის არ იქნება ემპედოკლეს მეგობარი, რადგან თანამოაზრეობა გულისხმობს მეგობრობას არა თეორიის, არამედ პრაქტიკის სფეროში. აქაც იმ შემთხვევაში, როცა ადამიანები ერთნაირად მოქმედებენ და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ერთნაირად აზროვნებენ. მაგალითად, თუ ორივე მხარეს მიზნად აქვთ დასახული მაღალი თანამდებობის მიღება და ამ თანამდებობის შესაფერად თვითეული თავის თავს გულისხმობს, ისინი თანამოაზრენი არ იქნებიან. ასეთნი ისინი მაშინ იქნებიან, როცა ორივე მხარე ამ თანამდებობის შესაფერად მე მთვლის. ამრიგად, თანამოაზრეობა გულისხმობს აზრთა ერთიანობას პრაქტიკულ სფეროში და როცა ორივე მხარეს ერთი და იგივე მიზანი აკავშირებს. თანამოაზრეობა ეხება, ძირითადად, ერთი და იმავე ხელმძღვანელის დანიშვნას დიდ თანამდებობაზე.

## თავი 13

1212b როგორც უკვე ვთქვით, არსებობს მეგობრობა თავის თავთან. საკითხავია, კარგი ადამიანი შეიძლება თუ არა იყოს თავის თავის მეგობარი?

თუ თავის თავის მეგობარია ის, ვინც ყველაფერს, რაც კი სასარგებლოა, აკეთებს თავისთვის, მაშინ თავის თავის მოყვარე ყოფილა არა კარგი, არამედ ცუდი ადამიანი. კარგი ადამიანი ასეთი არაა, რადგან ის სხვისთვისაც ეწევა საქმიანობას. და მაშასადამე, ის თავის თავის მოყვარე არაა ყოფილა. მაგრამ სიკეთისაკენ ყველა ისწრაფვის და ფიქრობს, რომ ის მას სხვებზე მეტად შეეფერის. ეს ყველაზე კარგად ჩანს სიმდიდრისა და ძალაუფლების მაგალითზე. კარგი ადამიანი ამას სხვას უთმობს არა იმიტომ, რომ ის მას არ შეეფერის, არამედ იმიტომ, რომ ხედავს სხვას ამის გამოყენების მეტი უნარი აქვს. სხვები კი ასე არ იქცევიან ან უცოდინარობის გამო, რადგან ვერ წარმოუდგენიათ, რომ სიკეთეს ცუდად გამოიყენებენ, ან და ძალაუფლების პატივმოყვარული სიყვარულის გამო. კარგ ადამიანს კი ეს არ შეემთხვევა. მაშასადამე, ამ სიკეთეთა სფეროში იგი არაა თავმოყვარე, რადგან ამ მოვლენების ღირებულება საეჭვოა. მაგრამ თუ ის მაინც თავმოყვარეა, ის ასეთია მშვენიერების სფეროში. მხოლოდ ამას არ დაუთმობს იგი სხვას. სარგებლობას და სიამოვნებას კი დაუთმობს. მაშასადამე, იგი თავმოყვარეა იმიტომ, რომ მშვენიერებას აძლევს უპირატესობას. რაც შეეხება სიამოვნებასა და სარგებლობას, მათ უპირატესობას აძლევს ცუდი და არა კარგი ადამიანი.

## თავი 14

კარგ ადამიანს თავისი თავი სხვებზე მეტად უნდა უყვარდეს თუ არა? ზოგჯერ მას თავი ძალიან უყვარს, ზოგჯერ კი არა. რადგან, როგორც ვთქვით, სიკეთეს, რაც სასარგებლოა, კარგი კაცი უთმობს მეგობარს. მაშ, მას მეგობარი თავის თავზე მეტად ჰყვარებია. უთმობს რა იგი ამას მეგობარს, თვითონ მშვენიერებას იტოვებს და ამ მიზნითვე მოქმედებს. ზოგჯერ მას მეგობარი თავის თავზე მეტად უყვარს, ზოგჯერ თავისი თავი. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რას აძლევს ის უპირატესობას. თუ სასარგებლოს აძლევს უპირატესობას, მაშინ მეგობარი ჰყვარებია, თუ მშვენიერს, მაშინ თავისი თავი, რადგან უმშვენიერესს ის თავისთვის იტოვებს. ამრიგად, ის სიკეთის მოყვარეა და არა თავისი თავისა. მაგრამ თუ მას თავისი თავი უყვარს, ეს იმიტომ, რომ ის კეთილია. ცუდი კი თავმოყვარეა, მაგრამ მას არა აქვს რაიმე ისეთი, რის გამოც ნამდვილად ეყვარებოდა თავისი თავი, მაგალითად, მშვენიერება. მაგრამ მას ამის გარეშეც უყვარს თავისი თავი. მაშასადამე თავისი თავის მოყვარე ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით მასზე არ ითქმის.

## თავი 15

საჭიროა ვთქვათ თვითკმაყოფილებასა და თვითკმაყოფილის შესახებ. სჭირდება თუ არა თვითკმაყოფილს სრულყოფისათვის მეგობარი, თუ ის

კმაყოფილია და მეგობარი არ სჭირდება? ამის შესახებ პოეტი ამბობს: "თუ ღმერთი მწყალობს, რაში მჭირდება მე მეგობარი?" ამიტომ იბადება ასეთი კითხვა: ვისაც ყოველი სიკეთე აქვს და თვითკმაყოფილია, მაინც სჭირდება მეგობარი? თუ განსაკუთრებით ამას სჭირდება მეგობარი, რადგან ვის გაუწევდა ის სიკეთეს, ან ვისთან იცხოვრებდა? მარტო ხომ ვერ გაატარებდა სიცოცხლეს? მაგრამ თუ მას ეს სჭირდება, ამას ის მეგობრის გარეშე ვერ შესძლებს. მაშასადამე, თვითკმაყოფილ ადამიანსაც სჭირდება მეგობარი.

ხოლო ის არგუმენტი, რომელიც ღმერთების ანალოგიით არის მიღებული, არც ღმერთების მიმართ არის სწორი და არც ადამიანების მიმართ. თუ ღმერთი თვითკმაყოფილია და ამიტომ არაფრის არ საჭიროებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენც არაფრის არ ვსაჭიროებთ.

1213a არსებობს კიდევ ერთი არგუმენტი ღმერთების შესახებ: თუ ღმერთს ყოველგვარი სიკეთე გააჩნია და თვითკმაყოფილია, მაშინ რა უნდა აკეთოს მან? ხომ არ დაიძინებს? პასუხი: ღმერთი მაშინ განჭვრეტას დაიწყებს, რადგან ესაა მისთვის შესაფერი და მშვენიერი საქმიანობა. მაგრამ რას განჭვრეტს იგი? თუ ის განჭვრეტს არა თავის თავს, არამედ სხვა რამეს, მაშინ ის განჭვრეტს იმაზე უკეთეს მოვლენას, ვიდრე თვითონ არის. მაგრამ უაზრობაა, რომ არსებობდეს რაიმე ღმერთზე უკეთესი. მაშასადამე, იგი თავის თავს განჭვრეტს. მაგრამ ესეც უაზრობაა, რადგან ადამიანს, რომელიც თავის თავს უაზროდ აკვირდება, ვკიცხავთ, როგორც სულელს. მაშასადამე, უაზრობაა, ასკვნის არგუმენტი, რომ ღმერთი თავის თავს განჭვრეტდეს.

ნუღარ შევეხებით საკითხს იმის შესახებ, თუ რას განჭვრეტს ღმერთი და ვიკვლიოთ არა ღმერთი, არამედ თვითკმაყოფილი ადამიანი. სჭირდება თუ არა ასეთ ადამიანს მეგობარი? ვინც დააკვირდება მეგობარს, თუ ვინ არის ის ან როგორია, მიხვდება, რომ ის არის შენი მეორე "მე". ეს განსაკუთრებით ყველაზე მახლობელ მეგობარზე ითქმის. ეს იმასვე ნიშნავს, რასაც გამოთქმა "ის შენი მეორე ჰერაკლეა". და სწორედ ამ აზრით მეგობარი შენი მეორე "მეა". ერთის მხრივ, დიდ სიძნელეს წარმოადგენს თავისი თავის შეცნობა, როგორც ეს თქვეს დიდმა მოაზროვნეებმა. მეორეს მხრივ, თავის შეცნობა სასიამოვნოა. და რადგან ჩვენ ჩვენ თავს ვერ ვხედავთ, ამიტომ სხვებს ვკიცხავთ და იმას აღარ ვხედავთ, რომ ჩვენ ზუსტად იმასვე ვაკეთებთ. ეს კი შედეგია ან საკუთარი თავის მიმართ კეთილგანწყობისა, ანდა ვნებებისა, რომელიც უმრავლესობას ისე უბნელებს გონებას, რომ ნათელ მსჯელობას შეუძლებელს ხდის. ასევე, როდესაც ჩვენი თავის დანახვა გვსურს, სარკეში ვიხედებით და ჩვენს გამოსახულებას ვიღებთ, ხოლო როცა ჩვენი თავის შეცნობა გვსურს, ამას მეგობარზე დაკვირვებით ვაღწევთ, რადგან როგორც უკვე ვთქვი, მეგობარი ჩემი მეორე "მე"-ა. მეორეს მხრივ, თუ თავის შეცნობა სასიამოვნოა, ეს კი შეუძლებელია სხვასთან მეგობრობის გარეშე, მაშასადამე, თვითკმაყოფილს სჭირდება მეგობარი თავის თავის შესაცნობად.

1213b შემდეგ, თუ მშვენიერება ქველმოქმედებაში მდგომარეობს, ვინ გაუწევს ქველმოქმედებას თვითკმაყოფილი? ვისთან იცხოვრებს ის? მარტო ხომ ვერ გაატარებს ცხოვრებას? თანაცხოვრება კი სასიამოვნოა და აუცილებელი. და თუ ეს მშვენიერია, სასიამოვნო და აუცილებელი, მაგრამ ეს არ შეიძლება მეგობრობის გარეშე, მაშ თვითკმაყოფილს მეგობარი სჭირდება.

## თავი 16

ბევრი მეგობარი უნდა ჰყავდეს კაცს, თუ ცოტა? მოკლედ რომ ვთქვათ, არც ცოტა უნდა ჰყავდეს და არც ბევრი. თუ ბევრი გვეყოლება, ძნელია თვითეულზე თანაგრძნობის განაწილება. აგრეთვე ჩვენი ბუნების სისუსტის გამო ვერ შევძლებთ დიდი მანძილების გავლას. არც ჩვენი მხედველობით შეიძლება შორ მანძილზე დანახვა. როცა მანძილი დიდია, კაცი ვერაფერს ამჩნევს ბუნებრივი სისუსტის გამო. იგივე უნდა ითქვას სმენისა და სხვა გრძნობების შესახებ. ვინც სისუსტის გამო მეგობარზე უარს ამბობს, საყვედურს იმსახურებს. კარგი მეგობარი არ იქნება ის, ვინც მეგობარია სიტყვით და არა საქმით. ეს არაა ნამდვილი მეგობრობა. შემდეგ, თუ მეგობარი ბევრი გყავს, საზრუნავს ბოლო არ უჩანს. რადგან როცა ბევრნი არიან, თუ რომელიმე მათგანს რაიმე უბედურება შეემთხვა, შენც დაიტანჯები. არც ცოტა მეგობარი უნდა გყავდეს, ერთი ან ორი, არამედ მათი რიცხვი უნდა შეესაბამებოდეს შენს მდგომარეობას და მეგობრების შეძენისაკენ შენს სწრაფვას.

## თავი 17

ამის შემდეგ საკვლევია, თუ როგორ მოვიქცეთ მეგობრობაში. ეს ეხება არა ყოველგვარ მეგობრობას, არამედ ისეთ მეგობრობას, სადაც მეგობრები ძალიან საყვედურობენ ერთმანეთს. მაგრამ ეს ყველა მეგობრობაში ერთნაირად არ ხდება. მაგალითად, მამა-შვილურ დამოკიდებულებაში არ არსებობს ასეთი საყვედურები: "როგორც მე შენთვის ვიქცევი, ასევე მოიქეც შენ ჩემს მიმართ" წინააღმდეგ შემთხვევაში ხდება დიდი უსიამოვნება. მაგრამ უთანასწორო მეგობრობაში ეს ასე არ უნდა იყოს. ხოლო მეგობრობა მამისა ვაჟის მიმართ არის უთანასწორო მეგობრობა. ასეთივეა მეგობრობა ცოლისა ქმრისადმი, მონისა ბატონისადმი და საერთოდ, სუსტისა ძლიერის მიმართ. ასეთ მეგობრობაში ზემოხსენებულ საყვედურებს ადგილი არ ექნება. იგი გვხვდება თანასწორ მეგობრობაში და თანასწორ მეგობართა შორის. ამიტომ საკვლევია, თუ როგორ მოვიქცეთ თანასწორ მეგობრობაში.

## სარჩევი

არისტოტელეს ეთიკის მნიშვნელობა . . . . . . . . . . . . . 1
წიგნი პირველი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4
წიგნი მეორე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 59